საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
18 - 24 ნოემბერი, 2015
№42 (324)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 «საქართველოს უკრაინიდან გზავნის ბოევიკებს «ისლამურ სახელმწიფოში»



ჯეფრი სილვერმანი:

## ლუგარის ლაბორატორიაში ინფიცირებული პერსონალი საიდუმლოდ გადაიყვანეს «არამიანცის» საავადმყოფოში სამკურნალოდ 3

«საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ»



4 ირინა ვერეშჩუკი:

## ახლა უკრაინაში აღარც დგას ნატოში შესვლის საკითხი, რადგან ნატოში უკრაინას არავინ ელოდება

„უკრაინას არავინ განიხილავს, როგორც სერიოზულ პოლიტიკურ მოთამაშეს. ასე რომ იყოს, ისინი მხარს დაგვიჭერდნენ და ყველაფერს გააკეთებდნენ უკრაინაში უკრაინელებით დაკომპლექტებული ნორმალური ხელისუფლების მოსასვლელად“

«ტერორისტებს, რომლებმაც თვითმფრინავი ააფეთქეს, პლანეტის 2 ნებისმიერ წერტილში მოვძებნით და დავსჯით»

## პარიზის ტერაქტი

— ბებერ ევროპას იქნებ გაახსენდეს, რომ ნამდვილი ევროპული ღირებულებები ქრისტიანულ მორალზე აღმოცენებული ცხოვრების წესია და არა ლგბტ-პედერასტია 6



«რამ დააყრუა, დააბრმავა და დაამუნჯა ზვიად ძიძიგური, გუბაზ სანიკიძე, ბიძინა გუჯაბიძე, უსახურ პოლიტიკოსებს რომ ემონებიან?» 5



7 ევროპული თვალთმაქცობა და ქართული პროვინცი-ალიზმი

«დღეს თუ არა, ხვალ ასეთი ტერაქტები თბილისშიც შეიძლება 8 მოხდეს!»

9 «უკრაინაში შექმნილი ბანდფორ-მირების შტაბმა «რუსთავი 2»-ში გადმოინაცვლა»

## ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ 12

ტარიელ გაგნიძე:

ბევრმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ხელი მოჰკიდა ისტორიის გადაკეთების, სათავისოდ მორგების საეჭვო საქმეს, მიზანში ამოიღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც, მახინჯდებოდა ფაქტები და კონიუნქტურულ ინტერესებს ესადაგებოდა



## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» ორგანიზებით თბილისში საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი ჩატარდა 10



21 კატალონია ესპანეთის სამეფოსგან გამოსაყოფად ემზადება

28 ფერმერმა მინის დამუშავებისას ესკობარის 600 მილიონი დოლარი იპოვა

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფრანსუა ოლანდი: საფრანგეთის მტერი არის არა ასადი, არამედ «ისლამური სახელმწიფო»



**საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მტერი არის ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ და არა სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი.** „სირიაში ჩვენ დაუღალავად ვეძებთ გადაწყვეტას პრობლემისა, რომელიც, ბაშარ ასადი კი არა, „ისლამური სახელმწიფოა“, — განაცხადა ფრანსუა ოლანდმა საფრანგეთის პარლამენტის კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინათ ოლანდის რიტორიკა ბაშარ ასადის მიმართ ძალიან მკაცრი იყო: **„არ შეიძლება, ჯალათებმა და მსხვერპლმა ერთად იმუშაონ. ასადი პრობლემის მიზეზია და არ შეიძლება, ვითარების რეგულირების მონაწილე იყოს“.**



### ვლადიმერ პუტინი:

## ტერორისტებს, რომლებმაც თვითმფრინავი ააფეთქეს, პლანეტის ნებისმიერ წერტილში მოვძებნით და დავსჯით

**გამოძიებამ დაადგინა, რომ რუსული ლაინერის — A321-ის კატასტროფის მიზეზი ტერორისტული აქტი იყო. რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, დამნაშავეებს, სადაც უნდა იყვნენ ისინი, აუცილებლად მოძებნიან და დასჯიან.**

„— რუსეთი პლანეტის ნებისმიერ წერტილში აუცილებლად მოძებნის და დასჯის ტერორისტებს, რომლებმაც ავიალაინერი ააფეთქეს, — განაცხადა რფ-ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსული თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზების გამოძიების შედეგების გაცნობისას“, — იუწყება კრემლის ვებგვერდი.

**„ჰაერში აფრენისას საჰაერო ხომალდის ბორტზე ამუშავდა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის სიმძლავრე იყო 1 კგ ტროტილის ეკვივალენტი, შედეგად თვითმფრინავი ჰაერში დაიშალა, რაზეც თვითმფრინავის ფიუზელაჟის გაფანტული ნაწილები მიუთითებს“,** — განაცხადა თათბირზე რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა **ალექსანდრე ბორტნიკოვმა.**

რუსეთის პრეზიდენტის რეაქცია მყისიერი იყო: ტერორისტები უნდა მოვძებნოთ, სადაც უნდა იყვნენ, და დავსაჯოთ.

„ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ დანაშაულის ხანდაზმულობის გაუთვალისწინებლად, უნდა ვიცოდეთ თითოეულის გვარი და სახელი. ვეძებოთ ისინი ყველგან, სადაც უნდა იმალებოდნენ. ჩვენ მათ პლანეტის ნებისმიერ წერტილში მოვძებნით და დავსჯით“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

### უკრაინული «ვიკილიქსი»:

## სააკაშვილი უკრაინიდან გზავნის ბოევიკებს «ისლამურ სახელმწიფოში»




**ქართველი მებრძოლებს, რომლებმაც სპეციალური მომზადება უკრაინაში გაიარეს, მიხეილ სააკაშვილი სირიაში გზავნის. მებრძოლები, ძირითადად, ქართველი ჩეჩნები არიან, რომლებიც უკრაინაში, კრამატორსკის ბაზაზე მოამზადეს. სენატორ ჯონ მაკკეინის დახმარებით მებრძოლთა დაჯგუფებები სირიაში რეგულარულად გადადიან და უერთდებიან დაჯგუფება „ჯაბჰათ ან-ნუსრას“ („ალ ქაიდას“ სირიული ფრთა) ტერორისტებს.**

**17 ნოემბერს უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ გაავრცელა მიხეილ სააკაშვილისა და ამერიკელი სენატორის — ჯონ მაკკეინის მორიგი მიმოწერა,** რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

### მაკკეინი: ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, სახმელეთო ოპერაციას ვგეგმავთ ნატოს ძალებით, ფრანგებმა უკვე დააყენეს ეს საკითხი. რუსებს გამოვდევნით იქიდან. ასე რომ, ფინანსებს გვაძლევენ და შენი სპეცებიც გვჭირდება. შემდეგ წაიყვანე საქართველოში, შენ ხომ იქ გეგმები გაქვს



**სააკაშვილი:** — ჰაი. როგორ არიან ჩემი ბიჭები?

**მაკკეინი:** — მარდინიდან (თურქული ქალაქი სირიის საზღვარზე) გუშინ წაიყვანეს და საზღვარზე გადავიდნენ. როგორც კი ბაზაზე მივლენ, შემატყობინებენ.

**სააკაშვილი:** — პარიზში მომხდარი ხელს არ შეგვიშლის?

**მაკკეინი:** — პირიქით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, სახმელეთო ოპერაციას ვგეგმავთ ნატოს ძალებით, ფრანგებმა უკვე დააყენეს ეს საკითხი. რუსებს გამოვდევნით იქიდან. ასე რომ, ფინანსებს გვაძლევენ და შენი სპეცებიც გვჭირდება. შემდეგ წაიყვანე საქართველოში, შენ ხომ იქ გეგმები გაქვს.

**სააკაშვილი:** — 6 ადამიანი უკვე მზადაა წასასვლელად, პაიეტმა (აშშ-ის ელჩი უკრაინაში) იცის და შეუძლია, წაიყვანოს.

**მაკკეინი:** — ოკ, ყურადღებას მივაქცევ, პროცესის დეტალებს მერე გეტყვი.

**სააკაშვილი:** — ოკ!

**წყარო:**
**http://wikileaks.center**

## «უპატიოსნობაა, როცა ზოგიერთის სიცოცხლე სხვების სიცოცხლეზე ძვირად ფასობს»

### ბრიტანელი ჟურნალისტი განმარტავს, რატომ არ დააყენა საფრანგეთის დროშა პროფილში

**ბრიტანელმა ჟურნალისტმა სარა იუენმა, რომელიც ამჟამად ტაილანდში ცხოვრობს, დაწერა, რატომ არ შეცვალა პროფილი „ფეისბუქში“ და რატომ არ დააყენა საფრანგეთის დროშა ავატარად. აი, რას წერს სარა იუენი:**



„მეკითხებით, რატომ არ მაქვს ფრანგული დროშა პროფილში?

**იმიტომ, რომ** ის, რაც ახლახან მოხდა პარიზში, ყოველდღიურად ხდება იემენში დასავლური ძალების ჩუმი თანხმობით. **იმიტომ, რომ,** რაც პარიზში მოხდა, ყოველდღიურად ხდება ერაყსა და ავღანეთში. და რაღაც არ მსმენია მსოფლიოს პროტესტი ერთი კვირის წინათ, როდესაც 200 კაცი დაიღუპა ბაზარში ბომბის აფეთქების შედეგად. **იმიტომ, რომ** ყველა დუმს სისასტიკეზე პალესტინასა და ნიგერიაში. ჩვენ კი, თანამედროვე დასავლური სამყარო, უბრალოდ, შორიდან ვაკვირდებით, თითქოს ამის გამო პასუხისმგებლობა არ გვეკისრება.

ეს უპატიოსნობაა, როცა ზოგიერთის სიცოცხლე სხვების სიცოცხლეზე ძვირად ფასობს. თუკი დღეს ჩვენ, ყველა, ფრანგები ვართ, მაშინ ყველა უნდა ვიყოთ სირიელები, ქურთები, ერაყელები, იემენელები. ჩვენ ახლავე უნდა მოვიმარაგოთ ფოტოები პროფილისთვის, რათა საჭირო მომენტში შევცვალოთ ავატარი. ეს შეიძლება დღესვე დაგვჭირდეს. და, რაც მთავარია, ჩვენ უნდა შევაჩეროთ ეს ყველაფერი, შევაჩეროთ დაღუპულთა რაოდენობის მატება. თუ ასე არ მოვიქცევით, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ თვითონვე ვართ ამ უბედურებებისა და ტრაგედიების მიზეზი. ჩვენ — დასავლური სამყაროს ახლომხედველი მოსახლეობა, რომელსაც აინტერესებს მხოლოდ ჩვენი ცხოვრების სტილი, ჩვენი ადამიანები.

თუ გვსურს, უკეთეს სამყაროში ცხოვრება, ეს სამყარო უნდა შევქმნათ. ავდგეთ. შევაჩეროთ ომი, შევწყვიტოთ დაბომბვები.

**დასავლურ ძალებს ხვალვე შეუძლია „ისლამური სახელმწიფოს“ შეჩერება, თუ მოისურვებს, მაგრამ არ სურთ, იმიტომ, რომ მათთვის სარგებელი მოაქვს. ისევე, როგორც ერაყსა და ავღანეთში ომებს მოჰქონდა სარგებელი ბლერისა და ბუშისთვის. დღეს ეს ფაქტია. ეს დამტკიცებულია. ჩვენ ვიცით ამის შესახებ და ჩვენ, ყველას, გვეკისრება პასუხისმგებლობა, რადგან მთელი ამ წლების განმავლობაში ვდუმდით.**

ჟურნალისტებს კი მინდა, ვთხოვო, შეწყვიტონ ციტირება ოფიციალური ორგანოების განცხადებებისა, როგორც უტყუარი ფაქტის. დასვით კითხვები, მოითხოვეთ, წაიკითხეთ ყველაფერი, რასაც იპოვით, შეაერთეთ წერტილები, გააანალიზეთ და თვითონვე გამოიტანეთ დასკვნები. ადამიანები თქვენ შემოგცქერიან. თქვენ გისმენენ. ჟურნალისტებმა ყველაფერში უნდა შეიტანონ ეჭვი. ეს არის ჩვენი სამუშაო. ეს არის ის, რასაც საზოგადოება ჩვენგან ითხოვს“.



## სირიის პრეზიდენტი: საფრანგეთმა გადაიტანა ის, რაც სირიაში, ბოლო 5 წელია, ხდება

**საფრანგეთმა გადაიტანა ის, რაც სირიაში, ბოლო 5 წელიწადია, ხდება, — ასე გამოეხმაურა სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი პარიზში განხორციელებულ სისხლიან ტერაქტებს.**

როგორც ფრანგული გამოცემა „ევროპა 1“ იტყობინება, ეს განცხადება ასადმა სირიაში ჩასულ ფრანგ დეპუტატებთან შეხვედრაზე გააკეთა და მათ პარიზში მომხდარი ტერაქტების გამო მწუხარება გამოუცხადა.

„ეს საექსპერიმენტო ვაქცინები, რომლებიც გადასცეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, ძალიან საეჭვოა, რადგან შემოწირულია აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ. გაითვალისწინეთ, რომ ცხოვრებაში არაფერია უფასო, ხაფანგში დაგებული სატყუარას გარდა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჯეფრი სილვერმანი:

# ლუგარის ლაბორატორიაში ინფიცირებული პერსონალი საიდუმლოდ გადაიყვანეს «არამიანცის» საავადმყოფოში სამკურნალოდ

თბილისში მოქმედი ლუგარის ლაბორატორია დაარსების დღიდან იპყრობს საზოგადოების ყურადღებას; მიზეზი უპასუხო კითხვებია, რომლებიც მის შესახებ გაჩნდა. ჩვენ ვწერდით 31 ოქტომბერს „ქორთიარდ მარიოტში“ გამართული კონფერენციის თაობაზე, რომელზეც ლუგარის ლაბორატორიის საკითხები განიხილეს, მაგრამ გარკვეული კითხვები, საბოლოო ჯამში, კვლავ პასუხგაუცემელი დარჩა.
პირველი, ვინც ლუგარის ლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეზე დაიწყო ლაპარაკი, გახლდათ ამერიკელი ჟურნალისტი, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი **ჯეფრი სილვერმანი**. სწორედ მასთან შევეცადეთ რიგი საკითხების საფუძვლიანად გარკვევას.



**— ბატონო ჯეფრი, რა მიზეზებმა განაპირობა 300-მილიონიანი ინვესტიციის ჩადება ლუგარის ლაბორატორიის ასაშენებლად? ამ ლაბორატორიას აშშ დღესაც აფინანსებს...**

— ეს ყველაფერი ბიოლოგიური იარაღის ამკრძალავი კონვენციის გვერდის ავლის მიზნით კეთდება. აშშ-ს არ აქვს უფლება, განაგრძოს სახიფათო ბიოაგენტების (ნივთიერებების) კვლევა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ იარაღად. ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია საკანონმდებლო ქარტიაა, რომელიც კრძალავს ბიოლოგიურ იარაღს, მის გამოყენებას და ცდების ჩატარებას ადამიანებზე.

**— ლაბორატორია მდებარეობს თბილისის აეროპორტთან ახლოს. ხომ არ არის ეს ტაქტიკური სვლა, რომ თვითმფრინავის მეშვეობით გადაიტანონ ვირუსები (ინფექციები) სხვა ქვეყანაში ან პირიქით — სხვა ქვეყნიდან ჩამოიტანონ საქართველოში?**

— ზუსტად ასეა. ლუგარის ლაბორატორია აეროპორტთან ახლოსაა. ბომბების ჩატვირთვას ან ვირუსების გადატანას სხვადასხვა ობიექტზე იქიდან, სადაც ლუგარის ლაბორატორიაა, დიდი დრო არ დასჭირდება. ნახეთ, რა უეფექტოა აშშ-ის ბრძოლა სირიაში ტერორისტებთან. ერთ-ერთი სცენარით, არაბებს, ტერორისტებს და ა.შ. საშუალებას აძლევენ, ერთმანეთი დახოცონ და მას, ვინც ცოცხალი გადარჩება, აშშ გაანადგურებს ბიოიარაღით.

**— თქვენ პირველი ალაპარაკდით ლუგარის ბიოლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეზე...**

— არა, ამ თემაზე რამდენიმე ადამიანი ლაპარაკობდა, თუმცა მათ ცოტა თუ უსმენდა. მე ვარ პირველი, ვინც მიიქცია საერთაშორისო ყურადღება. მე მაქვს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ **ლუგარის ლაბორატორიაში, რომელიც მდებარეობს თბილისის გარეუბანში, აწარმოებენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და ცდიან ადგილობრივ მოსახლეობაზე.** ამ საკითხზე თავის დროზე მივეცი ინტერვიუები გაზეთებს — „საქართველო და მსოფლიოსა“ და „ყველა სიახლეს“. დეტალურად აღვწერე, რომ ეს ლაბორატორია არ არის ის, რასაც მთავრობა გვეუბნება. ლაბორატორია მდებარეობს დასახლება ალექსეევკაში, სადაც ერთი მილის (1,6კმ — ხ.კ) რადიუსში რამდენიმე ათასი ადამიანი ცხოვრობს.

**დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ჯილეხს, ციმბირის წყლულს, შავ ჭირს და ე.წ. ღორის გრიპს. და თუ მოხდება უბედური შემთხვევა, საქართველო აღიგვება დედამიწის პირისგან.**

**— ჭორის დონეზე გვაქვს ინფორმაცია, რომ ასეთივე ლაბორატორია ქუთაისშიც ამოქმედდება...**

— დიახ, სიმართლეა. **ქუთაისში გაცილებით მეტი ბიოაგენტია დასაწყობებული, მაგრამ მეტი ყურადღება ექცევა თბილისის ბიოლაბორატორიას, რომელსაც რუსები განსაკუთრებით აკვირდებიან. ასევე, მოქმედია ე.წ. მცენარეთა ლაბორატორია ქობულეთში.**

ლაბორატორიაში განთავსებულია ოთახები, სადაც წვავენ გვამებს... რაც შეეხება ექსპერიმენტებს ადამიანებზე, ის მიმდინარეობს, საზოგადოდ, მოსახლეობაზე სხვადასხვა სახის გრიპით (ვირუსით) და საექსპერიმენტო ვაქცინით. **ეს საექსპერიმენტო ვაქცინები, რომლებიც გადასცეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, ძალიან საეჭვოა, რადგან შემოწირულია აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ. გაითვალისწინეთ, რომ ცხოვრებაში არაფერია უფასო, ხაფანგში დაგებული სატყუარას გარდა.**

**«დარწმუნებული ვარ, საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ჯილეხს, ციმბირის წყლულს, შავ ჭირს და ე.წ. ღორის გრიპს. და თუ მოხდება უბედური შემთხვევა, საქართველო აღიგვება დედამიწის პირისგან»**

**— მიწისძვრა, ალბათ, განსაკუთრებით სახიფათო ობიექტად აქცევს ლაბორატორიას.**

— ძალიან, რადგან შენობა რამდენიმეჯერ გადააკეთეს. კომპანია „ბეჩტელ ნეიშენალი“, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ის ყოფილ ვიცეპრეზიდენტ **დიკ ჩეინისთან**, შეეცადა, გაეზარდა მოგება. ქვეკონტრაქტორად დაიქირავა თურქული კომპანია, რათა სამუშაო მასალების ეკონომია გაეკეთებინა. თურქებმა კი ძალიან უხარისხოდ შეასრულეს სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ამით ყველამ დიდძალი ფული იშოვა.

**— შესაძლებელია, რომ ქათმისა (H5N1) და ღორის გრიპი(H1N1) ან ჯილეხი გაევრცელებინათ ბიოლაბორატორიიდან?**

— არა, უშუალოდ ლაბორატორიიდან არა, მაგრამ ის გამოუშვეს საქართველოსა და სამხრეთ რუსეთში მეცხოველეობის ინდუსტრიის გასანადგურებლად, განსაკუთრებით — აფრიკული ღორის გრიპი. მე ვესაუბრე ფერმერებსა და სხვა ადამიანებს, რომლებიც ჩართულნი არიან ხორცის ინდუსტრიაში, და ვიცი, რომ, აშკარა პოლიტიკური თუ კვლევითი მიზნების გარდა, საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ხორცის იმპორტი, რათა წინა მთავრობასთან დაახლოებულ რამდენიმე ადამიანს დიდძალი ფული ეშოვა.

**— მთავრობა შეიცვალა, რას ფიქრობთ, შეიცვლება თუ არა პოზიცია ლუგარის ლაბორატორიის მიმართ?**

— რა თქმა უნდა, თუმცა კვლევები დღესაც მიმდინარეობს თბილისში და საქართველოს სხვა ლაბორატორიებშიც.

**— დგას თუ არა საფრთხის ქვეშ ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლების ჯანმრთელობა?**

— ინფიცირება ნამდვილად მოხდა. 2 წლის წინათ ლუგარის ლაბორატორიაში ინფიცირებული პერსონალი საიდუმლოდ გადაიყვანეს „არამიანცის“ საავადმყოფოში სამკურნალოდ და თანხაც გადაიხადეს მედიასაშუალებებისთვის, ინფორმაციის დამალვის მიზნით. ლაბორატორია უნდა განადგურებულიყო 2011 წელს, როდესაც გამოვააშკარავე ეს ამბავი, მაგრამ მაინც გრძელდება არალეგალურ კვლევები. უნდა გვახსოვდეს, რომ ბიოიარაღის პროგრამა აშშ-ის უმსხვილესი ინვესტიციაა საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ლაბორატორიების ქსელის მშენებლობას ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების დაქვემდებარებით.

**— როგორ დავაღწიოთ თავი საშიშ ვირუსებსა და ინფექციებს?**

— ეს მოხდება ლაბორატორიის დახურვით, აგრეთვე, ბიოიარაღის საწყობებისა და იმ ქიმიური ნივთიერებების მოშორებით, რომლებიც შესაძლებელია, გარდაქმნან იარაღად. **უნდა დაიწყოს გამოძიება და გამომზეურდეს ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო აშშ-ის საზღვაო ქვეით ჯარსა და წინა ხელისუფლებას შორის ამ ლაბორატორიების შესახებ... ცხედრები იმ ადამიანებისა, რომლებიც პოტენციურად შეიძლება დაიღუპონ ინფექციისგან, უნდა დაიწვას, რადგანაც ის ინფიცირების მეორადი წყაროა.** საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ბიოლოგიური ნივთიერებების კვლევა საფუძვლიანად უნდა გამოიძიონ, რადგანაც ეს არის ბიოლოგიური იარაღის შესახებ ქარტიის დარღვევა და საერთაშორისო უსაფრთხოების მუქარა. აღარაფერს ვამბობ საქართველოს საზოგადოების ჯანმრთელობაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ესპანურმა გრიპმა, რომელიც 100 წლის წინათ გავრცელდა, 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მსოფლიო მასშტაბით. ბებიაჩემი მეუბნებოდა, იმდენი ხალხი კვდებოდა, დროულად დამარხვასაც ვერ ასწრებდნენო.

**«უნდა დაიწყოს გამოძიება და გამომზეურდეს ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო აშშ-ის საზღვაო ქვეით ჯარსა და წინა ხელისუფლებას შორის ამ ლაბორატორიების თაობაზე»**

**— 2012 წლის თებერვალში ატლანტაში მდებარე ბიოლაბორატორიაში, უსაფთხოების ზომების დაცვის მიუხედავად, აირმა გაჟონა. ვართ კი საკმარისად დაცული მსგავსი შემთხვევისგან?**

— უსაფრთხოება დამოკიდებულია ბიოსაშიშროების დონეზე, რაც ასევე სერიოზული პრობლემაა ლაბორატორიაში, რადგანაც ჰაერის გამწოვები არასწორადაა დამონტაჟებული და საჭიროა მათი გადაკეთება. გაჟონვის შემთხვევაში, აირი სწრაფად უნდა დაკონსერვდეს და არ გააღწიოს გარემოში. არსებობს 4 ბიოდონე და ყოველ დონეს აქვს კონტროლის სპეციფიკური მექანიზმები მიკრობებისა და ბიოლოგიური ნივთიერებების შესაკავებლად. **თბილისის ბიოლაბორატორია არის მე-3 დონის, რაც არ არის საკმარისი, იქ მომუშავეთა და, საზოგადოდ, ქართველი ხალხის უსაფრთხოებისთვის.** თუ აშშ-ის მთავრობა და მისი მოკავშირე ქვეყნები დაჟინებით გააგძელებენ ბიოლოგიური იარაღის კონვენციის დარღვევას, ლაბორატორიის უსაფრთხოების დონე უნდა ამაღლდეს BSL-4-მდე. აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში რამდენიმე ლაბორატორიაა BSL-4-ის უსაფრთხოების სისტემით, სწორედ ასეთი სისტემაა საჭირო საქართველოშიც. თუ უსაფრთხოების ეს დონე არ იქნება თბილისის ლაბორატორიაში, ის უნდა დაიხუროს.

ესაუბრა
**ხვიჩა კონცელიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ისე გვიყურებენ, როგორც მესამე სამყაროს ქვეყანას; უკრაინას არავინ განიხილავს, როგორც სერიოზულ პოლიტიკურ მოთამაშეს. ასე რომ იყოს, ისინი მხარს დაგვიჭერდნენ და ყველაფერს გააკეთებდნენ უკრაინაში უკრაინელებით დაკომპლექტებული ნორმალური ხელისუფლების მოსასვლელად.“**

# ირინა ვერეშჩუკი: ახლა უკრაინაში აღარც დგას ნატოში შესვლის საკითხი, რადგან ნატოში უკრაინას არავინ ელოდება

**უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და საქართველო-უკრაინის ურთიერთობებზე გვესაუბრება უკრაინელი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, უკრაინის ქალაქ რავა-რუსკაიას ყოფილი მერი ირინა ვერეშჩუკი, რომელიც 13-14 ნოემბერს თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ინიციატივითა და თაოსნობით გამართულ საერთაშორისო კავკასიურ მედიაფორუმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა.**



**— საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მიხეილ სააკაშვილმა გამოცემა Politico.eu-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მზად არის, უკრაინის პრემიერმინისტრის პოსტი დაიკავოს. როგორ შეაფასეს ეს განცხადება უკრაინაში? შესაძლებელია, სააკაშვილი მომავალში უკრაინის პრემიერად მოგვევლინოს?**

— დიახ, უკრაინაში ეს შესაძლებელია, რადგან, კანონით, **ჩვენთან პრემიერს ხალხი არ ირჩევს, მას ნიშნავს პარლამენტი. ეს ერთგვარი კულუარული თამაშია და, ვისაც მოისურვებენ, პრემიერად იმას დანიშნავენ ისე, რომ ხალხს არავინ არაფერს ჰკითხავს.** სხვა საკითხია, ეთიკური თუ არის ასეთი საქციელი, მაგალითად, ევროპაში უცხოელს პრემიერად არავინ დანიშნავს.

უკრაინაში შეიქმნა არცთუ კარგი სიტუაცია — ხალხს არ სჯერა მთავრობის, არ ენდობა მას. ამის მიუხედავად, არ ვიცი როგორ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა როგორღაც მოახერხა ხალხის გარკვეული ნაწილის ნდობის მოპოვება. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ სააკაშვილს უკრაინელების დიდი ნაწილი ან თუნდაც ნახევარი უკრაინა ენდობა, მაგრამ თავისი ეპატაჟურობის წყალობით მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობის მოიპოვება შეძლო. ის ხვდება ადამიანებს, ესაუბრება, აცნობს მათ თავისი მუშაობის შედეგებს, თუმცა მისი მრავალრიცხოვანი ინტერვიუების მოსმენის შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილს არ ესმის, უკრანა სამართლებრივი სახელმწიფოა და, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კანონებზე, ცვლილებებზე, უნდა გვახსოვდეს, კანონი ყველასთვის ერთია. **ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი თავს უფლებას აძლევს, გააკრიტიკოს უკრაინის პრემიერმინისტრი, რომელიც მისი ხელმძღვანელია. სააკაშვილი ხომ ხალხს არ აურჩევია, ის, უბრალოდ, დანიშნეს.**

**— დღეს უკრაინაში სააკაშვილის თანამებრძოლი სხვა ქართველი პოლიტიკოსებიც იკავებენ მაღალ თანამდებობებს, რას ფიქრობენ ამაზე უკრაინელები?**

— უკრაინა დიდი ქვეყანაა და, ბუნებრივია, ყველას თავისი აზრი აქვს. არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ ეს ყველაფერი და მათ რიცხვს მეც მივეკუთვნები, რადგან მიმაჩნია, რომ 45 მილიონი უკრაინელიდან შეიძლებოდა ღირსეული კანდიდატების შერჩევა, მაგრამ უკრაინის უმაღლესი ხელისუფლება უკრაინის მთავრობაში თანამდებობაზე რატომღაც უცხოელებს ნიშნავს.

**— საქართველოში ბევრი ფიქრობს, რომ მათ დასავლეთის მითითებითა და მხარდაჭერით ნიშნავენ....**

— დიახ, ჩვენც ვფიქრობთ, რომ **ეს გარედან ჩარევის შედეგად ხდება. ის, ვინც გვაძლევს ფულს, კრედიტებს, ასახელებს იმ გვარებსაც, რომლებიც უნდა დავნიშნოთ.**

**ჩვენ ისე გვიყურებენ, როგორც მესამე სამყაროს ქვეყანას; უკრაინას არავინ განიხილავს, როგორც სერიოზულ პოლიტიკურ მოთამაშეს. ასე რომ იყოს, ისინი მხარს დაგვიჭერდნენ და ყველაფერს გააკეთებდნენ უკრაინაში უკრაინელებით დაკომპლექტებული ნორმალური ხელისუფლების მოსასვლელად.**

**— პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ცოტა ხნის წინათ წერილი გაუგზავნა და სთხოვა, ყურადღება მიაქციოს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც საქართველოში რევოლუციის მოწყობას და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობს. მაგრამ ჩვენი პრემიერის მიმართვას უკრაინის ხელისუფლებამ დუმილით უპასუხა და ამით ერთგვარი უპატივცემულობა გამოხატა საქართველოს ხელისუფლებისადმი. როგორ აისახება ეს ვითარება უკრაინელი და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე?**

— დიახ, ეს ჩანს, როგორც უპატივცემულობა, რადგან რა გამოდის? საქართველოში სააკაშვილი დამნაშავედ ითვლება, უკრაინაში კი ის თანამდებობის პირია. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებამ უფრო მეტი უნდა იმუშაოს უკრაინის საინფორმაციო ველზე. **ის, რომ თქვენმა ხელისუფალმა უკრაინის მთავრობას მიმართა, უკრაინაში მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრემ იცის. ხალხს არ აქვს ინფორმაცია, ჩვენთან ტელევიზიებში ცენზურაა და ასეთ ინფორმაციას ტელეარხები არ გადასცემენ. ხოლო ის ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც დღეს უკრაინაში მოღვაწეობენ, აცხადებენ, რომ ისინი მართლები არიან და მათ წინააღმდეგ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება პოლიტიკურ დევნას ახორციელებს.** ხალხმა ეს დაიჯერა, რადგან ანალოგიური მაგალითები, როდესაც ახალი მთავრობა ყოფილი ხელისუფლებას პოლიტიკურად დევნის, უკრაინაშიც ბევრი ყოფილა. ამას გარდა, უკრაინელი ხალხი ახლა გადარჩენისთვის იბრძვის, მათ თავიანთი პრობლემები აქვთ და არ აქვთ საშუალება, გააანალიზონ, რა ხდება რეალურად.

**რატომ არ ჩამოვა, მაგალითად, საქართველოს პრემიერი უკრაინაში და არ გამართავს პრესკონფერენციას, სადაც სიმართლეს იტყვის? საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები რომ ჩამოსულიყვნენ უკრაინაში სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილებით, სადაც სააკაშვილი დამნაშავედაა ცნობილი და პირდაპირ ეთქვათ მისთვის — თქვენ ხართ სახელმწიფო დამნაშავე და პასუხი აგეთ კანონის წინაშეო, სხვა საქმე იქნებოდა.** ჩვენთან ფუნქციონირებენ ოპოზიციური ტელეარხები, მაგალითად, კოლომოისკის ტელევიზია, რომლებიც სიამოვნებით გააშუქებდნენ ამ ინფორმაციას.

**— უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა უზარმაზარი ზარალი და მსხვერპლი მოუტანა ქვეყანას. ხომ არ ნანობს უკრაინის მოსახლეობა მაიდანზე განვითარებულ მოვლენებს?**

— რევოლუციიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ უკრაინის მოსახლეობას აპათია დაეუფლა. მაიდნის შემდეგ, როდესაც დონბასში სროლები დაიწყო, ხალხს შეეშინდა, მაგრამ მაინც მხნედ იყო. მაგრამ ახლა ხშირად მესმის, როგორ ნანობენ ადამიანები და ამბობენ, რატომ დავიწყეთ ეს ყველაფერი, რა შეიცვალა, პირიქით — ყველაფერი უარესადააო. ბოლო სოციალური გამოკითხვების თანახმად, უკრაინის ხელისუფლებისადმი ნდობის ხარისხიც საგრძნობლად შემცირდა. წარმოიდგინეთ, როგორი ენერგიითა და ცვლილებების სურვილით იდგნენ მაიდანზე ადამიანები, ახლა კი მათი განწყობა შეიცვალა.

**— როგორ ფიქრობთ, ვინ არის უკრაინაში სიტუაციის გამწვავებით დაინტერესებული?**

— გეტყვით, რას ამბობენ პოლონელები. ისინი ახლა არც უკრაინის და არც რუსეთის მხარეს არ არიან და ბარიკადების მიღმა დგანან. ამას წინათ, **ვესაუბრებოდი ერთ-ერთ პოლონელ რეფორმატორს, რომელმაც მითხრა, რომ უკრაინის ომი და საბოლოო შედეგი უკრაინელებზე არ არის დამოკიდებული. ისინი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენენ სიტუაციაზე, საჭიროა ორმა დიდმა სახელმწიფომ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა — მოილაპარაკოსო.** ანალოგიური სიტუაცია იყო საქართველოში 2008 წლის ომის დროს, როდესაც საქართველოში ომის ბედი, ფაქტობრივად, არ იყო ქართველებზე დამოკიდებული. **თქვენ ხომ გესმოდათ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში წააგებდით ომს, რადგან საქართველო რუსეთზე გაცილებით პატარაა, გაცილებით ცოტა იარაღი აქვს, ამიტომ რუსებთან შეჯიბრება არ შეიძლება. რუსეთს შეიძლება, დიპლომატიაში შევეჯიბროთ, მაგრამ მასთან ულტიმატუმის ენით საუბარი არ გამოვა.**

უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანებს, თორემ ვის რად უნდა ცარიელი მიწა ადამიანების გარეშე?! მაგალითად, ახლა ჩვენთან დონბასი დაბომბილი და მიწასთან გასწორებულია. ბევრი გაიქცა, ბევრიც მოკლეს. ეს უამრავი ადამიანის, მომავალი თაობების დამახინჯებულ ბედს ნიშნავს. **რატომ? როგორ? რა მოვიგეთ? რას ვიყოფთ? მიწისთვის კი არა, ადამიანისთვის უნდა იბრძოლო...**

**— ცნობილია საქართველოსა და უკრაინის სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისკენ, თუმცა, ასევე, ცნობილია პოზიცია რუსეთისა, რომელიც აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციებში საქართველოსა და უკრაინის გაწევრების წინააღმდეგია. ამ ფონზე როგორ გესახებათ უკრაინულ-რუსული და რუსულ-ქართული ურთიერთობების განვითარება?**

— უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა, ჩვენი მეზობელი და ამას ვერ შევცვლით. ეს რეალობაა და ახლა ლაპარაკი იმაზე, რომ საერთოდ არ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები, შეუძლებელია. **ჩვენ დავინახეთ, რომ ევროპას არ შეუძლია ისეთი დახმარების გაწევა, როგორიც საჭიროა. თუნდაც 2008 წლის ომის დროს, როგორ დაგეხმარათ ევროპა? კი, ბატონო, ჩამოვიდა კაჩინსკი, სხვა ქვეყნების ლიდერებიც ჩამოვიდნენ, მაგრამ მათ რუსეთის წინააღმდეგ ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლეს, რადგან ამ შემთხვევაში, საკუთარ ინტერესებზე უნდა ეთქვათ უარი.** მართალია, უკრაინის შემთხვევაში, ევროპა უფრო აგრესიული იყო რუსეთის მიმართ, უფრო ეხმარებოდა უკრაინას, მაგრამ, ამის მიუხედავად, უკრაინისთვის საკმარისი არც ეს დახმარება აღმოჩნდა და **კონფლიქტის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ უკრაინა მარტო აღმოჩნდა დიდი სახელმწიფოს — რუსეთის წინაშე, რომელსაც არ სურს, რომ ნატო იყოს მისი საზღვრების სიახლოვეს. ჩემი სუ-** ▶

**«რატომ არ ჩამოვა, მაგალითად, საქართველოს პრემიერი უკრაინაში და არ გამართავს პრესკონფერენციას, სადაც სიმართლეს იტყვის?»**

**კონფლიქტის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ უკრაინა მარტო აღმოჩნდა დიდი სახელმწიფოს — რუსეთის წინაშე, რომელსაც არ სურს, რომ ნატო იყოს მისი საზღვრების სიახლოვეს**

**ძიძიგური პარლამენტში ნუკრი ქანთარიასა და გია ვოლსკის გვერდით ზის, იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც ავტომატით ებრძოდნენ ეროვნულ მთავრობას. „კარვის ქალს“ მიწოდებენ, მაგრამ ამით ვამაყობ, რადგან ერთი აგური ჩემი სამშობლოს ასაშენებლად დადებული მაქვს.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიექტური აზრით, ახლა უკრაინაში აღარც დგას ნატოში შესვლის საკითხი, რადგან ნატოში უკრაინას არც არავინ ელოდება...**

უნდა გააანალიზოთ, რას მოიგებს და რას წააგებს საქართველო ნატოში გაერთიანებით. თუ რუსეთი თქვენი ქვეყნის დაბომბვას დაიწყებს, დაეხმარება კი ნატო თავისი ჯარისკაცებით საქართველოს? აუცილებელია, ასეთი საკითხების გადასაჭრელად საერთო-სახალხო რეფერენდუმი ჩატარდეს და მნიშვნელოვანი საკითხები ხალხმა გადაწყვიტოს.

ამ ომმა ემოციები გაალვიძა ჩვენში, ამიტომ **კარგად უნდა დავფიქრდეთ, ნუთუ შეგვიძლია ამდენი ხალხის სიცოცხლე შევწიროთ მსხვერპლად რომელიმე სამხედრო კავშირში შესაძლო გაწევრებას?! იქნებ უკეთესი იყოს, საქართველო და უკრაინა გაერთიანდეს რაღაც ალიანსში, ყოველგვარი ნატოს გარეშე?! აგრეთვე, არის მოლდოვა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები, რომლებთანაც შეიძლება მოლაპარაკება და გარკვეული კავშირის შექმნა. თუნდაც ეს ნუ იქნება სამხედრო კავშირი, მაგრამ დავეხმაროთ ერთმანეთს.**

ასე რომ, სერიოზული კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რისკები შევამციროთ და **ისიც უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთი, რა თქმა უნდა, ნებისმიერი სიტუაციით ისარგებლებს. რატომაც არა?! ის ხომ მსოფლიო დონის მოთამაშეა.** ამას კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ.

**— საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მომხდარმა ტერაქტმა მსოფლიო შეაძრწუნა. რა უნდა გააკეთოს საერთაშორისო საზოგადოებამ ტერორიზმის წინააღმდეგ?**

— პარიზში მომხდარი ტერაქტი ნათელი მაგალითია იმისა, როგორი გლობალიზებულია დღევანდელი მსოფლიო და არავინ იცის, ხვალ რომელ სადარბაზოში მოხდება აფეთქება, არავინ იცის, ვინ იქნება შემდეგი, ამიტომაა აუცილებელი გაერთიანება, ახალი გზების ძებნა.

ამ კონფლიქტის საფუძველიც ხომ წარსულში ჩაისახა? ამიტომ უნდა დაისვას კითხვები: **როგორ მოხდა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ასეთ ძლიერ მებრძოლ არმიად იქცა? როგორ მოხდა, რომ უკანონო არმიას ამდენი იარაღი აქვს? ვინ აფინანსებდა მათ? როგორ და რატომ დაუშვა ამერიკამ, რომ, ფაქტობრივად, ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა? მათ აქვთ გავლენა მსოფლიოზე და პასუხისმგებლები არიან იმაზე, რაც დღეს ხდება...**

ალმოჩნდა, რომ ევროპაში ადამიანების უსაფრთხოება დაცული არ არის. ეს საშინელებაა. სამყარო მესამე მსოფლიო ომისკენ ისწრაფვის და ვერ მოიძებნა ჭკვიანი ხალხი, რომელიც გადაწყვეტილებებს მიიღებს. ეს აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, უამრავი ადამიანი დაიღუპება.

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

# «რამ დააყრუა, დააბრმავა და დაამუნჯა ზვიად ძიძიგური, გუბაზ სანიკიძე, ბიძინა გუჯაბიძე, უსახურ პოლიტიკოსებს რომ ემონებიან?»

**რამდენიმე დღის წინათ რედაქციის ოფისში გვესტუმრა ქალბატონი, რომელიც ძალიან აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ დეპუტატებმა — ზვიად ძიძიგურმა და ელგუჯა გუჯაბიძემ მხარი არ დაუჭირეს პარლამენტში განსახილველად წარდგენილ კანონპროექტს პრემიების აკრძალვის თაობაზე, თუმცა ქალბატონის აღშფოთება მხოლოდ ამით არ იყო გამოწვეული, ის ამ ადამიანებს გულგრილობასა და უყურადღებობაშიც ადანაშაულებს. ქალბატონი, რომელიც რედაქციაში გვესტუმრა, რუსუდან პერტაიაა, ე.წ. კარვის ქალი, რომელიც წარსულით ამაყობს. რუსუდან პერტაია ილია მართლის საზოგადოების ყოფილი წევრია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერი თანამშრომელი.**



**— ქალბატონო რუსუდან, რატომ გაგაბრაზათ ზვიად ძიძიგურმა?**

— მხოლოდ ძიძიგურზე არ ვარ გაბრაზებული. მასთან ერთად ბიძინა გუჯაბიძე და გუბაზ სანიკიძეც მინდა ვახსენო. გუჯაბიძე თავის დროზე სააკაშვილის დახმარებით მოხვდა პარლამენტში და ახლა ბიძინას დახმარებით არის, ორივე შემთხვევაში სავარძელს ეფერებოდა. ოღონდ ამჯერად იცის, რომ ველარ მოხვდება პარლამენტში და, როგორც არასდროს, ისე უფრთხილდება თბილ სავარძელსა და კარიერას.

**ზვიად ძიძიგური, პირველ რიგში, იმიტომ ვახსენე, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ეროვნული მოძრაობიდან მოდის და ყველაფერი დაივიწყა. დაივიწყა, როგორ ვიბრძოდით და ვიდექით ზვიად გამსახურდიას გვერდით. გუჯაბიძისა და ძიძიგურის წინააღმდეგობამ პარლამენტში შეტანილ კანონპროექტზე, რომელიც პრემიების აკრძალვასა და კონტროლს ითვალისწინებდა, შემაშფოთა, მივხვდი, მათ ფული უფრო აინტერესებთ, ვიდრე ქვეყნის ბედი.** ხალხის ბედი რომ აწუხებდეთ, ამდენი ხნის განმავლობაში კანცელარიასთან მოშიმშილეებსაც მოინახულებდნენ.

ნუთუ **დაავიწყდა ზვიად ძიძიგურს, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის — ნინო ბურჯანაძის კაბინეტის წინ, თბილ გარემოში, საარჩევნო კანონის შეცვლის მოთხოვნით რომ შიმშილობდა და ყველა ის ადამიანი, რომელიც დღეს სიცივეში კანცელარიასთან ზის, სანახავად მიდიოდა და სოლიდარობას უცხადებდა?!** ნუთუ, ერთხელაც არ მოუვიდა თავში აზრად ძიძიგურს, ეს ადამიანები მოინახულოს, დაელაპარაკოს და ხელისუფლებას ამბავი მიუტანოს?! კანცელარიასთან ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი **ლევან თედიაშვილი** შიმშილობს. **ნუთუ ერთხელაც არ შეაწუხა სინდისმა ძიძიგური, გუჯაბიძე და გუბაზ სანიკიძე? რატომ არ გაუჩნდათ სურვილი, რომ ამ დიდებული კაცისთვის ეკითხათ, რამ მიიყვანა იმ ზღვარზე, რომ შიმშილობს, რამ გააბრაზა?**

ამ სამ ადამიანს იმიტომ ვახსენებ, რომ ისინი თავისი „ეროვნულობით“ ტრაბახობენ. **ეროვნულობა 800-დოლარიანი ჩოხის ჩაცმას არ ნიშნავს.** წარსული გაიხსენონ. როდესაც ზვიად ძიძიგური ციხეში იჯდა, მის სანახავად, მიუხედავად დიდი საფრთხისა, უამრავი ადამიანი დადიოდა და თანაუგრძნობდა. თუმცა დღეს ეს აღარ ახსოვს — ჯერ მიშას ყურმოჭრილი მონა იყო, ახლა თინა ხიდაშელის მონაა და კიდევ — „იმისი“. და როცა „ის“ უბრძანებს, ძიძიგური, ალბათ, მაშინ მივა მოშიმშილეებთან.

მივმართავ მათ: **ჰეი, თქვენ, ამისთვის ვიბრძოდით? გაიხადეთ ძვირად ღირებული ჩოხები. ეროვნულობა პრეზერვატივის აკრძალვა არ არის!**

ბიძინა გუჯაბიძე – „ეროვნული კაცი“, რომელმაც თავის რაიონში კენჭი ვერ იყარა და სადღაც ადიგენში წავიდა მაჟორიტარად, იმის ნაცვლად, რომ ავტორიტეტი აიმაღლოს და მნიშვნელოვან პროცესებში დადებითი წვლილი შეიტანოს, ზის ახლა გასუსული და ელოდება, ვინ რას უბრძანებს.

ზვიად გამსახურდიას შემდეგ არჩევნებზე პირველად 2012 წელს მივედი. მჯეროდა, რომ ის, რასაც წინასაარჩევნოდ ამბობდნენ, ასრულდებოდა.

**„ოცნების“ ხელმძღვანელობას სულ ვეუბნებოდი, რომ სამართლიანობის აღდგენა 1992 წლიდან უნდა დაიწყოს, უნდა გამოიძიონ, ვინ მოაწყო სამხედრო შეიარაღებული გადატრიალება და მაშინ, მართლაც აეხდება ყველაფერს ფარდა, მაშინ გაირკვევა ამ ქვეყანაში ვინ არის უკანონო და ვინ — კანონიერი.**

მჯეროდა, ბიძინა ივანიშვილის და იმ ადამიანებისა, რომლებიც გვერდით ედგა, ყველასი არა, მაგრამ — უმრავლესობის. მეგონა, პირად შემოსავლებზე არ იზრუნებდნენ, რადგან ისედაც ბევრი აქვთ, თუმცა ასე არ აღმოჩნდა. მათ ყველაფერი სჭირდებათ: ფულიც, დიდებაც, თანამდებობაცა და დიქტატურაც. საგარეჯოს არჩევნებმა ბევრი რამ დაგვანახვა.

არ ვიცი, რა გააკეთა **თინა ხიდაშელის** ბიძაშვილმა იმაზე მეტი, ვიდრე სხვამ. ჩვენ წვიმაში, თოვლში, ქარში ქუჩაში დავძრწოდით და „ოცნებისთვის“ ხმებს ვაგროვებდით.

**რესპუბლიკური პარტია, რომელიც 1992 წლიდან ხალხში ყველაზე უარყოფითი ავტორიტეტით სარგებლობს, თავზე დაგვასვეს.** რესპუბლიკელები ეროვნულები არასოდეს ყოფილან. ზვიად გამსახურდიას იდეის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ზვიადისა, რომლის მსგავსიც საუკუნეში ერთხელ იბადება. ეს ის ადამიანია, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოს ზვარაკად შესწირა. რესპუბლიკელი ძმები ვითომ პოლიტპატიმრები იყვნენ, ვითომ სამშობლოსთვის წუხდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ საბჭოთა უშიშროების დაკვეთას ასრულებდნენ. რესპუბლიკური პარტია შექმნეს ცუდი საქმისთვის, ასეთი პარტია ყველა მთავრობას ჰყავდა და ჰყავს.

**რამ დააყრუა, დააბრმავა და დაამუნჯა ზვიად ძიძიგური, გუბაზ სანიკიძე, ბიძინა გუჯაბიძე, უსახურ პოლიტიკოსებს რომ ემონებიან, ხმის ამოღების უფლებას ვერ აძლევენ თავს და ამომრჩევლის ხმა არ ესმით?**

**— როდის „გაფუჭდა“ ზვიად ძიძიგური?**

— ზვიადი ჩვენ გვერდით იდგა. ილია მართლის საზოგადოების წევრი იყო და 1996 წელს დააპატიმრეს, მის პატიმრობას პოლიტიკური სარჩული ედო. 2002 წელს გამოუშვეს ციხიდან და ადამიანი ველარ ვიცანით. ძალიან შეცვლილი იყო. სააკაშვილის აქციების დროს გააქტიურდა. შემთხვევით შემხვდა და ვკითხე, — ზვიად, რა გინდა სააკაშვილისა და ჟვანიას გვერდით-მეთქი. მიპასუხა: „რუსუდან, შენ არ იცი, მიშა ვინ არის, ის მეორე ზვიად გამსახურდიაა. მათი იდეოლოგია ერთია“.

როგორც ჩანს, ოღონდ თანამდებობაზე იყოს და, ძიძიგურისთვის მიშაც ზვიადია და ბიძინაც. **ძიძიგური პარლამენტში ნუკრი ქანთარიასა და გია ვოლსკის გვერდით ზის, იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც ავტომატით ებრძოდნენ ეროვნულ მთავრობას. „კარვის ქალს“ მიწოდებენ, მაგრამ ამით ვამაყობ, რადგან ერთი აგური ჩემი სამშობლოს ასაშენებლად დადებული მაქვს.**

არ ვიცი, 1992 წელს პირველმა ვინ ისროლა — ქანთარიამ თუ ვოლსკიმ, მაგრამ, როდესაც სროლა ატყდა, ბოძს ამოვეფარე. ჩემთან ერთად მყოფი **აველინა პერტია** კი მოკლეს. ცხედარი სამი დღის შემდეგ ძლივს წაიღეს მისმა ძმებმა სამეგრელოში. მაშინ ზუსტად არ დამინახავს იარაღი ვოლსკის ეჭირა ხელში თუ ქანთარიას. დღეს ეს ადამიანები ჭკუას გვარიგებენ და დაპირებებს გვაძლევენ, მათ გვერდით კი ზოგიერთი ეროვნულობით ტრაბახობს.

**პატარა კაცებო, თქვენისთანა „ეროვნულებმა“ დაამხეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი.**

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

**«კანცელარიასთან ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ლევან თედიაშვილი შიმშილობს. ნუთუ ერთხელაც არ შეაწუხა სინდისმა ძიძიგური, გუჯაბიძე და გუბაზ სანიკიძე? რატომ არ გაუჩნდათ სურვილი, ამ დიდებული კაცისთვის ეკითხათ, რამ მიიყვანა იმ ზღვარზე, რომ შიმშილობს, რამ გააბრაზა?»**

**«ჰეი, თქვენ, ამისთვის ვიბრძოდით? გაიხადეთ ძვირად ღირებული ჩოხები. ეროვნულობა პრეზერვატივის აკრძალვა არ არის! ბიძინა გუჯაბიძე — «ეროვნული კაცი», რომელმაც თავის რაიონში კენჭი ვერ იყარა და სადღაც ადიგენში წავიდა მაჟორიტარად, იმის ნაცვლად, რომ ავტორიტეტი აიმაღლოს და მნიშვნელოვან პროცესებში დადებითი წვლილი შეიტანოს, ზის ახლა გასუსული და ელოდება, ვინ რას უბრძანებს»**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სსრკ-ის დაშლის შემდეგ, აგერ მეოთხედი საუკუნეა, დაუსჯელად პარპაშებდა აშშ-ის იმპერია, მაგრამ განგებამ რუსეთს ამჯერად ვლადიმერ პუტინი მოუვლინა მხსნელად და ეს უკვე მერამდენედ აშშ-ს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ — რუსეთი ძლევამოსილად დაბრუნდა დიდ პოლიტიკაში.**

# პარიზის ტერაქტი —

## ბებერ ევროპას იქნებ გაახსენდეს, რომ ნამდვილი ევროპული ღირებულებები ქრისტიანულ მორალზე აღმოცენებული ცხოვრების წესია და არა ლგბტ-პედერასტია

**ის, რაც კარგია ამერიკისთვის, კარგია მსოფლიოსთვისაც — ამ სენტენციის მართებულობაში დარწმუნებული იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტები და გამონაკლისი არც ბარაკ ობამაა. ამერიკელი ერის განსაკუთრებულობაში არც ბარაკს ეპარება ეჭვი და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოში „ამერიკული დემოკრატიის“ ექსპორტის (სადაც საჭიროა, ცეცხლითა და მახვილითაც) განსაკუთრებული მისიაც დაიკისრა.**



პარიზში 13 ნოემბერს მომხდარმა ფაქტმა მსოფლიო შეძრა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ევროპა არა მხოლოდ შეაძრწუნა პარიზის ტერაქტმა, არამედ სერიოზულად ჩააფიქრა... რაც არის კიდეც წინამდებარე წერილის მთავარი თემა, მაგრამ მანამდე მცირე ისტორიული ექსკურსი, რათა უკეთ გავერკვიოთ, რატომ მოხდა ეს საშინელება, და მთავარი — **რა მოხდება ხვალ, თუ საჭირო დასკვნებს არ გააკეთებს არა მხოლოდ ევროპა, არამედ კაცობრიობა...**

**აშშ, რომელიც მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა გეოპოლიტიკაში, ნელ-ნელა იქცა დასავლეთის „თავისუფალი სამყაროს“, გნებავთ, „დემოკრატიის“ მთავარ მედროშედ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — ჯერ ნახევარი ევროპის, ხოლო სსრკ-ის დაშლის შემდეგ მსოფლიოს ჟანდარმად. მას შემდეგ, აგერ მეოთხედი საუკუნეა, დანარჩენ მსოფლიოს გვასწავლიან, როგორ უნდა ვიცხოვროთ...**

თვითონ უმეტესად უღმერთონი ან უკეთეს შემთხვევაში, სექტანტი მწვალებლები და მხოლოდ „კუჭის ფილოსოფიით“ მცხოვრებნი (ანუ ჩემ შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა) მათ მიერ დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები მიგვანიშნებენ, რა უნდა გვძულდეს და რა გვიყვარდეს.

ერთი სიტყვით, გვიქადაგებენ, რომ მხოლოდ მამონაა ღმერთი ჭეშმარიტი და დოლარია მოციქული მისი. და **თუ გრანტიყლაპია „ასო“-ების გარჯამ უნაყოფოდ ჩაიარა და მაინც არ იწამე მათი ღმერთი, მაშინ ან „ფერად რევოლუციას“ მოგიწყობენ, ანდა უხეში სამხედრო ძალით შემოგივარდებიან სახლში და დაგიმყარებენ „მამონას დემოკრატიას“ ისე, როგორც ავღანეთში, ერაყში, სერბეთში, ლიბიაში, ეგვიპტეში, ტუნისში, სირიაში, უკრაინაში და ა.შ. დაამყარეს „დემოკრატიული სამოთხე“...**

თუმცა რაღა შორს მივდივართ, მართალია, ჯერ არ დაუბომბივართ, მაგრამ ჩვენთან, საქართველოშიც, ანალოგიური ვითარება არ არის?!

**სააკაშვილის რეჟიმში აღზრდილი ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი განა „კუჭის ფილოსოფიის“ მონები არ არიან?! ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება“ განა ფეხებზე არ ჰკიდიათ?!**

სამწუხაროდ, **მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონის, ო'ჰენრის, ერთი სიტყვით, კეთილშობილი რაინდების, „კოვბოების“ რომანტიული ამერიკა, დიდი ხანია, ისტორიის მოუსავლეთს ჩაბარდა და მისი ადგილი ლგბტ-პედერასტების ამერიკამ დაიკავა.**

ეს ისე, მცირე ლირიკული ჩანართი...

ახლა აშშ-ის მოკავშირე (წაიკითხე — მონა) ევროკავშირის ჯერი დადგა, რომელმაც თავისი სუვერენიტეტის უმეტესი ნაწილი ნებაყოფლობით გადასცა აშშ-ს, რომლისგანაც სანაცვლოდ უსაფრთხოების გარანტიები მიიღო, მაგრამ...

სწორედ ამერიკული დემოკრატიის ექსპორტის შედეგია, რომ ევროპას მილიონობით ლტოლვილი მიაწყდა ე.წ. არაბული გაზაფხულის ქვეყნებიდან... ამის გამო განაცხადა ა.წ. 29 სექტემბერს გაეროს საიუბილეო ასამბლეის მაღალი ტრიბუნიდან რუსეთის პრეზიდენტმა დასავლეთის (წაიკითხე — აშშ) მისამართით — „ვი ხოტ ზნაეტე, ჩტო ნატვარილი?!“, რაც პირდაპირი თარგმანით უწყინარ — „იცით კი, რა ჩაიდინეთ?“-ს ნიშნავს, მაგრამ კონტექსტის გათვალისწინებით, შინაარსობრივად, უკაცრავად და, უფრო ჰგავს — „რა ბებიათქვენის მიირთვით?!“

ასე იყო თუ ისე, **ვლადიმერ პუტინმა** მისთვის ჩვეული პირდაპირობით თქვა სათქმელი და ისე, რომ პასუხსაც არ დაელოდა, მეორე დღესვე შეუდგა სირიაში ამერიკელთა „ნატვარილის“ გამოსწორებას და ბოლო ორ თვეში რუსეთის ავია-კოსმოსურმა ძალებმა ისეთი ძალისა და სიზუსტის დარტყმები მიაყენეს ისლამურ ხალიფატს, როგორიც აშშ-მა 2 წლის განმავლობაში „ვერ მოახერხა“ — დიახ, წინწკლებში, რადგან **„ისლამური სახელმწიფო“, ისევე როგორც „ალ ქაიდა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები, ერაყში აშშ-ის შეჭრის შედეგად შეიქმნა და დღეს ამ „ისლამურ სახელმწიფოს“ ვითომ პენტაგონის ხელით ებრძვის აშშ, სინამდვილეში სპეცსამსახურების ხელით აფინანსებს და აძლიერებს, რათა ეს ტერორისტული ძალა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაში დაბრუნებულ რუსეთს დაუპირისპიროს.** აშშ-ის კონტროლიდან ასეთი ძალების გამოსვლის მაგალითები, თუნდაც იმავე „ალ ქაიდასა“ და ბინ ლადენის სახით, უკვე ვნახეთ და გამონაკლისი არც „ისლამური სახელმწიფო“ აღმოჩნდა...

ჰოდა, აი შედეგიც: ა.წ. იანვარში ალაჰის მოციქულ მუჰამედზე უხამსი კარიკატურების ავტორი „შარლი ებდოს“ რედაქცია დახვრიტეს, რასაც ევროპამ იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადათ ისლამური სამყაროსთვის, აქაოდა, ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას ვერავინ დაგვიშლისო, ევროკავშირის სახელმწიფოთა ლიდერებმა, **ფრანსუა ოლანდისა** და **ანგელა მერკელის** მეთაურობით, ელისეს მინდვრები დემონსტრაციულად ჩაიარეს სკანდირებით — „მე შარლი ვარ“... პარიზის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

თუმცა ტერორისტული აქტი უწოდო იმას, რაც 13 ნოემბერს პარიზში მოხდა, ნიშნავს, რომ არაფერი თქვა, რადგან ეს უკვე ნამდვილი ომის დასაწყისია უსასტიკეს „ისლამურ სახელმწიფოსა“ და ცივილიზებულ სამყაროს შორის.

ამის გამო ანტალიაში გამართულ დიდი ოცეულის სამიტზე, რუსეთის პრეზიდენტმა ბარაკ ობამას უკვე მერამდენედ შესთავაზა „ისლამური სახელმწიფოსა“ და, ზოგადად, ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ შექმნილი კოალიციის მსგავსად, ერთიანი კოალიციის შექმნა, მაგრამ კვლავ უარი მიიღო, რადგან აშშ-ს, „ისლამური სახელმწიფო“ კი არა, რუსეთის წარმატებები ადარდებს სირიაში, რომელთა წყალობით ვლადიმერ პუტინი სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს აშშ-ის მოკავშირე ევროპის ქვეყნებშიც კი.

უნდა ითქვას, რომ **გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, აშშ-ის უპირველესი მიზანი რუსეთის სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცება და პოლიტიკური რუკიდან წაშლა არის.**

**მეფის რუსეთი არ მოსწონდათ და ამიტომაც მოუწყვეს პირველ მსოფლიო ომში პრაქტიკულად გამარჯვებულ რუსეთის მართლმადიდებლურ მონარქიას ჯერ 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და შემდეგ, იმავე წელს, ბოლშევიკური გადატრიალება, რომელშიც, სხვებთან ერთად, აშშ-ის უოლსტრიტმაც დაიდო წილი.** და თითქოს მიაღწიეს კიდეც მიზანს — მართლმადიდებელი მონარქია დაემხო, მაგრამ დიდმა **სტალინმა,** რომ იტყვიან, ფერფლიდან აღადგინა ქვეყანა და ცარისტულ რუსეთზე გაცილებით მძლავრი წითელი იმპერია შექმნა.

ჰიტლერული გერმანიაც მასონური ძალების მიერ იყო შექმნილი, ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის დასამხობად, მაგრამ, „ისლამური სახელმწიფოსი“ არ იყოს, ფაშისტური გერმანიაც გამოვიდა შემქმნელთა კონტროლიდან და, ევროპის დაპყრობის შემდეგ, როდესაც თავის შემქმნელებს მიადგა ჩასაყლაპავად, მაშინ მოვიდნენ გონს ბრიტანეთი და აშშ, — ეს რა „ნატვარილიო“ და ისევ სტალინს მიადგნენ, — არიქა, ერთად დავამარცხოთ ფაშიზმიო.

**სსრკ-ის დაშლის შემდეგ, აგერ მეოთხედი საუკუნეა, დაუსჯელად პარპაშებდა აშშ-ის იმპერია, მაგრამ განგებამ რუსეთს ამჯერად ვლადიმერ პუტინი მოუვლინა მხსნელად და ეს უკვე მერამდენედ აშშ-ს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ — რუსეთი ძლევამოსილად დაბრუნდა დიდ პოლიტიკაში.**

ამერიკული ცინიკური ანდაზაა: კარგი ინდიელი — მკვდარი ინდიელიო. და, აქედან გამომდინარე, ამერიკელებისთვის კარგი რუსეთი დაშლილ-დაქუცმაცებული რუსეთია, მაგრამ არ იქნა ამ ამერიკული ოცნების ახდენა.

დავუბრუნდეთ ევროპას და, კერძოდ, პარიზს.

**როგორც ერთმა პოლიტოლოგმა ამ დღეებში შენიშნა, ევროპა, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკულად აღარ არსებობს და ის მხოლოდ ამერიკელთა ხუშტურების აღმსრულებელი ობიექტია.**

თუმცა იყო ერთი მცდელობა აშშ-ის დიქტატიდან გამოსვლისა, როდესაც გენერალმა **შარლ დე გოლმა** ამერიკის სანაპიროს დოლარებით დატვირთული 2 გემი მიაყენა და, როგორც ბანკნოტებზე იყო აღნიშნული, დოლარების გარანტირება ძვირფასი მეტალის სახით მოითხოვა. და მიიღო კიდეც ტონობით ოქრო საფრანგეთის ხაზინამ.

ამის შემდეგ გაქრა დოლარის მწვანე ბანკნოტებზე გარანტიის წარწერა...

შემდეგ იყო და, დე გოლმა ანტისტალინური ისტერიით მოცულ მოსკოვში ვიზიტისას ლეონიდ ბრეჟნევს კატეგორიულად მოსთხოვა სტალინის საფლავთან მიყვანა. მან ყვავილებით შეამკო ფაშიზმის დამმარცხებელი გენერალისიმუსის საფლავი. შემდეგ, როდესაც კოსმოდრომ ბაიკონურის დათვალიერებისას რუკა უჩვენეს, რომელზეც სხვა დედაქალაქებთან ერთად, საფრანგეთის დედაქალაქზეც იყო დამიზნებული საბჭოთა ბირთვული რაკეტები, პარიზში დაბრუნებულმა დე გოლმა საფრანგეთი ნატოს სამხედრო ბლოკიდან გამოიყვანა.

ეს კი აღარ აპატიეს დიდ ფრანგს ამერიკელებმა და ე.წ. სტუდენტური ბუნტი მოუწყვეს საფრანგეთის გადამრჩენელ გენერალს, რომელიც გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან და თანამემამულეთაგან შეურაცხყოფილი მალე საკუთარ მამულში გარდაიცვალა.

პარიზზე ტერორისტულმა შეტევამ ლგბტ-პედერასტების დამცველი პრეზიდენტ **ფრანსუა ოლანდის** რეიტინგი მნიშვნელოვნად დასცა, შესაბამისად, **მარინ ლე პენის** რეიტინგმა ისე აიწია, რომ მისი პრეზიდენტობა მომავალ არჩევნებში თითქმის უეჭველია. ეს კი ფრანგული სირცხვილის — ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებების — დასასრულს, ემიგრანტების „უპრაგონოდ“ მიღების აკრძალვას, ამერიკის ვასალობიდან გამოსვლასა და რუსეთთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას ნიშნავს.

პარიზის ტერაქტი ევროკავშირის სხვა ქვეყნების ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური, კონსერვატიული ძალების გაძლიერებასაც გამოიწვევს და ვინ იცის, ბებერ ევროპას იქნებ გაახსენდეს, რომ ნამდვილი ევროპული ღირებულებები ქრისტიანულ მორალზე აღმოცენებული კულტურა და ტრადიციული ცხოვრების წესია და არა ლგბტ-პედერასტია.

**ჰოდა, გაუმარჯოს ასეთ ევროპას!**

**დავით მხეიძე**

**ნუ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ, ქართველები, ან, თუნდაც, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ყაზახები და სხვები ევროპელებს შევეცოდებით. ევროპელებს მხოლოდ ერთ შემთხვევაში შევეცოდებით — როცა ეს მათთვის არის მომგებიანი ეკონომიკურად და პოლიტიკურად; ხოლო, თუ არ ვართ მომგებიანები, წყალსაც წავუღივართ! დაგვიხოცია ერთმანეთი! და, რაც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება ჩვენი მსხვერპლი, მით უკეთესი ევროპელებისთვის, რადგან არაევროპელები, მათი პრაგმატული ჭკუის მიხედვით, ველურები ვართ.**

ჩეჩლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპული თვალთმაქცობა და ქართული პროვინციალიზმი

**13 ნოემბერს პარიზში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დაუშვებელია ტერორისტებთან ლაქუცი, შეთანხმება, მხარდაჭერა და, რა თქმა უნდა, მათი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის. მართალია, ე.წ. ისლამური სახელმწიფო, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერორისტული ორგანიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატების ქმნილებაა, მაგრამ მის „გამოკვებაში“ საფრანგეთსაც მიუძღვის წვლილი — ტერაქტების სერიამდე ის ამარაგებდა იარაღით „ისლამური სახელმწიფოს“ ავაზაკებს.**



სახელმწიფოს ხელისუფლების გარიგება ყაჩაღურ ორგანიზაციასთან ამ ხელისუფლებასაც ბოროტმოქმედად აქცევს და ასეთი გარიგება, როგორც წესი, მთავრდება ერთ-ერთი მხარის „გადაგდებით“, რაც „გადაგდებულს“ ნამდვილად არ ჰგვრის სიამოვნებას. ტერორისტები მწყობრიდან გამოიყვანა არა ფრანგული ავიაციის მიერ მათი სამხედრო ობიექტების დაბომბვამ, არამედ იმან, რომ საფრანგეთმა ისინი გააბრიყვა: პირველი — პრეზიდენტმა ოლანდმა უარი განაცხადა ბაშირ ასადის „რეჟიმის“ დამხობაზე, და მეორე — ოლანდი ვერ შეეწინააღმდეგა რუსეთს, რომელმაც დაიწყო ტერორისტების განადგურება. აქედან გამომდინარე, „ისლამურმა სახელმწიფომ“ ჩათვალა, რომ საფრანგეთმა მას უღალატა, ანუ „გადააგდო“.

საყურადღებოა, რომ საფრანგეთს, უფრო ზუსტად, ამ ქვეყნის მეთაურებს აკავშირებდა და დღემდე აკავშირებს მრავალწლიანი ურთიერთხელსაყრელი (სარფიანი — პირადად მათთვის) თანამშრომლობა ტერორისტების მფარველებთან და დამფინანსებლებთან, ისეთებთან, როგორებიც არიან საუდის არაბეთის მეფე, ქუვეითისა და ბაჰრეინის შეიხები და ა.შ. სოციალური ქსელები აჭრელდა **ნიკოლა სარკოზისა** და **ფრანსუა ოლანდის** უშუალო, მეგობრულ ვითარებაში გადაღებული სურათებით ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან. და, აი, ამგვარმა „მჭიდრო ურთიერთობამ“ ამა წლის 13 ნოემბერს კანონზომიერი შედეგი მოიტანა.

მაინც **რით მოხიბლა ცივილიზებული ქვეყნების თავკაცები „ისლამურმა სახელმწიფომ“, რომელიც არა მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობას ჟლეტს უმოწყალოდ, არამედ კაცობრიობის კულტურულ ძეგლებსაც ანადგურებს? პასუხი მარტივია — „ისლამური სახელმწიფო“ ევროპას აწვდის იაფფასიან ნავთობს და ამით ყოველთვიურად „იჯიბავს“ 50 მილიონ დოლარს!**

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ — **რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე პარიზში 130-ზე მეტ ადამიანს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, „ისლამური სახელმწიფოს“ კაციჭამიებმა 200 (ორასი!) სირიელი ბავშვი მხეცურად დახოცეს, რაზეც მსოფლიოს საზოგადოებრიობას კრინტი არ დაუძრავს. როცა ამა წლის აპრილში ისლამისტებმა სასაკლაო მოუწყვეს 217 კენიელ ქრისტიან სტუდენტს, ფაქტობრივად, ამ აფრიკული ქვეყნის ინტელექტუალურ მომავალს, მსოფლიომ კვლავ გამოიჩინა ე.წ. ოლიმპიური სიმშვიდე... ხოლო ოთხი თვით ადრე მკრეხელური ფრანგული ჟურნალის — „შარლი ებდოს“ სულიერად და ფიზიკურად გახრწნილი კარიკატურისტების მკვლელობამ საყოველთაო ისტერიკა გამოიწვია. აღარაფერს ვამბობ ამჟამად სახელმწიფო ბოროტმოქმედის — სააკაშვილის ხელში მყოფ ოდესაში პოროშენკოს ფაშისტური ხროვის მიერ ცოცხლად დამწვარ ადამიანებზე ან დონბასში ათასობით დაღუპულზე, რომელთა ერთადერთი „დანაშაული“ იყო ის, რომ არ ისურვეს, დაეთმოთ ფიქლური აირით მდიდარი (საუბედუროდ) მშობლიური მიწა როკფელერების მძარცველთა კლანისთვის.**

**რით მოხიბლა ცივილიზებული ქვეყნების თავკაცები «ისლამურმა სახელმწიფომ» რომელიც არა მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობას ჟლეტს უმოწყალოდ, არამედ კაცობრიობის კულტურულ ძეგლებსაც ანადგურებს? პასუხი მარტივია — «ისლამური სახელმწიფო» ევროპას აწვდის იაფფასიან ნავთობს და ამით ყოველდღიურად «იჯიბავს» 50 მილიონ დოლარს!**

რატომ არ აღელვებს ევროპას და, საერთოდ, დასავლეთს, ათიათასობით დახოცილი უდანაშაულო ადამიანი, რამდენიმე გარყვნილი კარიკატურისტის მკვლელობაზე კი „გულის შეტევა“ ემართება? მართლაც, რატომ? პასუხი უნდა ვეძიოთ ევროპელთა მსოფლმხედველობაში. მათი სულების „მიყრუებულ“ ადგილებში მოკალათებული „ერთადერთობისა და განუმეორებლობის“ ე.წ. იდეა პირველად გამოამზეურა ცივილიზებული გერმანელების საყვარელმა ბელადმა, **ადოლფ ჰიტლერმა**. მან ეს „ევროპული იდეა“ თავის „ეპოქალურ“ ნაბოდვარ **„მაინ კამპში“** თეორიულადაც „დაასაბუთა“ და შემდეგ მისი განხორციელებაც სცადა. მაგრამ „თეორიულად დასაბუთებული იდეა“, რომელიც რასიზმით ყარდა, უბედო „ფიურერს“ თავზე დაამხო ქართველმა **იოსებ ჯუღაშვილმა.**

გერმანელთა ბელადი თვლიდა, რომ არიან კულტურის შემქმნელი ადამიანები — ევროპელები; არიან კულტურის დამანგრეველი ადამიანები — ებრაელები და არიან კულტურის მომხმარებლები — სლავები; სიცოცხლის უფლება კი აქვთ მხოლოდ ევროპელებს. რაც შეეხება „დანარჩენებს“, ისინი ან უნდა მოკვდნენ, ან გახდნენ ევროპელთა მონები. მართალია, ჰიტლერს თავი მოაკვლევინა საბჭოთა კავშირის წინამძღოლმა და ამით ის საკუთარი, ანუ „სტალინური ტირანიის“ კიდევ ერთ „უდანაშაულო მსხვერპლად“ აქცია, მაგრამ **„ნაგიჟარი ადოლფის“ მიერ „თეორიულად დასაბუთებული ევროპული იდეა“, სამწუხაროდ, დღესაც ცოცხლობს ევროპელთა გულებში.**

მესმის კითხვები: ნუთუ ევროპელებს არ ეცოდებათ სირიაში, ერაყში, უკრაინასა და სადღაც საქართველოში გაჩაღებულ ძმათამკვლელ ომებში დაღუპული ადამიანები? ბოლოს და ბოლოს, უმანკო ბავშვთა დაღვრილი სისხლი არ აწუხებთ? — როგორ არა! ეცოდებათ და აწუხებთ კიდეც, მაგრამ, მათი ეს „განცდები“ ჰგავს შეცოდებას იმ ადამიანისა, რომლის თვალწინაც კლავენ ღორს ან სხვა საქონელს და მწვადის დაგემოვნების შემდეგ ავიწყდება სამყაროს არასრულყოფილება.

ამერიკელებმა თუ იციან შეცოდება? — როგორ არა! როდესაც ეცნობი მათ მიერ შემუშავებულ „ადამიანის უფლებების დეკლარაციას“, რომელშიც წერია, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია“, შეიძლება, ცრემლი წამოგივიდეს, მაგრამ ამ „დეკლარაციის“ ერთ-ერთ ავტორს, **თომას ჯეფერსონს,** ორასზე მეტი შავკანიანი მონა ემსახურებოდა... მოკლედ, დეკლარაცია დეკლარაციაა, ცხოვრება კი სულ სხვა რამ არის. ამიტომ **ნუ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ, ქართველები, ან, თუნდაც, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ყაზახები და სხვები ევროპელებს შევეცოდებით. ევროპელებს მხოლოდ ერთ შემთხვევაში შევეცოდებით — როცა ეს მათთვის მომგებიანი იქნება ეკონომიკურად და პოლიტიკურად; ხოლო, თუ არ ვართ მომგებიანები, წყალსაც წავუღივართ! დაგვიხოცია ერთმანეთი! და, რაც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება ჩვენი მსხვერპლი, მით უკეთესი ევროპელებისთვის. რადგან არაევროპელები, მათი პრაგმატული ჭკუის მიხედვით, ველურები ვართ.**

დასასრულ, არ შემიძლია, ქართველი საზოგადოების ყურადღება არ მივაპყრო ერთ ფაქტს: სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, რომელსაც ხუმრობით „სიფათწიგნს“ ვუწოდებ, მყავს ოთხასამდე ვირტუალური უცხოელი მეგობარი: იტალიელები, ესპანელები, ჩეხები, სლოვაკები, სერბები და ა.შ. მათ შორის, მხოლოდ ხუთმა დაფარა თავისი „პროფილი“ სამფეროვანი ფრანგული დროშით. სულ სხვა სურათი დამხვდა „ფეისბუქის“ ქართულ „ფილიალში“. რამდენიმე ასეულმა (ეს რაც დავთვალე) ჩემმა თანამემამულემ სოლიდარობა გამოუცხადა ფრანგ ხალხს. ეს მისასალმებელია. ოღონდ ამ ადამიანებს რატომღაც სინანული არ გამოუხატავთ ორასი სირიელი ბავშვის მკვლელობის ან აღმოსავლეთ უკრაინაში გაჩაღებული სისხლისღვრის გამო. რატომ? — **იმიტომ, რომ საფრანგეთი არ არის გაძვალტყავებული კენია ან მიწასთან გასწორებული სირია. ის ხომ სათაყვანებელი ევროპაა, რომლის კარნახით უნდა ვიცხოვროთ. მერე რა, რომ მისი ზოგიერთი რჩევა-დარიგება ჩვენთვის მიუღებელია?! სამაგიეროდ, ევროპაა და სოლიდარობით თავი უნდა მოვაწონოთ ჩვენს „დემოკრატ“ მასწავლებლებს.**

ამ „თანამგრძნობლების“ საქციელი მაგონებს იმ კაცის ქმედებას, რომელიც ღარიბი გარდაცვლილის ოჯახს, დახმარების სახით, გროშს უწილადებს, ხოლო მდიდარ მიცვალებულს ლამის საფლავშიც ჩაჰყვება, ოღონდ მის ოჯახს თავი მოაწონოს და დაამახსოვროს...

რა ეშველება ზოგიერთი ქართველის ძვალსა და რბილში გამჯდარ მყრალ პროვინციალიზმს?!

**გიორგი კორძაძე**

**სანამ პარიზში 130-ზე მეტ ადამიანს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, «ისლამური სახელმწიფოს» კაციჭამიებმა 200 სირიელი ბავშვი მხეცურად დახოცეს, რაზეც მსოფლიოს საზოგადოებრიობას კრინტი არ დაუძრავს. როცა ისლამისტებმა სასაკლაო მოუწყვეს 217 კენიელ ქრისტიან სტუდენტს, მსოფლიომ კვლავ გამოიჩინა ე.წ. ოლიმპიური სიმშვიდე... «შარლი ებდოს» სულიერად და ფიზიკურად გახრწნილი კარიკატურისტების მკვლელობამ კი საყოველთაო ისტერიკა გამოიწვია**

აქტუალი

## შესაძლოა, საქართველომ სირიელი მიგრანტები მიიღოს

**საქართველოს მიერ სირიელი მიგრანტების მიიღებაზე ევროპარლამენტის დეპუტატმა ანდრეი მამიკინმა აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდთან“ ისუბრა. მისი მოსაზრებით, თბილისი ამ გადაწყვეტილებას ევროკავშირის პოლიტიკასთან სოლიდარობის ნიშნად მიიღებს.**

„არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ ლტოლვილთა მიღების სურვილი გამოთქვას. ჩემი მოსაზრებით, ევროკავშირის პოლიტიკასთან სოლიდარობის დემონსტრირების მიზნით, საქართველოს შეუძლია რამდენიმე ადამიანის მიღება მაინც“, — განაცხადა მამიკინმა. მისივე თქმით, ასოცირებულ ქვეყნებს არ აქვთ აღებული ლტოლვილთა მიღების პროცესში მონაწილეობის ვალდებულება, ამიტომ სხვა ასოცირებული წევრების მსგავსად, საქართველოს ამას ვერავინ აიძულებს. ამასთანავე, მამიკინმა აღნიშნა, რომ ლტოლვილთა საკითხი ასოცირებულ წევრებთან ევროკავშირის დიალოგზე არ აისახება.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ააფეთქეს ევროპის გული — პარიზი, დახოცეს ადამიანები. როდემდე უნდა ვითვალოთ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების მიერ მსხვერპლშეწირულთა რაოდენობა?! როდემდე უნდა დავყოთ კარგებად და ცუდებად ტერორისტები, რაც ასე დაჟინებით აქვს აკვიატებული დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას?!**



## ანზორ მაისურაძე:

# დღეს თუ არა, ხვალ ასეთი ტერაქტები თბილისშიც შეიძლება მოხდეს!

**— ყველანი დამნაშავენი ვართ პარიზის ტრაგედიაში! — აღშფოთებულია უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე, — უწინარეს ყოვლისა კი, — წამყვანი სახელმწიფოებისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები. ტერორიზმთან ბრძოლა კომპეტენტური ორგანოებისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალით უნდა წარიმართოს! როგორ დავიჯერო, რომ საფრანგეთის, ან სხვა რომელიმე ქვეყნის დაზვერვას არ ჰქონდა ინფორმაცია ტერაქტების ამ სერიის მზადების შესახებ?!**
**ვერ მოიპოვეს ინფორმაცია? მაშ, რისთვის არსებობენ? წარმოუდგენელია, რომ არ ჰქონოდათ ინფორმაცია. არ ჰქონდათ? დანაშაულია! ჰქონდათ, მაგრამ არაფერი მოიმოქმედეს საშიშროების აღსაკვეთად?**
**— ეს უფრო მეტი დანაშაულია.**



**— აკი, როგორც წინა ინტერვიუში თქვით, ყველა ყველას უსმენსო?**

— ეგაა უბედურება! უსმენენ, მაგრამ რისთვის? პოლიტიკური ინტრიგების გასაჩაღებელ მასალას ეძებენ, და არა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არგუმენტების, არამედ თავიანთი პარტნიორების მაკომპრომეტებელი ფაქტების გამოჩხრეკით არიან დაკავებულები.

**რა საჭიროა ისეთი მოსმენა, რომელსაც მოსალოდნელი საფრთხის, მათ შორის, ტერორისტული აქტების პრევენციისთვის ვერ გამოიყენებენ?!**

არადა, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა სახელმწიფო გაერთიანებული უნდა მოქმედებდეს! სპეცსამსახურები წამყვანი ქვეყნებისა, და არა მხოლოდ მათი, ინფორმაციის გაცვლის სისტემით უნდა იყვნენ ურთიერთდაკავშირებული.

**— ამჟამად აქეთ მიდიან.**

— როცა ძალიან დაგვიანებულია, მაშინ? იმ უდანაშაულოდ დაღუპულებს აღარაფერი ეშველება. ახლა გინდა, გამოაცხადე საგანგებო მდგომარეობა, რომელიც, როგორც დასავლეთის პრესა აღნიშნავს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა, გინდა, გაამკაცრე სასაზღვრო რეჟიმი, საერთოდ აკრძალე დევნილების ნაკადის შემოდინება, ტერორისტების კერები — „მთვლემარე უჯრედები“ — საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებულია, რადიკალური ისლამისტების პროპაგანდისტები, ე.წ. სლიპები მოდებული არიან ევროპას და ახალგაზრდობის გადაბირებას საკმაო წარმატებითაც ახერხებენ.

**— ხოლო მასშტაბური საპროტესტო აქციების ჩატარება, როგორც ეს ჟურნალ „შარლი ებდოს“ შემთხვევაში მოხდა, უეფექტოა...**

— და განსაკუთრებული თვალსაჩინოებით დამტკიცდა იმავე პარიზის ტერაქტების სერიით, რომლებიც იქვე, სენის მარჯვენა სანაპიროზე მოხდა.

**ააფეთქეს ევროპის გული — პარიზი, დახოცეს ადამიანები. როდემდე უნდა ვითვალოთ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების მიერ მსხვერპლშეწირულთა რაოდენობა?! როდემდე უნდა დავყოთ კარგებად და ცუდებად ტერორისტები — რაც ასე დაჟინებით აქვს აკვიატებული დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას?!**

ახლა გამოდის საფრანგეთის პრეზიდენტი და ამბობს, რომ ქვეყანა ომშია შესული. ხომ არ დააგვიანდა ამის გათვითცნობიერება ბატონ ოლანდს? აღიარა, რომ საფრანგეთის მტერი ასადი კი არ არის, არამედ — ტერორისტული „ისლამური სახელმწიფო“. ესეც — დაგვიანებით. აცხადებს, რომ ტერორისტებს ეყოლებოდათო თანამზრახველნი. ეყოლებოდათ, აბა, როგორ მოახერხებდნენ ასეთი მასშტაბური ტერაქტების სერიის მოწყობას? საფრანგეთის სპეცსამსახურებს სწორედ ისინი უნდა გაეშიფრათ თავის დროზე. ეს ხომ დაზვერვის ანაბანაა?!

ჰყავდათ აგენტები ჩანერგილი თუნდაც ემიგრანტთა შორის?

ვინ აანალიზებდა სოციალურ ქსელებს? ეს ხომ ნოყიერი ყანაა, რომლიდანაც დაზვერვას უხვი მოსავლის აღება შეუძლია.

ბელგიაში, ბრიუსელის ერთ-ერთი რაიონი, სადაც მიგრანტები სახლობენ, იმთავითვე ტერორიზმის ბუდედ იყო ცნობილი. აქამდე ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ახლა აფორიაქდნენ. დაგვიანებით! სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ პარიზის ტერაქტები აქედან იყო ორგანიზებული.

დასავლეთი თანდათან გამოდის ნეოლიბერალური ბურუსიდან. მადლობა ღმერთს, რომ დიდი ოცეულის (G-20) სამიტის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ყოველგვარი ფინანსური დახმარების აკრძალვის შესახებ.

ტერორიზმი უნდა ამოიშანთოს ძალისმიერი მეთოდებით და არა სტიკერებით, რომლებზეც წარწერილია „მე შარლი ვარ!“, ან „მე ვარ პარიზი!“

**— მაკეინის განცხადებამ — „მე ვარ ქართველი“ — რა ხეირიც მოგვიტანა, ყველანი მოწმე ვართ. დანაელთა შესახებ ძველბერძნულმა ცნობილმა შეგონებამ (ჩვენი ტრანსკრიფციით) — „გეშინოდეთ მაკეინების, თუნდაც ძღვენის მომტანის“, ჭკუა უნდა გვასწავლოს, ბოლოს და ბოლოს. ან დავრჩეთ ტროელებივით გაბითურებული.**

— მე, იცი, რისი მეშინია? ალალად გეუბნებით, რომ **დღეს თუ არა, ხვალ ასეთი ტერაქტები ჩემს ქალაქში შეიძლება მოხდეს. ძალიან მეშინია!**

**— არ ვართ დაცული?**

— პარიზი არ აღმოჩნდა დაცული, ლონდონი და მოსკოვი არ არის დაცული, ნიუ იორკი არ იყო დაცული, და ჩვენ ვართ დაცული?! გულარხეინნი და სხვისი შემყურენი?

გეკითხებით!

**— თუ მეკითხებით, გიპასუხებთ გასაჯაროებული ფაქტებით, რომლებსაც ხელისუფლების მხრიდან რეაქცია დაუყოვნებლივ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ — რა დაგკარგვია, რას ეძებ?!**

**წლეულს, სექტემბერში, „საქართველო და მსოფლიომ“ (№32) გამოაქვეყნა პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის, პროფესორ ზაურ გუმაშვილის ინტერვიუ „ვაჰაბიტები აკონტროლებენ პანკისს, ჩვენ ვაკონტროლებთ ვაჰაბიტებს — ასეთ იყო სააკაშვილის ხელისუფლების ლოგიკა“. ბატონი ზაური ამბობდა, რომ ვაჰაბიზმის იდეოლოგიური ნალმის მოქმედება, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში პანკისის ხეობაში ჩაიდო, დღესაც გრძელდება. ამ საფრთხეზე იგი ხშირად აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ „სახელმწიფოს დაინტერესება ვერ გამოიწვია, არ გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები მის შესაჩერებლად. სააკაშვილის ხელისუფლებამ და თვითონ სააკაშვილმა მწვანე შუქი აუნთეს ამ პროცესს... ამ იდეოლოგიის პროპაგანდისტებს ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ... გვერდით ედგნენ და ეხმარებოდნენ“.**

— ასეც იყო. მიკერძოება რომ არ დაგვაბრალონ, ამერიკელებს მოვუხმობ ამის დასადასტურებლად. ცნობილმა ანალიტიკოსმა **ჰამლეტ ჭიპაშვილმა** 15 ნოემბერს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ეთერში გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ 2013 წელს ამერიკელმა პოლიტოლოგმა, თეთრი სახლის მრჩეველმა **ჯატრასმა** გამოსცა წიგნი, რომლის ერთი თავი საქართველოს ეძღვნება. იგი წერს, რომ საქართველოს ხელისუფლება, ცხადია, ამერიკელების დავალებით და მათთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში იწვევდა „ალ ქაიდას“ წარმომადგენლებს დახურულ კონფერენციებზე, სადაც, როგორც ავტორი ირწმუნება, განიხილავდნენ ურთიერთთანამშრომლობის, ტერაქტების მოწყობის არეალის, ტაქტიკის და სხვა საკითხებს **(ბატონმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში დაადასტურა ზემოთ ნათქვამი და დააკონკრეტა, რომ აღნიშნულ წიგნში მოხსენიებულია საქართველოს პარლამენტის ყოფილი ვიცესპიკერის მიხეილ მაჭავარიანის და ქართველი დიპლომატი ქალის მიქაძის გვარები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამ საქმეში — ა.ს.).**

**— ბატონი ზაურ გუმაშვილი იმასაც ამტკიცებს, რომ „ჩვენი საზოგადოების არაბიზაციის მცდელობის პროცესი არ შეჩერებულა, ახალგაზრდობის 70-80 პროცენტი ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშაა.. მათ აქვთ დაფინანსება... გახსნილი აქვთ მედრესები, მიმდინარეობს ბავშვების სულიერი მოწამვლის პროცესი“.**

— ეს ხდება ჩვენს ყურისძირში, ჩვენს დროში და ჩვენ თვალწინ, მაგრამ არ მსმენია, რომ საქართველოს ხელისუფლება გადამჭრელ ღონისძიებებს ახორციელებდეს ამ სენის ამოსაძირკვად. მიკვირს, რომ ცოტა არხეინად უყურებენ ამ პრობლემას. თუ არ მიხედავენ ამ საქმეს, ჩვენთანაც დატრიალდება ასეთი უბედურება, უარესი თუ არა.

**«ჩვენი საზოგადოების არაბიზაციის მცდელობის პროცესი არ შეჩერებულა, ახალგაზრდობის 70-80 პროცენტი ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშაა.. მათ აქვთ დაფინანსება... გახსნილი აქვთ მედრესები, მიმდინარეობს ბავშვების სულიერი მოწამვლის პროცესი»**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «ჯარს მიხედე, სანამ გამოგაგდებენ მაგ სამინისტროდან»

**„პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სტატუსს გამოეხმაურა, რომელშიც მინისტრი პრეზიდენტის მრჩეველ ფიქრია ჩიხრაძის მოშიმშილეებთან შეხვედრის შესახებ საუბრობდა და ამის გამო ჩიხრაძესთან კითხვები აქვს.**

„ვაფასებ იმას, რომ გამოგზავნა ქალბატონი ფიქრია ჩიხრაძე. მან ასევე მოგვთხოვა ინფორმაცია, ფაქტები, რაც გვაქვს საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით. არავითარი შეფასებები ქალბატონ ფიქრიას არ გაუკეთებია და რომც გაეკეთებინა, რა თინა ხიდაშელის საქმე და პრეროგატივაა. ჯარს მიხედე რა, სანამ გამოგათრიე მაგ სამინისტროდან“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრები საგარეჯოში შუალედური არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ და შიმშილობენ. ისინი რესპუბლიკური პარტიის წევრი მინისტრების — გიგლა აგულაშვილისა და თინა ხიდაშელის — გადადგომას მოითხოვენ, რომლებიც ინაშვილის კონკურენტის — თამარ ხიდაშელის წინასაარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართულნი.



„დღეს უკრაინის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მაიდანზე მშვიდობიანი მომიტინგეებს პირველი ტყვიები პოლონელმა, ბალტიისპირელმა და ქართველმა სნაიპერებმა ესროლეს, ოღონდ ეს ამერიკელების გეგმა იყო, რომელიც სააკაშვილმა პირნათლად შეასრულა. უკრაინაში ყველამ იცის, რომ პოლონელი, ბალტიისპირელი და ქართველი სნაიპერები სასტუმრო „უკრაინაში“ იყვნენ დისლოცირებულნი და პროვოკაციისთვის ემზადებოდნენ“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ტრისტან წითელაშვილი: უკრაინაში შექმნილი ბანდფორმირების შტაბმა «რუსთავი 2»-ში გადმოინაცვლა

**საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დისონანსი შეიტანა ორი ქვეყნის — უკრაინისა და საქართველოს — ურთიერთობაში. რა საფრთხის შემცველია ორი ქვეყნისთვის ისედაც დაძაბული ვითარების ფონზე სააკაშვილის გააქტიურება და რას ფიქრობენ მასზე უკრაინელი ძალოვანები — ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი, გენერალი ტრისტან წითელაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინის ძალოვანი სტრუქტურები სააკაშვილის წინააღმდეგ უკვე ამუშავდნენ. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაკოვმა სოციალურ ქსელში დაწერა: „დღეს მოვისმინე შსს-ს ოპერატიული სამსახურების მოხსენება, რომელშიც შესულია უშიშროების სამსახურის ინფორმაციაც და მივიღე გადაწყვეტილება, თითოეულ თქვენგანს მოგმართოთ. ოპერატიული სამსახურების მონაცემებით, უახლოეს დღეებში მოგვიწევს, გადავიტანოთ დესტრუქციული, ანტიუკრაინული ძალების მცდელობები, განახორციელონ ქვეყანაში დესტაბილიზაცია“. ეს განცხადება გენერალ ტრისტან წითელაშვილის ნაამბობს თითქოს ამყარებს.**



**«სააკაშვილის დაქვემდებარებაში საკმაოდ დიდი და ძლიერი, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებაა სახელწოდებით «საქართველოს ხსნის შტაბი», რომელსაც თვითონ აფინანსებს»**

**— ბატონო ტრისტან, რამდენიმე კვირაა, ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ჩანს და ვაღიაროთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას თავის ტკივილიც გაუჩინა. საშიშია ის საქართველოსთვის?**

— სააკაშვილი ძალიან საშიშია, თანაც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის. ის აქტიურად იყო ჩართული უკრაინაში მიმდინარე პროცესებშიც, „მაიდნის“ ამბებს ვგულისხმობ. სააკაშვილის მისია იყო, უკრაინის არეულობაში საქართველო აქტიურად ჩართულიყო, ამ მხრივ ძალიან გაგვიმართლა, რომ მიშა ქვეყნის მეთაური აღარ იყო, რადგან, რაც აქ დატრიალდებოდა, იმასთან შედარებით, 2008 წელი მონაგონი იქნებოდა. საქართველოს ხელისუფლებას გონიერება ეყო და პროცესებში არ ჩაერთო, თავი აარიდა.

სააკაშვილისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა მხოლოდ განცხადებები, ამერიკელებთან ერთად დაგეგმა, რომ კიევის ცენტრში, მაიდანზე ქართველი დაღუპულიყო და ასეც მოხდა — ვინმე ყიფიანი დაიღუპა კიდეც. ამის შემდეგ საქართველოში ხმამაღალი განცხადებების კეთება დაიწყეს, რუსეთს ოკუპანტი უძახეს და უკრაინის დასახმარებლად დაირაზმნენ. სააკაშვილის მომხრე ზონდერებმა ნელ-ნელა გადაინაცვლეს უკრაინაში. ყოფილ პრეზიდენტს ისინი ძალიან სჭირდებოდა.

**დღეს უკრაინის ძალოვანი სტუქტურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მაიდანზე მშვიდობიან მომიტინგეებს პირველი ტყვიები პოლონელმა, ბალტიისპირელმა და ქართველმა სნაიპერებმა ესროლეს, ოღონდ ეს ამერიკელების გეგმა იყო, რომელიც სააკაშვილმა პირნათლად შეასრულა. უკრაინაში ყველამ იცის, რომ პოლონელი, ბალტიისპირელი და ქართველი სნაიპერები სასტუმრო „უკრაინაში“ იყვნენ დისლოცირებულნი და პროვოკაციისთვის ემზადებოდნენ.**

ამის შემდეგ, როდესაც უკრაინა საბრძოლო მოქმედებებში ჩაება, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **ბაჩანა ახალაიამ** ციხიდან მობილიზაცია გამოაცხადა და შტაბის უფროსად თავისი ყოფილი მრჩეველი **მამუკა მამულაშვილი** წარადგინა, რომელიც ამჟამად უკრაინაში სააკაშვილის მითითებებს ასრულებს, მისი სახელი და გვარი უკრაინის ძალოვანი სტრუქტურებისთვის კარგად არის ცნობილი, მასთან ერთად არის **გიგი კალანდაძეც.**

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებიდან ძალიან მალე პარლამენტარმა **გიორგი ბარამიძემ** ფრონტი მოინახულა, მართალია, წინა ხაზზე არ იყო, 60 კილომეტრის მოშორებით ჩავიდა, მაგრამ თავისი საქმე კარგად შეასრულა. მას შეხვდა ქუთაისის ბატალიონის წევრი **ლევან ჭანჭალეიშვილი**, რომელიც იქ „ნაცებმა“ ჩაიყვანეს. ამ ჭანჭალეიშვილს შემდეგ უკვე თვითონ მიჰყავდა აქედან მებრძოლები და ერთ-ერთი ასეთი მებრძოლი ვინმე **კიკაძე** იყო, რომელიც ბარამიძეს გააცნეს. ის მეორე დღესვე დაიღუპა, რასაც კვლავ აჟიოტაჟი მოყვა. ყველაფერი ეს სააკაშვილის მიერ შედგენილი გეგმის ნაწილი იყო.

გახსოვთ, ალბათ, ყოფილი თავდაცვის მინისტრის — **მინდია ჯანელიძის** განცხადებაც, უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლებზე პასუხს არ ვაგებთ, ჩვენი საქმე არ არისო. ეს განცხადება „ნაცებმა“ ქაღალდებში შეუცურეს და მანაც წაიკითხა. მიუხედავად იმისა, რომ განცხადება ძალიან სწორი იყო, სააკაშვილის წისქვილზე დაასხა წყალი და ამერიკელებმა ჯანელიძის გათავისუფლება მოითხოვეს.

დღევანდელი მონაცემებით, **სააკაშვილის დაქვემდებარებაში საკმაოდ დიდი და ძლიერი, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებაა სახელწოდებით „საქართველოს ხსნის შტაბი“, რომელსაც თვითონ აფინანსებს.**

მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ოდესაში გადავიდა, სწორედ ამ შეიარაღებული ხალხით ახერხებს, იმავე მეთოდებით მართოს ოდესა, რომლითაც საქართველოს მართავდა. იქ იტაცებენ ბიზნესმენებს, ფულს სძალავენ, აშინებენ და ა.შ. ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა, ახლა ოდესაში ხდება.

უკრაინის მოსახლეობის ნაწილი ჯერ ვერ ხვდება, ვისთან აქვს საქმე, მაგრამ მაღალ ეშელონებში ყველაფერი იციან. სააკაშვილს უკვე აშკარად დაუპირისპირდა უკრაინის პრემიერმინისტრი, რომლის ადგილის დაკავებასაც ცდილობს. სააკაშვილი ახერხებს, უკრაინაშიც იმავე მეთოდებით გააყალბოს ხელმოწერები და არჩევნები, როგორც ამას საქართველოში აკეთებდა.

ასე რომ, **სააკაშვილი უკრაინისთვისაც ძალიან საშიშია და საქართველოსთვისაც.**

საფრთხე ჩავლილი არ არის. იმ დღეებში, როდესაც ფარული ჩანაწერები გამოქვეყნდა, საქართველოში უკრაინიდან მიშას ხალხი ჩამოვიდა, ვიცი გვარები იმ ადამიანებისა, რომლებიც უკრაინიდან ჩამოსულ „ბოევიკებს“ გადაადგილებაში ეხმარებოდნენ. აგრეთვე, მაქვს კონსპირაციული ბინების მისამართები, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს გადავეცი, ამიტომ ახლა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. უკრაინაში შექმნილი ბანდფორმირების შტაბმა „რუსთავი 2“-ში გადმოინაცვლა. **სააკაშვილის გეგმა „მაიდნის“ გეგმას ჰგავდა. იმ შემთხვევაში, თუ „ნაცები“ მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციის მოწყობას შეძლებდნენ, სნაიპერი რამდენიმე ადამიანს მოკლავდა და საქმეც „გაიჩარხებოდა“.**

**— თქვენ მჭიდრო ურთიერთობები გაქვთ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან. რას ამბობენ ისინი სააკაშვილზე და იციან თუ არა მის შესახებ ის, რასაც ამბობთ?**

— გაოცებულები არიან, ბოლომდე ვერ იჯერებდნენ, რასაც სააკაშვილზე, ვამბობდით, მაგრამ იმ ფარული კადრებისა და ჩანაწერების შედეგ ყველაფერში დარწმუნდნენ და, რა თქმა უნდა, საჭირო ზომების მიღებასაც გეგმავენ. მათ უკვირთ, როგორ გავუშვით აქედან ცოცხალი. მათ არ მოსწონთ მისი რეფორმები. უკრაინაში ნელ-ნელა იქმნება ორგანიზაციები, რომლებიც სააკაშვილს იქ ჩადენილ დანაშაულზე პასუხს აგებინებენ.

უკრაინელები მიხვდნენ, რომ სააკაშვილი ყველასგან დამოუკიდებლად მოქმედებს. უკვე ცნობილი შეიქნა, რომ უკრაინაში „თავისუფალი ზონის“ 6 წევრი მოამზადეს, რომლებმაც სირიაში ორი ამერიკული თვითმფრინავი უნდა ჩამოაგდონ. საქართველოდან წასულები არიან თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები **ლაშა რუხაია** და **ავთანდილ კემულარია.** მათ თავის დროზე ნორიოს საწვრთვნელ ბაზაზე გაიარეს სერიოზული წვრთნა. ამ ფაქტის გამო უკრაინაში განგაში ატყდა, ძალოვანები ამბობენ, ქვეყანაში ნაღმი „გვყავს“, რომელიც აუცილებლად დაგვღუპავსო.

**— თქვენ ადრე განაცხადეთ, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტების საიდუმლო შეხვედრები იმართებოდა...**

— დიახ, **სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩეჩენი ტერორისტები შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის — ვანო მერაბიშვილის მიერ გაცემული შსს-ს მოწმობებით მოდულის შენობაში მოძრაობდნენ. უფრო მეტიც, ხელფასსაც იღებდნენ, მათ კრწანისის სასწავლო ცენტრში ამზადებდნენ. გარდა ამისა, სააკაშვილმა თავის დროზე ძალიან ბევრ საეჭვო პიროვნებას მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა.**

ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ სირიიდან ლტოლვილები მიიღოს ჩვენმა ქვეყანამ. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავიდან აირიდოს ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების შემოსვლა და, რაც მთავარია, რუსეთთან ურთიერთობა უნდა დაიწყოს. მეზობელმა ქვეყანამ ჩვენი საზღვრის პერიმეტრის კონტროლი უნდა გაამკაცროს, რადგან ტერორისტებს ჩვენი ქვეყნიდან ადვილად მიუწვდებათ ხელი რუსეთისკენ. საქართველო ვალდებულია, აქტიურად ითანამშრომლოს რუსეთის სპეცსამსახურებთან.

რუსეთის პოზიციები მყარდება, ის სწორი მიმართულებით მიდის, ყველა საცეცხლე წერტილი გაუნადგურა „ისლამურ სახელმწიფოს“. საქართველოში პატარ-პატარა კერები არის, რომლებსაც აკონტროლებენ, მაგრამ ვითარება ძალიან დაიძაბება, თუ სირიელ ლტოლვილებს შემოსვლის ნებას მისცემენ.

დღეს, როდესაც „ისლამური სახელმწიფო“ გააფთრებულია და ომის ქარცეცხლი მძვინვარებს, საქართველოს მოსახლეობას მშვიდად ძილის შესაძლებლობა არ აქვს, ეს კი სააკაშვილის ნამოქმედარია, სწორედ მან აქცია ნაკვერჩხალი ცეცხლად, უბრალოდ, ვერ ააბრიალა და ამას ახლა ცდილობს. სააკაშვილისთვის სულ-ერთია, ვისი დახმარებით მოახერხებს ამას — ტერორისტის თუ უბრალო ადამიანების ხელით; მას არ ადარდებს, რა მოხდება საქართველოში, მთავარია, დაკვეთა შეასრულოს და სურვილები აისრულოს.

**«საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავიდან აირიდოს ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების შემოსვლა და, რაც მთავარია, რუსეთთან ურთიერთობა დაიწყოს. მეზობელმა ქვეყანამ ჩვენი საზღვრის პერიმეტრის კონტროლი უნდა გაამკაცროს, რადგან ტერორისტებს ჩვენი ქვეყნიდან ადვილად მიუწვდებათ ხელი რუსეთისკენ. საქართველო ვალდებულია, აქტიურად ითანამშრომლოს რუსეთის სპეცსამსახურებთან»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვფიქრობ, ჩვენს ქართველ კოლეგებთან, „საქართველო და მსოფლიოსთან“ ერთად შევქმელით, საინტერესო პროგრამა წარმოგვედგინა დამსწრე საზოგადოებისთვის და საინტერესო მონაწილეები და გამომსვლელები შეგვერჩია. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ეს ფორუმი მომავალში კიდევ ახალ იმპულსს შეიძენს“.**




# გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» ორგანიზებით თბილისში საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი ჩატარდა

**13-14 ნოემბერს თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში,“ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ინიციატივითა და თაოსნობით, საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი გაიმართა. „მსოფლიო ძვრების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?“ — ამ სახელწოდების მედიაფორუმში მონაწილეობისთვის რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წამყვანი მედიასაშუალებების მთავარი რედაქტორები, ექსპერტები და ჟურნალისტები საგანგებოდ ჩამოვიდნენ. როგორც ღონისძიების მონაწილეებმა აღნიშნეს, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთული პროცესებისა და დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ანალოგიური ფორმატის შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია.**

მედიაფორუმი 13 ნოემბერს გაიხსნა ორგანიზატორების მისალმებითა და მონაწილეების წარდგენით, რასაც მოჰყვა რადიოსადგურ „გოვორიტ მოსკვას“ ხელმძღვანელის — **ვლადიმერ მამონტოვის** სადისკუსიო მოხსენება — „ზესახელმწიფოთა ეპოქის დასასრული“, რომელშიც დამსწრე საზოგადოებამაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. ღონისძიებაზე სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის პოლიტიკურმა მიმომხილველმა **კირილ პრივალოვმა** ჩაატარა ტრენინგი თემაზე „წარმატებული ინტერვიუს საიდუმლოებანი“, რის შემდეგაც მედიაფორუმი მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ **ალექსეი კუზნეცოვთან** საუბრით გაგრძელდა.

რეპორტაჟულ ჟურნალისტიკაზე (რეპორტაჟების სერიის „უკრაინულის გაკვეთილები“ მაგალითზე) გამართულ დისკუსიას „რეპორტაჟული ჟურნალისტიკა. ჟანრის სპეციფიკა“ წარუძღვნენ უკრაინელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე **ირინა ვერეშჩუკი**, ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის “ მთავარი რედაქტორი **ვიტალი ლეიბინი** და „რუსკი რეპორტიორის“ მიმომხილველი **მარინა ახმედოვა.**

დატვირთული დღე დასრულდა არაკომერციული საპარტნიორო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობის“ დირექტორის — **ნიკოლაი სილაევისა** და პოლიტოლოგიურ ცენტრ „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ დირექტორის — **იულია იაკუშევას** ხელმძღვანელობით გამართული ინტერაქტიული პანელით — „სამხრეთ კავკასიის მედიასახე“, რომელშიც მონაწილეები რამდენიმე ჯგუფად გაიყვნენ და ორგანიზატორებს თავიანთი მოსაზრებები გააცნეს.

14 ნოემბერს მედიაფორუმი რუსი ბლოგერის — **ვლადიმერ შურიგინის** სასწავლო ბლოკით გაიხსნა. ტრენინგზე — „სამოქალაქო ჟურნალისტიკა და სოცილური ქსელები“ — ბლოგერმა თავისი მოსაზრებები ფორუმში მონაწილე ჟურნალისტებს წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ მედიაფორუმის მონაწილეებმა მეორე მსოფლიო ომის თემაზეც იმსჯელეს. მრგვალი მაგიდა „დიდი სამამულო ომი და ჟურნალისტის ეთიკა“, მოდერატორმა, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქტორმა **ირაკლი თოდუამ** გახსნა.

პირველი არხის კორესპონდენტმა **გიორგი ოლისაშვილმა** ჟურნალისტებისთვის გამართა მასტერკლასი სახელწოდებით „სატელევიზო ეთერი. რეპორტაჟის მომზადების საიდუმლოებანი“, ხოლო სადისკუსიო განყოფილებაში სახელწოდებით „აქვს თუ არა მომავალი ჟურნალისტიკას“ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მთავარმა რედაქტორმა **ვლადიმერ სუნგორკინმა** ისაუბრა, რომელსაც ჟურნალისტებმა მედიასფეროში არსებულ ვითარებასა და რედაქციის მუშაობის სპეციფიკაზე დაუსვეს კითხვები.

ღონისძიებაზე ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, შეხვედრონდენ Perzona grata-ს ჰედლაინერს, ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორს, აღმოსავლეთმცოდნე **ევგენი სატანოვსკის**, რომელმაც თავისი გამოსვლა მედიაფორუმის მთავარ თემას **„მსოფლიო ძვრების ეპოქაში: ვინ გაუძლებს?“** მიუძღვნა.

დამსწრე საზოგადოებას თავიანთი მოსაზრებები გააცნეს არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელმა **ნანა დევდარიანმა** და ნიკოლაი სილაევმა.

გამომსვლელების გარდა, მედიაფორუმში მონაწილეობდნენ: საქართველოდან — არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი **ტარიელ გაგნიძე**, სოციოლოგი და პოლიტკონსულტანტი **ვალერიან გორგილაძე**, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე, ჟურნალისტი **ვალერი კვარაცხელია**, საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკ გრუზიას“ მთავარი რედაქტორი **ტატო ლასხიშვილი** და სხვები.

მედიაფორუმს სომხეთიდან ესწრებოდნენ საიტ Panarmenian.am-ის მთავარი რედაქტორი **მარინა ანანიკიანი**, საინფორმაციო სააგენტო „არმინფოს“ მთავარი რედაქტორი **ემანუელ მკრტჩიანი**, „სპუტნიკ-არმენიას“ მთავარი რედაქტორი **კონსტანტინე პეტროსოვი**, გაზეთ „არავოტის“ მთავარი რედაქტორი **არამ აბრამიანი**, ვებგვერდ „აისორის“ ჟურნალისტი **კარენ კაზარიანი**, საინფორმაციო პორტალ Armedi.am-ის ანალიტიკოსი **ანა კარაპეტიანი**, საინფორმაციო სააგენტო panorama.am-ის ჟურნალისტი **ლია ხოჯოიანი** და verelq.am-ის ჟურნალისტი **აშოტ საფარიანი.**

აზერბაიჯანიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ: sputnik.az-ის მთავარი რედაქტორი **გულნარა მამედზადე**, vesti.az-ის მიმომხილველი **ვუგარ ჰასანოვი**, საინფორმაციო სააგენტო „ტრენდის“ გენერალური დირექტორი და გაზეთ „კასპიის“ მთავარი რედაქტორი **ილგარ ჰუსეინოვი**, აზერბაიჯანის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოს გენერალური დირექტორი, APA Holding-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ნურშან გულიევი**, სააგენტო CEC-ის მთავარი რედაქტორი **ბახრუზ გულიევი**, Caspian Energy Journal-ის კორესპონდენტი **თემურ მაქსუტოვი** და 1 News-ის ჟურნალისტი **ნატა ნასიბოვა.**

**«შეიძლება დამაბრალოთ, რომ მე საბჭოთა კავშირის აღდგენა მინდა, მაგრამ თუ ყოფილი საბჭოთა ქვეყნები განსაზღვრულ პოლიტიკურ საფუძველზე ევროკავშირის მსგავს კავშირს შევქმნით, ყოველგვარი დომინირებისა და მოსკოვის «რკინის მუშტის» გარეშე, ვფიქრობ, ჩვენს წინაშე არსებული მწვავე პრობლემები თავისთავად მოგვარდება»**



აღსანიშნავია, რომ პოლიტოლოგური ცენტრი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ ანალოგიურ მედიაფორუმს, უკვე რამდენიმე წელია, ატარებს, სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგები კი წელს პირველად მონაწილეობდნენ. **პოლიტოლოგიური ცენტრი „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ დირექტორი იულია იაკუშევა** ამბობს, რომ აღნიშნულ მედიაფორუმს ქვეყნებს შორის ურთიერთობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს:

— მედიაფორუმი, უკვე მესამე წელია, ტარდება, წელს მასში სომხეთი და აზერბაიჯანიც მონაწილეობდნენ. თუ ადრე ფორუმს მხოლოდ ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის ვატარებდით, წელს მასში მედიასაშუალებების მთავარი რედაქტორებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ქვეყნებს შორის კომუნიკაცია შედგეს, ვინაიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებსა და რუსეთს შორის აქტუალური საკითხების განხილვა და ჟურნალისტებთან მუშაობა თანამედროვე არცთუ მარტივ პოლიტიკურ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ ჩვენი ფორუმის მთავარი თემაა ის ძვრები, რომლებიც დღეს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს და მონაწილეებმა იმსჯელეს, ამ არცთუ მარტივ ვითარებაში, რომელიც დღეს მსოფლიოში შეიქმნა, როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ სირთულეებს.

ამჯერად მედიაფორუმის ორგანიზატორი ქართული მხრიდან გაზეთი „საქართველო და მსოფლიოა“ და **ვფიქრობ, ჩვენს ქართველ კოლეგებთან, „საქართველო და მსოფლიოსთან“ ერთად შევძელით, საინტერესო პროგრამა წარმოგვედგინა დამსწრე საზოგადოებისთვის და საინტერესო მონაწილეები და გამომსვლელები შეგვერჩია.** ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ეს ფორუმი, მომავალში კიდევ ახალ იმპულსს შეიძენს.

**ნიკოლაი სილაევი, არაკომერციული საპარტნიორო ორგანიზაცია „კავკასიის თანამშრომლობის“ დირექტორი:**

— ამ ფორუმს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ვიცით, რომ ორივე ქვეყნის — რუსეთისა და საქართველოს — მოქალაქეები ჟურნალისტების თვალით უყურებენ ერთმანეთს, ეს ეხება სომხეთსა და აზერბაიჯანსაც და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი ხვდებოდნენ და საუბრობდნენ ერთმანეთში. ქვეყნებს შორის ურთიერთობა მხოლოდ დიპლომატებისა და პოლიტიკოსების საუბრით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.

ძალიან კარგია, რომ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ამ ღონისძიების ორგანიზატორია და, ჩემი აზრით, ეს მედიაფორუმი საერთო კავკასიურია და ის ინტერესი, რომელიც ამ ფორუმის მიმართ არსებობს როგორც მონაწილეების, ასევე მედიის მხრიდან, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ავტორიტეტისა და მისი მკითხველის ფართო წრის დამსახურებაა.“





**ვლადიმერ სუნგორკინი, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მთავარი რედაქტორი:**

— რა თქმა უნდა, ასეთი მედიაფორუმის ჩატარება ძალიან კარგია, რადგან ისე გამოვიდა, რომ რუს და ქართველ პოლიტოლოგებს, ჟურნალისტებს, გამომცემლებს, თითქმის არ აქვთ ურთიერთობა. ჩვენ საქართველოში ელჩიც არ გვყავს. მთელი რიგი სირთულეებია ორი ქვეყ- ▶

რეპორტაჟი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „პირველად ვარ საქართველოში და ძალიან მომეწონა თქვენი ქვეყანა, ვაღიარებ, გავოცდი, რა ბრწყინვალე, კეთილი ხალხია ქართველები. მომავალშიც დიდი სიამოვნებით ჩამოვალ საქართველოში და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო განვითარდება თქვენი ქვეყანა, რადგან აქ ბევრი შესაძლებლობაა ინვესტორებისთვის“.

◀ ნის ურთიერთობაში და სწორედ იმისთვის, რომ ეს ყინული გალღვეს, ანალოგიური ფორუმების ჩატარება აუცილებელია.

**კირილ პრივალოვი, რუსეთის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის მიმომხილველი:**

— მიმაჩნია, რომ ჩვენ უფრო ხშირად უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. მსგავსი ფორუმების ჩატარება არა მხოლოდ ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესი, არამედ ახალი ჰორიზონტების, ახალი ადამიანების აღმოჩენაცაა. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს უკეთ გავუგოთ, რათა მომავალში შეცდომები თავიდან ავიცილოთ. თუმცა ვისურვებდი, რომ ამგვარ ფორუმებში მონაწილეობა აფხაზებსა და ოსებსაც მიეღოთ, რადგან ჩვენ, ყველამ, ერთ ენაზე უნდა ვილაპარაკოთ. პოლიტიკოსების ურთიერთობა არ არის საკმარისი, ისინი თავიანთ ამოცანებს წყვეტენ, თავიანთ სამყაროში ცხოვრობენ, სახალხო დიპლომატიას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ასეთი ფორუმები სასიცოცხლოდ აუცილებელია. მსგავსი შეხვედრები, ჩემი აზრით, მაქსიმალურად არაფორმალური ფორმატის უნდა იყოს და ახალგაზრდობა უფრო მეტად უნდა ჩავრთოთ ამ პროცესში.

**ვლადიმერ მამონტოვი, რადიოსადგურ „გოვორიტ მოსკვა“-ს დირექტორი:**

— უფროსი თაობისთვის მისაღები და გასაგებია ასეთი ფორუმის ჩატარების მნიშვნელობა და მიზანი, ვინაიდან ჩვენ ყველაფერი კარგად გვახსოვს. ურთიერთობა, რომელიც ორი ერის წარმომადგენლებს შორის არსებობდა, არ არის სასურველი, დავკარგოთ. შესაძლოა, ეს თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის, ახლა გასაგები არ არის, სწორედ ამიტომ, უნდა შევეცადოთ, ავუხსნათ ახალგაზრდა თაობას, რა ურთიერთობაც იყო ჩვენ შორის და მოვაშოროთ ეს სტერეოტიპი თითქოს რუსეთი ყველას და ყველაფერს ახშობდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სერიოზული პრობლემები და წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ ისიც ხომ კარგად გვესმის, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაცია ერთი ხელის მოსმით არ გადაწყდება. პოლიტიკოსები, მართალია, აცხადებენ, რომ დიალოგი დაუშვებელია, მაგრამ ინტელექტუალებმა საუბარი არ უნდა შეწყვიტონ, პირიქით — ამ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები უნდა ეძებონ. სამწუხაროდ, ორივე მხრიდან, არცთუ ჭკვიანი პოლიტიკოსების წყალობით, მემკვიდრეობით ასეთი ვითარება მივიღეთ. **გგონიათ, ჩვენ მოგვწონს ეს სიტუაცია, რომ საქართველოსთან ურთიერთობა ასე გაგვიფუჭდა? მაგრამ გამოსავალი ერთად უნდა მოვძებნოთ.** შეიძლება დამაბრალოთ, რომ მე საბჭოთა კავშირის აღდგენა მინდა, მაგრამ, თუ ყოფილი საბჭოთა ქვეყნები განსაზღვრულ პოლიტიკურ საფუძველზე ევროკავშირის მსგავს კავშირს შევქმნით, ყოველგვარი დომინირებისა და მოსკოვის „რკინის მუშტის“ გარეშე, ვფიქრობ, ჩვენ წინაშე არსებული მწვავე პრობლემები თავისთავად მოგვარდება.

**საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ ჩვენ, ჭკვიანი ადამიანები, ამ პრობლემებს ათწლეულები ვერ გადავწყვეტთ. რუსეთი არ აპირებდა საქართველოსთან ომს, მაგრამ იქ იყვნენ ჩვენი რუსი მშვიდობისმყოფელები და რა გვექნა? თქვენ, კეთილგონიერი ქართველი ერი, ასეთ სიტუაციაში მიატოვებდით საკუთარ ხალხს?!** ჩემი აზრი ამ რთულ სიტუაციაში ასეთია: მართალია, ბევრი შეცდომაა დაშვებული, მაგრამ მათი გადაჭრა აუცილებელია.

**ალექსეი კუზნეცოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:**

— ამ მედიაფორუმის მთავარი ამოცანაა, როგორც რუსეთსა და საქართველოს, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში მივიღოთ ძალიან მნიშვნელოვანი, პროდუქტიული დიალოგის ფორმატი საზოგადოების დონეზე. მედიაფორუმი ხომ მხოლოდ ჟურნალისტებს შორის უბრალო ურთიერთობას არ მოიცავს, ეს იმ ადამიანებს შორის ურთიერთობაა, რომლებიც შემდეგ ჩადიან თავიანთ ქვეყნებში და ამ ყველაფრის შესახებ ფართო საზოგადოებას ამცნობენ. ამიტომ ამ მართლაც ძალიან რთული პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზას ხალხებს შორის ურთიერთობების განვითარებაში ვხედავ. შეიძლება ეს არ არის პრობლემების გადაჭრის სწრაფი გზა, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია, რადგან ხშირად ეს მტრობა ერთმანეთისადმი მხოლოდ პირადი კონტაქტების გზით შეიძლება გადავლახოთ.

**ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

— ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ოთხივე მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლების მხრიდან დიდი ინტერესი დავინახე.

მსგავსი ფორმატის შეხვედრები ძალიან მომწონს, რადგან ეს არის მოედანი, პირადი კონტაქტების, პირადი კავშირების განვითარებისთვის და, რაც მთავარია, საშუალება გეძლევა, პირველი წყაროდან მიიღო ინფორმაცია.

მედიაფორუმის მიმდინარეობისას მონაწილეებმა ბევრი კითხვა დაუსვეს გამომსვლელებს, რაღაცას შეიძლება იზიარებდე ან არ იზიარებდე, მაგრამ უნდა იცოდე, როგორ ფიქრობენ მეზობელ ქვეყნებში. მით უფრო, რომ სამივე ქვეყანა, რომელთა წარმომადგენლებიც მედიაფორუმში მონაწილეობდნენ, ჩვენი მეზობელია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შეხვედრები. საბჭოთა კავშირის დაშლა არ ნიშნავს, რომ მეზობელ ქვეყნებთან არ გვქონდეს ურთიერთობა, მათ შორის პროფესიული. სხვანაირად ჟურნალისტიკა არ განვითარდება, რადგან ჟურნალისტი კარგად უნდა იცნობდეს რეგიონის სიტუაციასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს.

**პეტრე მამრაძე, „მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის“ დირექტორი:**

— ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი მედიაფორუმი, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან თავიანთი საქმის პროფესიონალები, დიდი ინფორმაციის მქონე ადამიანები და მათთან ცოცხალი ურთიერთობა შეუცვლელია. შეხვედრაზეც აღინიშნა, რომ მაშინ, როდესაც ზოგიერთი მხოლოდ სოციალური ქსელებიდან, სადაც ძალიან ბევრი არასწორი ინფორმაცია ვრცელდება, იღებს ინფორმაციას და ეს ჰგონია რეალობის ამსახველი, პროფესიული დონის ამაღლებისა და პირადი კონტაქტების დასამყარებლად, ასეთი შეხვედრები აუცილებელია.

**გულნარა მამედზადე, საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო sputnik.az-ის მთავარი რედაქტორი, ბაქოში კასპიის თანამშრომლობის ინსტიტუტის წარმომადგენელი:**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წელს საერთაშორისო ფორუმში რუსეთთან ერთად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც მონაწილეობდნენ, რადგან ამ ოთხი ქვეყნის პოზიცია დიდ გავლენას ახდენს რეგიონში არსებულ სიტუაციაზე. გარდა ამისა, აქ შეიკრიბნენ ექსპერტები მედიიდან და უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი თემა განიხილეს. ჩვენ კონფლიქტურ რეგიონში ვცხოვრობთ და სწორად უნდა გვესმოდეს კონფლიქტების გადაწყვეტის რა გზები და საშუალებები შეიძლება მოიძებნოს.

ამას გარდა, ვფიქრობ, რომ იმ რთული მომენტების გათვალისწინებით, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს, ასეთი დიალოგები სასარგებლოა. ახლა ძნელია, რაიმე ხანგრძლივი პოლიტიკური პერსპექტივა განვსაზღვროთ. გასაგებია, რომ ტერიტორიული ხასიათის საკითხებიც არსებობს, მაგრამ იქნებ ასეთი ორმხრივი შეხვედრებისას როგორც ქართული, ასევე რუსული მხრიდანაც მოიძებნოს პრობლემების გადაჭრი გზები. ვინაიდან, როდესაც ყალიბდება ჯანსაღი გარემო, კონფლიქტების მოგვარების უფრო მეტი შესაძლებლობა ჩნდება.

ფორუმი ძალიან მაღალ დონეზეა ორგანიზებული, მე პერიოდულად შევდივარ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ვებგვერდზე, ვეცნობი თქვენი გაზეთის მასალებს და შემიძლია ვთქვა, რომ იქ ქვეყნდება საინტერესო მასალები, არა მხოლოდ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, არამედ რეგიონის თემატიკაზე, მსოფლიოში არსებულ ვითარებაზე. ჩანს საკითხებისადმი პროფესიონალური მიდგომა. მე ასევე ხშირად ვკითხულობ ალექსანდრე ჭაჭიას სტატიებს თქვენს ვებგვერდზე და მინდა ვთქვა, რომ ის ძალიან საინტერესო პოლიტოლოგია. მოხარული ვიქნებოდი, თქვენს გამოცემასთან გვეთანამშრომლა.

**შაკირ აგაევი, აზერბაიჯანული გაზეთ „ახალი დროს“ მთავარი რედაქტორი:**

— ასეთი ფორუმი უაღრესად მნიშვნელოვანია აზრების გაცვლა-გამოცვლისთვის, იმისთვის, რომ ერთმანეთის პრობლემებზე მეტი ვიცოდეთ. ეს მედიაფორუმი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, მომეწონა, რომ საინტერესო სპიკერები იყვნენ, გამომსვლელების პარალელურად მიმდინარეობდა დისკუსიაც. **პირველად ვარ საქართველოში და ძალიან მომეწონა თქვენი ქვეყანა, ვაღიარებ, გავოცდი, რა ბრწყინვალე, კეთილი ხალხია ქართველები. მომავალშიც დიდი სიამოვნებით ჩამოვალ საქართველოში და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო განვითარდება თქვენი ქვეყანა, რადგან აქ ბევრი შესაძლებლობაა ინვესტორებისთვის, კარგი მთავრობა გყავთ.**

მადლობა ორგანიზატორებს როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან, მადლობა საქართველოს, მადლობა, რომ მე მოვხვდი აქ და ახალი საინტერესო მეგობრებიც შევიძინე.

**ჯამილია ალეკპეროვა, აზერბაიჯანული გაზეთ „ექოს“ პოლიტიკური მიმომხილველი:**

— როდესაც მსოფლიოში უამრავი კონფლიქტი ხდება, ეკონომიკური კრიზისია, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის თითოეული ქვეყანა ირჩევს პრიორიტეტებს. ამიტომ ძალიან საინტერესოა ექსპერტებისა და პოლიტოლოგების მოსმენა იმის შესახებ, ასეთ რთულ პირობებში როგორ აღვუდგეთ წინ ამ ყველაფერს და გავაცნობიეროთ, კონკრეტულად რა საფრთხეების წინაშე დგანან სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. საფრანგეთში ახლახან მომხდარმა ტერაქტმა, რომელსაც არავინ ელოდა, კიდევ ერთხელ დაგვანახვა, როგორ შფოთავს მსოფლიო, არავინ იცის, ხვალ სად რა მოხდება.

ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, ეს მედიაფორუმი ნიშნავს, — კიდევ ერთხელ მოვისმინო სხვა ადამიანების აზრი და გამოვიტანო დასკვნები, გავაანალიზო, სწორად თუ ვფიქრობდი ამა თუ იმ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება შესანიშნავად არის ორგანიზებული, რაზეც მონაწილეების დიდი რაოდენობა და ის პირობებიც მეტყველებს, რომლებიც ფორუმის მონაწილეებს აქვთ შექმნილი კომფორტული მუშაობისთვის.

**ემანუელ მკრტჩიანი, საინფორმაციო სააგენტო „არმინფოს“ მთავარი რედაქტორი:**

— მოხარული ვარ, რომ ასეთი ფორუმები ტარდება, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ერთმანეთი გავიცნოთ, ჩვენი ქვეყნების მედიასაშუალებებს შორის ურთიერთობა განვითარდეს, სხვების აზრიც მოვისმინოთ. ბოლო ათი წელია, მსგავსი ფორუმები მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით ტარდებოდა, ამიტომ განსხვავებული აზრის მოსმენაც აუცილებელი და საინტერესოა.









**ლია ხოჯოიანი, სომხური საინფორმაციო სააგენტო Aysor.am-ის კორესპონდენტი:**

— ძალიან საინტერესო იყო სპიკერების გამოსვლა, მათ ისაუბრეს იმ ვითარებაზე, რომელიც დღეს კავასიაშია. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ერთგვარი მოედნის მოწყობა, სადაც შესაძლებელია საუბარი. ჩვენ, სომხებს ჩვენი კონფლიქტები, ჩვენი მტკივნეული წერტილები გვაქვს და პარიზის ტერაქტების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხებს შორის ურთიერთობა. ჩვენ ხომ არამხოლოდ ფორუმში ვმონაწილეობთ, არამედ ჩვენი მედიასაშუალებებისთვის ვმუშაობთ კიდეც, ვაწვდით მათ ინფორმაციას და ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი ჟურნალისტისთვის, ურთიერთობა, კონტაქტები მხოლოდ პლუსია მისი საქმიანობისთვის. პირველი წელი არ არის, რაც ამ ფორუმში ვმონაწილეობ, რომელსაც „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ უწევდა ორგანიზებას და მინდა ვთქვა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი საინტერესო ადამიანი, ბევრი ჟურნალისტი გავიცანი, რაც ჩემს პროფესიულ საქმიანობაში ძალიან დამეხმარა.

**P.S.: მედიაფორუმის ყველა მონაწილეს — ჟურნალისტებს და გამომსვლელებს, სერტიფიკატი გადასცეს. ორგანიზატორების განცხადებით, მედიაფორუმი მომავალშიც ჩატარდება და მონაწილეებს კიდევ უფრო მეტ საინტერესო სიახლეს შესთავაზებს.**

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

პრეზენტაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ცუდია, როცა ისტორიის ფალსიფიცირება ხდება. რა მოხდა აფხაზეთში, როგორ დავკარგეთ სამხრეთ ოსეთი თითქოს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ სრულ სიმართლეს არასდროს ვამბობთ. იმასაც ბოლომდე არ ვამბობთ, რაც დღეს ხდება. 2008 წლის აგვისტოს შესახებაც უმეტესად დუმილს ვამჯობინებთ“.

# ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ

**11 ნოემბერს თბილისში, სასტუმრო „ამბასადორის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია ორი წიგნისა — „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (დოკუმენტების ილუსტრირებული კრებული, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 230-ე წლისთავს ეძღვნება) და „უკრაინა და რუსეთი“ (ურთიერთობისა და ისტორიის ილუსტრაცია — ვითარება, რისკი, ტენდენციები).**



პრეზენტაციისა და წიგნების ავტორ რუს მეცნიერებთან შეხვედრის ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“. მონაწილეობდნენ ქართველი პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, საზოგადო მოღვაწენი, სასულიერო პირები, პუბლიცისტები, მწერლები, ჟურნალისტები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი, სრულიად საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის“ ლიდერი **ჯუმბერ პატიაშვილი;** აკადემიკოსი, საქართველოსა და რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი **ნაპოლეონ ქარქაშაძე;** „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი **ნანა დევდარიანი;** პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე, პუბლიცისტი **ვალერი კვარაცხელია;** არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი **თემურ ქორიძე,** ისტორიკოსი **დავით გოგიშვილი** და სხვ.

პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას წარუდგნენ წიგნის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ — ერთ-ერთი ავტორი, შემდგენელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი **მიხეილ რიჟენკოვი** და წიგნ „უკრაინა და რუსეთის“ პირველი ტომის შემდგენელი და ავტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთის სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **გენადი მატიშოვი.**

„გეორგიევსკის ტრაქტატის 230 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნზე მუშაობა, — განაცხადა **მიხეილ რიჟენკოვმა,** — წლების წინათ რამდენიმე ცნობილმა რუსმა მეცნიერმა დაიწყო. კრებული საკმაოდ დიდი მოცულობისაა, 400 დოკუმენტიდან, რომლებიც აქ დაიბეჭდა, 287 პირველად ქვეყნდება“.

წიგნი „უკრაინა და რუსეთი“ მდიდრული, კარგად ილუსტრირებული გამოცემაა. ამ წიგნის ავტორ გენადი მატიშოვს ბოლო 10-15 წლის განმავლობაში რამდენიმე საინტერესო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული სოციალური პროცესების, ადამიანების ურთიერთობის, ქვეყნებს შორის ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე. მისი თბილისში ჩამოსვლა, პრეზენტაციასთან ერთად, განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილმა ქართველოლოგთა პირველმა საერთაშორისო კონგრესმა, რომელზეც მიწვეული იყო.

**ჯუმბერ პატიაშვილმა** დოკუმენტების კრებული შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანი მეცნიერული ფაქტი, რომელშიც შესულ დოკუმენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთ-საქართველოს ობიექტური ისტორიის ჩამოსაყალიბებლად. „გეორგიევსკი ტრაქტატისადმი მიძღვნილი დოკუმენტების შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდობისთვის. „დარწმუნებული ვარ, — თქვა მან, — ისტორიის ცოდნა მათი მომავლის მყარი საფუძველია. **ჯერ კიდევ შორეულ 90-იან წლებში ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების გარეშე საქართველოს არ აქვს და არც ექნება პერსპექტივა.**

ცუდია, როცა ისტორიის ფალსიფიცირება ხდება. რა მოხდა აფხაზეთში, როგორ დავკარგეთ სამხრეთ ოსეთი თითქოს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ სრულ სიმართლეს არასდროს ვამბობთ. იმასაც ბოლომდე არ ვამბობთ, რაც დღეს ხდება. 2008 წლის აგვისტოს შესახებაც უმეტესად დუმილს ვამჯობინებთ.

კრებულში გამოქვეყნებულ დოკუმენტებს უნდა გაეცნოს ჩვენი საზოგადოებრიობა, მაგრამ, როგორც ვთქვი, ისინი ჩვენი ახალგაზრდობისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი“.

**«ბევრმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ხელი მოჰკიდა ისტორიის გადაკეთების, სათავისოდ მორგების საეჭვო საქმეს, მიზანში ამოიღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც, მახინჯდებოდა ფაქტები და კონიუნქტურულ ინტერესებს ესადაგებოდა»**



პრეზენტაციის ორგანიზატორის — **ტარიელ გაგნიძის** აზრით, სიტყვის თავისუფლებას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა, დადებითის გარდა, უარყოფითი მხარეც აქვს. ბევრმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და ხელი მოჰკიდა ისტორიის გადაკეთების, სათავისოდ მორგების საეჭვო საქმეს, მიზანში ამოიღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც, მახინჯდებოდა ფაქტები და კონიუნქტურულ ინტერესებს ესადაგებოდა.

„რა გვესმის ბოლო 20 წლის განმავლობაში? როგორ ისტორიას გვასწავლიან იძულებით? — გვეუბნებიან, რომ საბჭოთა კავშირი იყო ხალხთა საპყრობილე, მაშასადამე, ჩვენ, ქართველები, ამ საპყრობილის პატიმრები ვიყავით; რომ რუსეთის იმპერიას მისი აღზევების ზენიტში მართავდა სისხლიანი ტირანი იოსებ სტალინი, მის რეპრესიულ მანქანას კი — ცნობილი ჯალათი ლავრენტი ბერია! ისიც — ქართველი! უჩვენოთ ვერ ძლებენ! გიორგიევსკის ტრაქტატის დადება კი საქართველოს ისტორიის ლამის უდიდეს უბედურებად გამოაცხადეს. ეს მხოლოდ ჩვენს თემასთან დაკავშირებული ფაქტებია, თორემ ფალსიფიკაცია გაცილებით მეტი იყო, — აღნიშნა ტარიელ გაგნიძემ, — **პირველი, ვინც ამხილა ეს მავნებლური ტენდენცია, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია გახლავთ. მან 2007 წელს რუსულ პრესაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „საჭიროა ისტორიული სიმართლე“. ამ წერილში მან პირველმა ილაპარაკა საჯაროდ პოსტსაბჭოთა სივრცეში ისტორიის გაყალბებაზე, ამ სიყალბის კონკრეტულ ავტორებსა და მავნე პროცესის შედეგებზე. ამ წერილით პოლიტოლოგმა დასაბამი მისცა ფრიად საჭირბოროტო საკითხის საჯარო განხილვას და ამ თემას საზოგადოების ყურადღება მიაპყრო. ცოტა მოგვიანებით, 2009 წლის დასაწყისში, იგი იყო ინიციატორი, საქართველოში ჩამოგვეყალიბებინა არასამთავრობო ორგანიზაცია, რათა უფრო ორგანიზებულად გვემუშავა ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. შედეგად შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც „ისტორიული მემკვიდრეობა“ ვუწოდეთ. ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ რუსეთის პრეზიდენტს მივმართეთ წერილით, რომელშიც ვატყობინებდით ჩვენი წამოწყების თაობაზე და ვთხოვდით, ანალოგიური საქმიანობა წარმართულიყო რუსეთშიც. ჩვენს მიმართვას რამდენიმე დღეში გამოეხმაურა ბატონი მედვედევი, რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი.**

**2009 წლის 27 მარტს მივიღეთ დიმიტრი მედვედევის საპასუხო წერილი, რომელშიც იგი მიესალმა ჩვენს ინიციატივას, უწოდა მას დროული, აქტუალური და ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა და** ▶







ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების გარეშე საქართველოს არ აქვს და არც ექნება პერსპექტივა“.



**«პირველი, ვინც ამხილა ეს მავნებლური ტენდენცია, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია გახლავთ. მან 2007 წელს რუსულ პრესაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით «საჭიროა ისტორიული სიმართლე». ამ წერილში მან პირველმა ილაპარაკა საჯაროდ პოსტსაბჭოთა სივრცეში ისტორიის გაყალბებაზე, ამ სიყალბის კონკრეტულ ავტორებსა და მავნე პროცესის შედეგებზე. ამ წერილით პოლიტოლოგმა დასაბამი მისცა ფრიად საჭირბოროტო საკითხის საჯარო განხილვას და ამ თემას საზოგადოების ყურადღება მიაპყრო»**

**◀ რუსმა ხალხებმა ერთობლივი წარსულით უნდა ვიამაყოთ. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა პოსტსაბჭოთა ისტორიაში, როცა რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი პირადად გამოეხმაურა (და თანაც — დადებითად) არასამთავრობო სექტორის მიმართვას“.**

ძველი აქტების რუსეთის სახელმწიფო არქივის დირექტორმა და პრეზენტაციაზე გამოტანილი კრებულის თანაავტორმა **მიხეილ რიჟენკოვმა** გაიხსენა, როგორ აღინიშნა 30 წლის წინათ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 200 წლის იუბილე, როგორ დაიდგა მოსკოვში რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ძეგლი, ასევე, ის, რომ ამ თარიღისადმი მიძღვნილ სპეციალურ ჟურნალში, მისი, როგორც ახალგაზრდა მეცნიერის, პირველი სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა. საქართველოში ამ თარიღს მიეძღვნა ისტორიკოსების — **გიორგი პაიჭაძისა** და **ვალერიან მაჭარაძის** შრომები.



30 წლის შემდეგ ისტორია განმეორდა.

აკადემიკოსმა **გენადი მატიშოვმა** განაცხადა, რომ დღევანდელ ვითარებაში გასარკვევად საჭიროა ობიექტურად, აკვიატებული სიმპათიის ან ანტიპატიის გარეშე გავითავისოთ ისტორიული დოკუმენტები. წიგნ „უკრაინა და რუსეთის“ პირველი ტომი ისეა დაწერილი, რომ ნებისმიერმა ადამიანმა გაიგოს, როგორ ვითარდებოდა უკრაინელებისა და რუსების ურთიერთობა.

პრეზენტაციაზე გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ წიგნების ავტორები და სტუმრები.



# ძიძიგურმა და ბერძენიშვილმა პრემიების ამკრძალავი პროექტი ჩააგდეს

**პარლამენტში კენჭისყრის შედეგით: 44 — მომხრე, 3 — წინააღმდეგი, ჩავარდა მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიერ პრემიის აღების ამკრძალავი პროექტი. ინიციატივის წინააღმდეგ ლევან ბერძენიშვილი, მალხაზ წერეთელი და ზვიად ძიძიგური წავიდნენ.**



ამასთანავე, პარლამენტის სხდომათა დარბაზში იმყოფებოდნენ, მაგრამ აღნიშნულ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს და პროექტს მხარი არ დაუჭირეს **ნუკრი ქანთარიამ, ოთარ ჩრდილელმა, გუგული მაღრაძემ, ლუკა კურტანიძემ, გია ვოლსკიმ, ეკა ბესელიამ, თამარ კორძაიამ, ვახტანგ ხმალაძემ, ფრიდონ საყვარელიძემ, გიგა ბუკიამ, პაატა კვიჟინაძემ, გიორგი კახიანმა, ზურაბ ტყემალაძემ, დემურ ბაშალეიშვილმა** და **გიორგი გაჩეჩილაძემ.**

დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მაღალი რანგის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ პრემიის აღების შეზღუდვას ითვალისწინებდა, პარლამენტმა მეორე მოსმენით განხილვისას ჩააგდო.

ქუცნაშვილის კანონპროექტის მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრამდე (საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის ძალაში შესვლამდე) პრემიის მიღების უფლება შემდეგ თანამდებობის პირებს (ლაპარაკია 746 თანამდებობის პირზე) უჩერდებოდათ: საქართველოს პარლამენტის წევრებს, მინისტრებსა და მათ მოადგილეებს; აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს, მთავრობათა თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრებსა და მათ მოადგილეებს; მთავრობის ადმინისტრაციის უფროსსა და მის მოადგილეს; პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსსა და მის მოადგილეს; ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანსა და მის მოადგილეს; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანსა და მის მოადგილეს; სახალხო დამცველს ომბუდსმენსა და მის მოადგილეს; პარლამენტის აპარატის უფროსსა და მის მოადგილეს; სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელებს; შემოსავლების სამსახურის უფროსსა და მის მოადგილეებს; გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს; ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და საბჭოს წევრებს; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს; ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრებს; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და კომისიის მდივანს; გუბერნატორებსა და მის მოადგილეებს; მოსამართლეებს; მთავარ პროკურორსა და მის მოადგილეებს; იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორსა და მის მოადგილეს; საკრებულოს თავმჯდომარეებს, მერებსა და გამგებლებს.

# «ისლამური სახელმწიფო»: პარიზზე თავდასხმა მომავალი კოკისპირული წვიმის პირველი წვეთია



**„ისლამურმა სახელმწიფომ“ პარიზში განხორციელებული თავდასხმების შესახებ აუდიო და ტექსტობრივი მასალა გაავრცელა სათაურით „ოფიციალური განმარტება კურთხეული თავდასხმის შესახებ ჯვაროსნულ საფრანგეთზე“.**

განცხადების თანახმად, „მორწმუნეებმა გაილაშქრეს მრუშობისა და სიბილწის დედაქალაქ პარიზზე, რომელიც ევროპაში ჯვაროსნების დროშის მატარებელია“.

„8 ძმა ასაფეთქებელი ქამრებითა და ავტომატებით მივიდა იმ ადგილას, რომელიც დედაქალაქის გულში გულდასმით შეირჩა. ამ ადგილებს შორის სტადიონი „სტად დე ფრანსია“, სადაც იმ მომენტში გერმანიისა და საფრანგეთის მატჩი მიმდინარეობდა და რომელსაც ფრანგი იდიოტი ფრანსუა ოლანდი ესწრებოდა, ასევე თავდასხმა განხორციელდა „ბატაკლანის“ საკონცერტო დარბაზზე, სადაც ათასობით წარმართი მრუშობის დღესასწაულზე შეიკრიბა. ამასთანავე, განხორციელდა თავდასხმები სხვა სამიზნეებზე ქალაქის მე-10, მე-11 და მე-18 რაიონებში. იცოდეს საფრანგეთმა და ყველამ, ვინც მის კვალდაკვალ მიდის, რომ ისინი „ისლამური სახელმწიფოს“ მთავარ სამიზნეებად დარჩებიან. თქვენ სიკვდილის სუნს იქამდე იგრძნობთ, სანამ ჯვაროსნების კოალიციაში ხართ, სანამ ჩვენს წინასწარმეტყველს (მშვიდობა მას და ღვთის კურთხევა) ლანძღავთ, სანამ ამაყობთ თქვენი ომით ისლამის წინააღმდეგ საფრანგეთში და ავიადარტყმებით სახალიფოს მიწებზე. არადა, ეს თვითმფრინავები პარიზის ქუჩებში ვერ დაგიცავენ. პარიზზე თავდასხმა მომავალი კოკისპირული წვიმის პირველი წვეთია“, — ნათქვამია განცხადებაში.

# ევროპის 6 ქვეყანაში მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა



**ევროპის 6 ქვეყანაში მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა. დაკავებულია ისლამისტური დაჯგუფების 15 წევრი, რომლებიც ნორვეგიასა და ახლო აღმოსავლეთში თავდასხმებს გეგმავდნენ. დაკავებების თაობაზე პრესკონფერენცია იტალიის პოლიციამ გამართა.**

ეჭვმიტანილების სამიზნეებს ნორვეგიელი და ბრიტანელი დიპლომატები, აგრეთვე, პოლიტიკოსებიც წარმოადგენდნენ. ისინი ეროვნებით ერაყელი ქურთები არიან. ეჭვმიტანილებს საერთაშორისო ტერორიზმის ბრალდებით გაასამართლებენ.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ორივე მხარემ თავის დროზე ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. რომ არ ყოფილიყო კიტოვანის ლაშქრობა აფხაზეთზე, არ დაღვრილიყო ამდენი სისხლი ორივე მხრიდან, კონფლიქტი ომში არ გადაიზრდებოდა და პრობლემად არ ჩამოყალიბდებოდა“.**

# დოკუმენტები, რომლებიც სიმართლეს ღაღადებენ

**„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებისთვის ცნობილია, რომ ჩვენი გაზეთის წინა ნომრიდან დავიწყეთ დოკუმენტების კრებულის „რუსულ-ქართული ურთიერთობის ისტორიიდან“ გადმოქართულებული ვარიანტის გამოქვეყნება. წიგნის ერთ-ერთ ავტორ-შემდგენელთან — მიხეილ რიჟენკოვთან საუბარი სწორედ ამ სახის მასალების თარგმნის საკითხებზე დავიწყეთ, უწინარესად კი, იმ წერილებისა, რომლებიც საქართველოდან ეკატერინე II-ს კარზე ქართულად დაწერილი გაიგზავნა, იქ თარგმნეს რუსულად და მიართვეს იმპერატრიცას. ქართული დედნების საქართველოში ვერმოძიების გამო, იძულებული შევიქენით, რუსულიდან ქართულად გადმოგვეღო ასეთი ტექსტები. ასეთ შემთხვევაში ორიგინალიდან აცდენისგან, მაშასადამე, შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის. რესპონდენტი, რომელიც ამ საქმის პროფესიონალია, ცხადია, იზიარებს ამ მოსაზრებას და ასკვნის, რომ ზოგჯერ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ვითარება გვიბიძგებს ასეთი რისკისკენ. გამოსავალი რუსეთის არქივებში დაცული ქართული დოკუმენტების მოძიებაშია. ბატონმა რიჟენკოვმა ამ საქმეში დახმარება აღგვითქვა. ცხადია, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ გადაულახავ სიძნელეებს იგი ვერ ხედავს. იმედი ვიქონიოთ, „რომ, დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება“, მკითხველს ქართულ დედნებს წარვუდგენთ. საუბარი თარგმნის სპეციფიკის საკითხებზე გრძელდება:**


მიხეილ რიჟენკოვი

**«წიგნი გათვლილია ისტორიკოსებზე. მათთვის ეს წიგნი მზამზარეული მასალაა, რომელზე დაყრდნობითაც შეეძლებათ ობიექტური დასკვნების გამოტანა»**

**— დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ დაასკვნა: რუსულად მთარგმნელი ადრესატის ოფიციალური ტიტულატურის ისეთი სიუხვით ამდიდრებს ქართულ წერილებს, რომლებიც დედნებში არ არის. ეს ჩანს თუნდაც სქოლიოში გამოტანილი შენიშვნებიდან. ისეთი შთაბეჭდილება დარჩება მკითხველს, რომ ეკატერინე II-ს საქართველოს (ქართლ-კახეთის) მეფე კი არ მიმართავს, არამედ რომელიღაც მაზრის უფროსი, რომლის უპირველესი მიზანია, ელაციცოს თვითმპყრობელს და მისი ყველა ტიტულის ჩამოთვლით საკუთარ თავი მის მტილად წარმოაჩინოს. რით შეიძლება ამის ახსნა?**

— ძალიან მარტივად შეიძლება ამის ახსნა: ქართველი მეფის წერილების რუსულად მთარგმნელი უბრალო მოხელეა, „ტოლმაჩი“, რომელიც ან საგარეო საქმეთა კანცელარიაში მსახურობდა, ან გრაფ პოტიომკინის პირად კანცელარიაში. მას, ამ მოხელეს, ტიტულების ან ჯილდოების დასახელებაში რამე რომ შეშლოდა...

**— ესა და ეს ორდენი — ბაფთით თუ უბაფთოდ...**

— დიახ! ან, ღმერთმა არ ქნას, გამორჩენოდა რომელიმე ტიტული, დიდი უსიამოვნება ელოდა. ერეკლე II-ს შეიძლება არც სცოდნოდა (არ სჭირდებოდა, რომ სცოდნოდა) ეს ტიტულები, მაგრამ მთარგმნელმა ხომ იცოდა, რა ცეცხლს ეთამაშებოდა და თავის საქმეს აკეთებდა ისე, რომ წერილი, რომელსაც ადრესატი რუსულად წაიკითხავდა, გულზე მოჰფენოდა, სიამოვნების მომგვრელი ყოფილიყო. დღეს რუსული ტექსტიდან დედნის ენაზე თარგმნილ მასალას მეცნიერულს ვერ ვუწოდებთ. ქართულში გადმოტანა მე-18 საუკუნის რუსული ფორმულირებების, როცა ისინი დედანში არ არის, რა თქმა უნდა, საჭირო არ არის. მაგრამ, თუ სხვა გამოსავალი არ არის, მაშინ შესაბამისად უნდა იქნას ახსნილი მკითხველისთვის.

ეს წიგნი, რომლის პრეზენტაციასაც დავესწარით, რა თქმა უნდა, რუსი მკითხველისთვისაა გამიზნული. ქართველი მკითხველი ქართულად დაწერილ დოკუმენტს რუსულიდან ნათარგმანებს რომ წაიკითხავს, წამგებიანია, ამიტომ, ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა, ქართულად უნდა ითარგმნოს ის ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც რუსულად იყო დაწერილი.

**— კრებული, რომელსაც განვიხილავთ, ვისთვისაა გამიზნული, რომელ მკითხველზეა გათვლილი?**

— ნებისმიერი წიგნი, ავტორების ნებისმიერი ნაშრომი გათვლილი უნდა იყოს მკითხველ საზოგადოებაზე, პუბლიკაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

შემიძლია გითხრათ, რომ ეს წიგნი პოლიტიკოსებზე არ არის გათვლილი. ისინი ასეთ წიგნებს, სამწუხაროდ, არ კითხულობენ. როგორც ამბობენ, ყველას თავისი პროფესია აქვს. ფართო მკითხველისთვის დოკუმენტების ეს კრებული „მსუბუქი საკითხავი“ არ არის.

გულახდილად და პატიოსნად გეტყვით: **წიგნი გათვლილია ისტორიკოსებზე. მათთვის ეს წიგნი მზამზარეული მასალაა, რომელზე დაყრდნობითაც შეეძლებათ ობიექტური დასკვნების გამოტანა.**

მგონი, ეს კრებული უფრო მეტად სტუდენტებს გამოადგებათ. მათ, ვინც ისტორიკოსობას აპირებს, საკუთარი კონცეფციის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მათ შორის ისეთი თემის დამუშავებაში, როგორიც არის ეკატერინე II-ს პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში.

**— ვითვალისწინებ, რომ თქვენ ეს პერიოდი კარგად გაქვთ შესწავლილი და დამუშავებული და გეკითხებით — რით განსხვავდება იმპერატრიცას პოლიტიკა დღევანდელისგან? რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ვგულისხმობ, უწინარესად.**

**წიგნის პრეზენტაციაზე გამოსვლისას, თქვენ განაცხადეთ, რომ აუცილებელია ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა. ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოსთვის ჩამოცილება ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას?!**

— ეკატერინეს შესახებ გეტყვით, რომ იგი იმდენად რუსეთის ტერიტორიის განვრცობისკენ არ ილტვოდა, რამდენადაც რუსეთის საზღვრებთან მდებარე ქვეყნების მიერ იმპერიისადმი ლოიალური დამოკიდებულების განმტკიცებას ცდილობდა.

**— გაგახსენებთ, 2008 წლის ხუთდღიან ომამდე ვლადიმერ პუტინი აცხადებდა, რომ რუსეთს ახალი ტერიტორიები არ სჭირდება, ისედაც ბევრი გვაქვსო.**

— რა თქმა უნდა, ასეა. მით უფრო, რომ ახალი ტერიტორიები ახალი და გაზრდილი ხარჯია, თავსატეხის მომატებაა. ამიტომ, თუ შენს საზღვართან არის სახელმწიფო, რომელიც შენდამი კეთილგანწყობილია, მზად არის, მოკავშირედ გაგიხდეს და თავისი საშინაო საკითხები თვითონვე გადაწყვიტოს, ეს, ეგებ, უკეთესიც იყოს.

რაც შეეხება თანამედროვე პოლიტიკას, ვაღიარებ, ცუდად ვერკვევი. ვგრძნობ, რომ **საქართველოსთვის ძალიან მტკივნეული საკითხია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა. ჩემი მოსაზრება, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ იგი არაპროფესიულია. ასეთი მოსაზრებით კი, როგორც ამბობენ, საკუთარ ეზოს იქით არ უნდა გახვიდე.**

ეკატერინეს სიკვდილის შემდეგ პავლემ მთელი რუსეთი თავდაყირა დააყენა. პავლე რთული ადამიანი იყო. კი ჰქონდა რაღაც გაგება კეთილშობილებაზე და ასე შემდეგ, მაგრამ ძალიან იმპულსური იყო, შეეძლო, ეჭვის ნიადაგზე ან შემთხვევითი შთაბეჭდილების გავლენით მიეღო გადაწყვეტილებები.

**ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, როცა გიორგი XII მძიმე ავადმყოფი იყო, დაიწყო დიდი ოჯახური არეულობა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მეფე საქართველოსი (გიორგის სხვა უნდოდა, დარეჯანს — სხვა და ა.შ.), როცა ამ ამბებმა პავლემდე მიაღწია, მან საქმეში გარკვევაც კი არ მოისურვა და ერთი ბრძანებით მოსხიპა პრობლემა: არავითარი მეფე! დასვით გუბერნატორი!**

პოლიტიკა ამწუთიერი საქმეა. ცვლილებებს განიცდის ყოველთვის, ხელისუფლების შეცვლით იქნება ეს გამოწვეული, თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების.

გეტყვით ასე: რუსეთს წლების განმავლობაში პოლონეთი ხელში ეკავა...

**— დღეს კი თავსი ტერიტორიების დაბრუნებას ითხოვს.**

— ითხოვენ დასავლეთ უკრაინის, ბელარუსის დაბრუნებას. არიან ასეთები პოლონეთში.

**მეფის რუსეთის სამხედრო მინისტრ დიმიტრი ალექსის ძე მილიუტინისთვის, გონიერი და ლიბერალური შეხედულებების ადამიანისთვის, რომ ეთქვათ — დადგება დრო და პოლონეთი რუსეთს გამოეყოფაო, არ დაიჯერებდა. ის და მისი ძმა ძალას არ იშურებდნენ პოლონური შფოთის ჩასახშობად.**

პირდაპირ გეტყვით არაპროფესიონალის თვალსაზრისს: გარკვეული პერიოდის განმავლობაში რაღაც საკითხების ძალადობით მოგვარება შეიძლება, მაგრამ არა საბოლოოდ გადაწყვეტა.

**— რომ არ დაღგალოთ, მოკლედ მიპასუხეთ: თქვენი გადასაწყვეტი რომ იყოს, რას იღონებდით?**

— ოჰ! *(ამოიოხრა).*

**— საქართველოს მთლიანობაზე გეკითხებით.**

— მესმის.

**— შეიძლება, გულიდან ამონათქვამით — ოჰ! დავამთავროთ საუბარი და დავსვათ წერტილი?**

— შეიძლება, როგორ არა... მაგრამ მაინც ვიტყვი: **ორივე მხარემ თავის დროზე ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. რომ არ ყოფილიყო კიტოვანის ლაშქრობა აფხაზეთზე, არ დაღვრილიყო ამდენი სისხლი ორივე მხრიდან, კონფლიქტი ომში არ გადაიზრდებოდა და პრობლემად არ ჩამოყალიბდებოდა...**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო

## მარინ ლე პენი: ჩავკეტოთ საზღვრები! გავაუქმოთ ყველა რადიკალური მეჩეთი



**„საჭიროა ყველა რადიკალური მეჩეთის გაუქმება, ამასთანავე, უნდა ჩამოერთვას მოქალაქეობა ყველა რადიკალურად განწყობილ ადამიანს და გაძევებული იყვნენ საფრანგეთიდან“, — განაცხადა საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა, ევროპარლამენტის წევრმა მარი ლე პენმა საგანგებო ბრიფინგზე.**

„საფრანგეთი დასტირის თავის შვილებს... საფრანგეთმა უნდა გააკეთოს არჩევანი და გაავლოს მკვეთრი ზღვარი — ვინ არის მისი მეგობარი და ვინ — მისი მტერი. რა თქმა უნდა, კარგია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება საზღვრების გამაგრების შესახებ, თუმცა მე ვითხოვდი და ვითხოვ, რომ ეს თავის დროზე ყოფილიყო გაკეთებული. მაგრამ არც ახლაა გვიან და ჩვენ უნდა ჩავკეტოთ ჩვენი საზღვრები და დავიცვათ ჩვენი სუვერენიტეტი. აგრეთვე, საჭიროა ყველა რადიკალური ორგანიზაციის გამოვლენა და განეიტრალება, საჭიროა ყველა რადიკალური მეჩეთის გაუქმება. მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას ყველა რადიკალურად განწყობილ ადამიანს და გაძევებული იყვნენ საფრანგეთიდან“, — განაცხადა მარი ლე პენმა.

„მოწიწებით, ერთგულებით და უმორჩილესი ჩემი სულისკვეთებით ვთხოვ თქვენს დიდებულებას, თქვენი ბრძანებით მოგვანიჭოთ ისეთი მფარველობა, რომ ყველამ, როგორც ჩვენმა მოკეთეებმა, ასევე, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა დაინახონ, რომ ვართ რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილი ქვეშევრდომნი, და ჩემი სამეფო მიერთებულია რუსეთის იმპერიას ჩემი უმდაბლესი წარდგინების საფუძველზე. ჩემს უმდაბლეს თხოვნაზე თქვენი დიდებულების მოწყალების მოლოდინით თქვენი დიდებულების უმდაბლესი მონა, მეფე ერეკლე“

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეორგიევსკის ტრაქტატი — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით

## გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 230 წლისთავისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41 (323)

**განვაგრძობთ XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების კრებულის გადმოქართულებული ვარიანტის გამოქვეყნებას. მკითხველი საზოგადოებისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, მასალებს შეძლებისდაგვარად გათანამედროვებული ქართულით წარმოგიდგენთ.
ეს ეხება როგორც ქართულ დედნებს, აგრეთვე, რუსულიდან ნათარგმნ დოკუმენტებს.**

## 1771 წ.

### №4

### 1771 წ. 30 დეკემბერი. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის წერილი იმპერატრიცა ეკატერინე II-ს რუსეთის მფარველობაში მისი სამეფოს მიღების თხოვნით

„ყოვლად უგანათლებულესს, დიდ ხელმწიფეს, იმპერატრიცა ეკატერინა ალექსეევნას, თვითმპყრობელს სრულიად რუსეთისა, ყოვლად უმოწყალესს ხელმწიფეს.

თქვენს დიდებულებას ულრმესი ჩემი მორჩილებით ვბედავ, წარვუდგინო ჩვენი ყველა ამჟამინდელ საქმეთა გასაჭირი, არა იმიტომ, რომ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ასეთი მნიშვნელოვანი დახმარება, რომლითაც თქვენი დიდებულების ძლიერი და ვრცელი იმპერიით უდიდეს სარგებლობას გაგვიწევდით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ, ყოვლად მოწყალე მართლმადიდებელი დედოფალი და დედა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა, ჩვენი თავშესაფარი ბრძანდებით.

ყოვლადმოწყალეო ხელმწიფევ!

ჩვენ მოვესწარით იმ დროებას, რომელსაც ჩვენი წინაპრები ელოდნენ და რომლითაც დაიმედებული იყვნენ ღირსსახსოვარ დიდ ხელმწიფეთა მიერ, რომ ხელსაყრელ დროს სრულიად საქართველო გათავისუფლდებოდა თავსმოხვეული უბედურებისგან. ამას საქართველო ყოველთვის იმედოვნებდა და მიიჩნევდა, რომ ასეც იქნებოდა. თქვენი დიდებულების განკარგულებათა ძალით ამჟამადაც სრულად დაიმედებული ვართ, რომ გავთავისუფლდებით წარმართთა ხელთაგან.

თქვენი დიდებულების მონები — ძმა ჩემი კათალიკოსი და ძე ჩემი ლეონი გამოვგზავნე თქვენთან, რათა მათ წერილობით (დოკუმენტით) დაუდასტურონ თქვენ დიდებულებას, როგორი სამსახური შეგვიძლია გაგიწიოთ მე და ჩემმა სამეფომ და, ამასთანავე, უმორჩილესად გთხოვთ მოწყალების დასტურს ჩემ მიერ წარმოდგენილ თხოვნაზე.

ყოვლადმოწყალეო ხელმწიფევ!

მიიღეთ, მიიღეთ თხოვნა ჩემი თქვენი სიცოცხლის სამრავალჟამიეროდ, თუ ჩვენ, აზიელებმა ევროპულ წეს-ჩვეულებათა არცოდნის გამო რამე დავაშავეთ თქვენი დიდებულების წინაშე, ყოვლის შემძლე ღმერთისა და თქვენი, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, განსასჯელია.

მოწიწებით, ერთგულებით და უმორჩილესი ჩემი სულისკვეთებით ვთხოვ თქვენს დიდებულებას, თქვენი ბრძანებით მოგვანიჭოთ ისეთი მფარველობა, რომ ყველამ, როგორც ჩვენმა მოკეთეებმა, ასევე, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა დაინახონ, რომ ვართ რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილი ქვეშევრდომნი, და ჩემი სამეფო მიერთებულია რუსეთის იმპერიას ჩემი უმდაბლესი წარდგინების საფუძველზე.

ჩემს უმდაბლეს თხოვნაზე თქვენი დიდებულების მოწყალების მოლოდინით

თქვენი დიდებულების უმდაბლესი მონა, მეფე ერეკლე

დაწერილია ქალაქ თბილისში 1771 წლის 30 დეკემბერს.“

**ქვემოთ წარმოგიდგენთ ეკატერინე II-სადმი ერეკლე მეფის მიერ გაგზავნილი წერილის დედანს, როგორც ილუსტრაციას ყოველგვარი სტილისტური და ორთოგრაფიული ჩარევის გარეშე. ერეკლე მეორემ რუსეთის თვითმპყრობელს გაუგზავნა ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო ითხოვდა რუსეთის მფარველობაში შესვლას.**

### №7

„ყოვლად უგანათლებულესსა, უმპყრობელესსა, დიდსა ხელმწიფესა, იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნასა, თვითმპყრობელსა სრულიად რუსეთისასა, ყოვლად უმოწყალესსა ხელმწიფესა!

რომელიც არის უკაზებითა ყოვლად მოწყალითა ხელმწიფობისა თქვენისათა ბრძანებული მოწყალებით მიღება თქვენისა დიდებულებისა მფარველობასა შინა და ჩვენად განსაძლიერებელად ჯარის ბოძება საქართველოებში.

ამ ზემოხსენებულის მოწყალების სიმდაბლით მმადლობელნი ამასაც მთხოველ ვართ, რომ აწვე გამოგვიყვანოს მოწყალებამან დიდებულებისა თქვენისამან წარმართთაგან და გვებოძოს ჯარი, რიცხვით ოთხი ათასი, გასწავლებული, და, თუ სულ გასწავლებული არ იყოს, ნახევარი გაუსწავლებელი იყოს და ნახევარი გასწავლებული, საკუთრად ჩვენს მხარეს, რათამცა საერთოდ ვებრძოლოთ ოსმალთა, რადგანაც უწინდელს ჯარს ჩვენ კერძო არა აქუს მოცალება, და ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის შეძლებით, როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.

კულად, ვითაც ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თქვენისა დიდებულების მოწყალებისა გამო, ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებელად ეგოს მორჩილებასა ქუეშე დიდებულებისა თქვენისასა, იმ მსახურებითა, რომელიცა ქვემორე აღიწერება.

მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.

ვინაითგან ღვთითა და ბედნიერობითა თქვენისა დიდებულებისათა ყირიმიდამ ეგოდენნი ჩუენის ქვეყნის კაცნი გამოიხსნენ, წყალობას ვითხოვთ ყოვლად დიდებულებისაგან თქვენისა, რათამცა იმათ თავისუფლება მიეცესთ თავიანთ ქვეყანაში მოსვლისა.

და როდესაც თქვენის იმპერატორების დიდებულების ჯარი ამ ქვეყანაში მოვა, და ჩვენ და ისინი საერთოდ მტერს ჩვენს წართმეულს ქვეყნებს რომ წავართმევთ, რაც კორპუსზედ ხაზინა დაიხარჯება, ამ დაჭერილის ქვეყნებიდამ რამდენსამე წელიწადში ისევ უნდა ხაზინაში მოგართვათ.

დალათუ ამაზედ თავის წყენისათვის მოვერიდებით ყოვლად დიდებულებასა ხელმწიფებისა თქვენისასა, მაგრამ რადგან ამ საქმეზედ რამდენჯერმე ჯარების შეყრა მოგვიხდა, ჩვენთვის კმას-საყოფელი ხარჯები დაგვემართა და კიდემ გზებზედ ჯარისა და ბარგის გარდმოტანისთვის ბევრი დაიხარჯა, და თუ რამ დაგვჭირდეს რა, ერთიც ვითხოვოთ ვედრებით, რომ ხაზინიდამ სესხად ჩვენის ჯარისთვისაც თეთრი გვებოძოს, და ისევ მიირთვას ყოვლად დიდებულობამან თქვენმან.

და ამ წყალობებისათვის, რომელიც ზემორე აღიწერა, მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლადდიდებულსა ხელმწიფესა და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის და ან გამოჩნდება, იქიდამ სარგებელი მოიპოება, ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს.

და კიდევ, რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველ წლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური სახელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდეს.

რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება, თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქვენსა მიერთმეოდეს.

როდესაც სპარსთ რომ ვეჭირენით მძლავრებით და ხან ოსმალსა, სპარსნი ჩვენს სამეფოს ორს წელიწადში ერთხელ წაართმევდნენ ცხრას ტყვეს და კვამლზედ თოთხმეტს შაურს, და ამასაც — იმ ტყვეების მოსამზადებელის ხარჯისათვის; და კიდევ ორმოცდაათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავისის ხარჯით თვით წაიღებდნენ სახელმწიფოთ, და ახლა ჩვენ ამ ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, ყიზლარს ჩვენის ხარჯით მივიტანთ სახელმწიფოთა.

როდესაც დიდებულის ხელმწიფის ჯარი მოვა ჩვენს ქვეყანაში, იმათის შემწეობით სხვის ქვეყნების დაპყრობამდის ჩვენის ქვეყნებიდამ, რომელიც ქვეყანა დღეს გვიჭირავს, ეს ზემოხსენებულნი აღთქმულნი მივართვათ უდიდებულესსა ხელმწიფებასა თქვენსა, და როდესაც სხვებს ქვეყნებს დავიპყრობთ თქვენის დიდებულების ძალით, მაშინ იმ ადგილებიდამ, როგორც ქვემორე მოიხსნება, იმ სახით ვამსახურებთ.

როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ხელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი.

თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები დავიჭირეთ ბედნიერებითა თქვენის დიდებულებისათა, ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნიდამ, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა.

კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანას ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა სულტანისა, მაშინც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.

როდესაც დიდებულის ხელმწიფის ბედნიერობით წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, მაშინ ჩვენის ძველად ქონებულის სამეფოდამაც და ახლად დაჭერილის ქვეყნებიდამაც მოვართმევთ თქვენის იმპერატორების დიდებულებას, რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძეს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თქვენს დიდებულებასა.

უკეთუ ღვთითა და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქვენის დიდებულის კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქუენის დიდებულებისა არის.

ჩვენ რაც რამ სამსახურის აღთქმა შეგვეძლო და წყალობის ვედრება გვეჭირებოდა, ის მოვახსენეთ თქვენის იმპერატორების დიდებულებასა და როგორც თქვენ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ნება იყოს, ეგრეთ დედობრივითა მოწყალებითა განაგოს ყოვლად მოწყალებამან დიდებულებისა თქუენისამან.

**ყოვლად დიდებულებისა თქვენისა უმდაბლესი მონა
მეფე
ერეკლე
დაიწერა ქალაქსა ტფილისს, დეკემბერს 30 დღესა, წელსა 1771.“**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1945 წლის 1 აპრილს სტალინს სამხედრო დაზვერვამ მაგიდაზე დაუდო გაშიფრული რადიოგრამა, რომელშიც ჩერჩილი რუზველტს ატყობინებდა, რომ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა, რაც შეიძლება, ღრმად შეიჭრან გერმანიის ტერიტორიაზე და, თუ ბერლინსაც აიღებენ, სტალინთან უფრო გაბედული და თამამი საუბარი ექნებოდათ არა მხოლოდ გერმანიაზე, არამედ ევროპაზე. რადიოგრამაში აღნიშნული იყო ბერნში გამართული წინასწარი მოლაპარაკების ზოგიერთი დეტალი სეპარატულ ზავზე.**

# ბერლინის შტურმი

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ ჩემს წინა წერილებში მკითხველს გავაცანი ბერლინის აღების ოპერაცია იმ სახით, როგორითაც მქონდა წაკითხული და გაგონილი. გამოქვეყნებული მასალის მოკლე შინაარსი ასეთი იყო:**

1945 წლის 16 აპრილს სტალინმა მარშალ გიორგი ჟუკოვს მარშალ კონსტანტინე როკოსოვსკის მიერ ბერლინის მიმართულებით წაწეული ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლობა ჩააბარა, ხოლო უკანდახეული ბელორუსიის მეორე ფრონტის სარდლობა მარშალ როკოსოვსკის უბრძანა.

გამარჯვების აღლუმის მიმღებმა მარშალმა ჟუკოვმა თავისი მხედრული „გენიითა“ და პირადი მამაცობით სასწაული აჩვენა მტერს. 30-წუთიანი საარტილერიო დარტყმების შემდეგ მოწინააღმდეგის პოზიციებს 140 უმძლავრესი, 2000-კილოვატ/საათიანი პროჟექტორები მიანათა, რამაც დააბრმავა მტრის მოიერიშე ნაწილები. საარტილერიო და საჰაერო ჭურვების აფეთქებით გამდნარი ფოლადის ზღვაში მცურავ ქალაქ ბერლინს თავის სათვალთვალო პუნქტიდან ჭოგრიტით უმზერდა „უბადლო“ მხედართმთავარი, ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალი, სტალინის მოადგილე მარშალი ჟუკოვი. ჟუკოვის უშუალო ბრძანებით რუსმა ეგოროვმა და ქართველმა სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ რაიხსტაგზე აღმართეს გამარჯვების წითელი დროშა...

მოგვიანებით, **როდესაც „ათი სტალინური დარტყმის“ მასალებს ვეცნობოდი და ვამუშავებდი, უცნაურ ჩანაწერებს გადავაწყდი, რომლებსაც თავდაპირველად არ ვენდე, მაგრამ, როდესაც სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ჭეშმარიტებამდე მივედი, მკითხველს ბოდიში უნდა მოვუხადო ჩემ მიერ ადრე გამოქვეყნებული წერილისთვის ბერლინის აღების ოპერაციაზე და გაგაცნოთ მასალა, რომელსაც საფუძვლად უდევს არა ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქისდროინდელი მკვლევარების ცნობები, არამედ ბერლინის დაცემის ჟამთააღმწერლის.**

იალტის კონფერენციიდან (სადაც საბოლოოდ დამტკიცდა, რომ სტალინი არა მხოლოდ კოალიციისა და „დიდი სამეულის“ ლიდერია, არამედ მსოფლიოს გადამრჩენი და მშვიდობის დამცველიც) მოსკოვში დაბრუნებულმა სტალინმა ბელორუსიის მეორე ფრონტის სარდალ **კონსტანტინე როკოსოვსკის** უბრძანა, განეხორციელებინა შეტევა დასავლეთის მიმართულებით — მდინარე ვისლადან, გაენადგურებინა აღმოსავლეთი პომერანიის შენაერთები, დაეპყრო

დანციგისა (გდანსკის — გრ. ონიანი) და გდინიას ტერიტორიები და გზა გაეხსნა ბერლინისკენ. შეტევა 10 თებერვალს დაიწყო და 20 თებერვალს წარმატებით დასრულდა.

1945 წლის 18 თებერვალს, საღამოს, სტალინს აცნობეს, რომ ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდალი **ჩერნიახოვსკი** სასიკვდილოდ დაიჭრა. სტალინმა სასწრაფოდ იხმო გენერალური შტაბის უფროსი **ალექსანდრე ვასილევსკი** და უბრძანა, სასწრაფოდ გამგზავრებულიყო ფრონტზე და ჩაებარებინა ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდლობა, დავალება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული. ბელორუსიის მეორე ფრონტმა (როკოსოვსკი) 24 თებერვალს კვლავ განახორციელა შეტევა და 2 დღის შემდეგ 50-60 კილომეტრით შეიჭრა მტრის ზურგში.

სტალინი კმაყოფილი იყო ბელორუსიის მეორე ფრონტისა (როკოსოვსკი) და უკრაინის პირველი ფრონტის (კონევი) საბრძოლო მოქმედებებით, მაგრამ აღელვებდა ჟუკოვის მდგომარეობა, ამიტომ დაუკავშირდა მარშალ როკოსოვსკის:

— რას ცუღლუტობს ჟუკოვი?

— ამხანაგო სტალინ! არ ვფიქრობ, რომ ჟუკოვი ცუღლუტობს, მაგრამ ფაქტია, ადგილიდან არ იძვრის. აქედან გამომდინარე, ჩვენი ფრონტის ძალები ნელ-ნელა სუსტდება და მცირდება ბრძოლისუნარიანობა.

— არ შეგიძლიათ, თქვენი ძალებით აიღოთ ნოიშტეტინი (პოლონეთის ქალაქი, ამჟამადშჩეცინეკი — გრ. ონიანი)? — ჰკითხა სტალინმა, — თუ ამას შეძლებ, შენს სახელზე მოსკოვი სალუტს მისცემს.

— შევეცდები, შევასრულო თქვენი ბრძანება, ამხანაგო სტალინ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყვება, თუ არ უბრძანებთ ჟუკოვს, ჯარი აამოქმედოს.

ჟუკოვმა მოქმედება დაიწყო და დაიკავა ქალაქი კოლბერგი, მაგრამ ბრძანება მიიღო, გადაეცა ერთი სატანკო არმია როკოსოვსკისთვის. როკოსოვსკის კი სტალინმა დანციგის აღება უბრძანა.

1945 წლის 8 აპრილს სტალინმა, როკოსოვსკისთვის ბრძანების პარალელურად, უკრაინის პირველი ფრონტის სარდალს კონევს უბრძანა, დაეკავებინა აღმოსავლეთი პომერანია და აღმოსავლეთი პრუსია. კონევმა შეტევა ქვემო სილეზიიდან დაიწყო. ალყაში მოაქცია ბრესლაუ და



ბერლინი. 1945 წლის 9 მაისი

**ომების ისტორიაში ძნელად მოიძებნება ისეთი რთული და მრავალმხრივი ბრძოლის მაგალითი, როგორიც ბერლინის ოპერაცია იყო. სწორედ ბერლინის შტურმის ხელმძღვანელობისას გამოჩნდა სტალინის ზებუნებრივი მხედრული ნიჭი, შორსმჭვრეტელობა, დიპლომატიის გასაოცარი უნარი და მისი პოლიტიკის შეუვალობა**

მძიმე ბრძოლებით მიიწევდა რეინის მიმართულებით.

კონევს გაახსენდა, რომ იალტის კონფერენციის მიმდინარეობისას სტალინმა გააფრთხილა, გერმანელები აპირებენ დაგარტყან რატიბორის მიმართულებით და წაგართვან სილეზიაო.

„გამართლდა სტალინის წინასწარმეტყველება, გერმანელებმა გააფთრებული შეტევა განახორციელეს ზემო სილეზიიდან, დაგვიშინეს ყუმბარები „ფაუ“, რის გამოც სერიოზული ზარალი განვიცადეთ. გვესროდნენ არა მხოლოდ სამხედრო ქვედანაყოფები, არამედ ქალაქის ყველა მცხოვრები. ბოლოს, როგორც იქნა, დავიპყარით მთიანი სილეზია და დავიკავეთ ხელსაყრელი ადგილი პირდაპირ ბერლინზე დასარტყმელად სამხრეთიდან“, — იგონებს როკოსოვსკი.

როკოსოვსკის კი დიდი ძალისხმევა დასჭირდა დანციგის ასაღებად. ეს იყო ძლიერ გამაგრებული ქალაქი უმტკიცესი ციხესიმაგრეებითა და დაცვის სამმაგი ხაზით, რომელსაც მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა რკინა-ბეტონისა და ქვის კედლები.

12 აპრილს სტალინმა ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდალს (ვასილევსკის) უბრძანა, შტურმით აეღო ქალაქი კენიგსბერგი, რისთვისაც პირადი ფონდიდან გადასცა 5000 მსხვილკალიბრიანი ზარბაზანი და ყუმბარსატყორცნი. ქალაქ კენიგსბერგს ბომბავდა 1500 თვითმფრინავი. 12 აპრილის საღამოს მოწინააღმდეგემ კაპიტულაცია გამოაცხადა. 25 აპრილს დაეცა ციტადელი პილაუ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, მისი დისკრედიტაციის მსურველებმა ბრალი დასდეს სტალინს, გერმანიასთან ომი გააჭიანურა, ბერლინის აღება მარტის შუა რიცხვებამდეც შეეძლოო.

სამხედრო სპეციალისტთა აზრით, სტალინის მხედართმთავრული გენია და ალღო სწორედ გერმანიის მისადგომებთან ბრძოლებში გამოჩნდა. სტალინს არ აინტერესებდა, ორი-სამი თვით ადრე თუ გვიან აიტანდა წითელ დროშას რაიხსტაგზე. მან გათვალა, რომ წითელი არმიის სწრაფი შეჭრით ბერლინში ჰიტლერი სხვა უფრო გამაგრებულ ადგილს გამონახავდა, ვიდრე რაიხსკანცელარიის ბუნკერი იყო. ამას გარდა, იმ მომენტში გერმანიას ჯერ კიდევ ჰქონდა იმდენი სამხედრო პოტენციალი, რომ შეეძლო, სისხლისგან დაეცალა წითელი არმია. ამასთანავე, საათების განმავლობაში შეეძლო გერმანიის მთავრობას ზავის შეკვრა მოკავშირეებთან, რითაც თავს გადაირჩენდა, საბჭოთა კავშირი კი დარჩებოდა გადამწვარი და განადგურებული.

**ბერლინის შტურმი სტალინმა იმ მომენტში დაიწყო, როდესაც საჭირო იყო, და ისე დაასრულა, როგორც მას სჭირდებოდა.**

**1945 წლის 1 აპრილს სტალინს სამხედრო დაზვერვამ მაგიდაზე დაუდო გაშიფრული რადიოგრამა, რომელშიც ჩერჩილი რუზველტს ატყობინებდა, რომ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა, რაც შეიძლება, ღრმად შეიჭრან გერმანიის ტერიტორიაზე და, თუ ბერლინსაც აიღებენ, სტალინთან უფრო გაბედული და თამამი საუბარი ექნებოდათ არა მხოლოდ გერმანიაზე, არამედ ევროპაზე. რადიოგრამაში აღნიშნული იყო ბერნში გამართული წინასწარი მოლაპარაკების ზოგიერთი დეტალი სეპარატულ ზავზე.**

სტალინს 2 დღის წინათ მიღებული ჰქონდა რუზველტის წერილი ეზენჰაუერის წინადადების განმტკიცების შესახებ, რომელზეც სტალინმა 3 აპრილს წერილითვე უპასუხა, რომ ის (რუზველტი) ინფორმირებული არ არის სამოკავშირეო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზოგიერთი პირობის შესაძლო დარღვევის გამო, თვითონ მას კი აქვს ინფორმაცია, რომ გერმანელები თავს უყრიან 35 დივიზიას, მათ შორის, 11 სატანკოს, რაც უზარმაზარი ძალაა, ამიტომ საბჭოთა არმიას არ შეუძლია, დაყოვნდეს არც ერთი წუთით, მან სასწრაფოდ უნდა დაარტყას ბერლინს და დაამთავროს ომი.

იმავე დღესვე სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომლითაც ბერლინზე ოპერაციის განხორციელება და თვის ბოლომდე მდინარე ელბამდე მიღწევა დაევალა ბელორუსიის პირველ ფრონტს ჟუკოვის სარდლობით.

მეორე დღეს დირექტივა გაეგზავნა კონევსაც: „ბერლინში შევიდეს მას შემდეგ, რაც აღებული იქნება ქალაქი ლიუბეკი“. სტალინმა თავმოყვარეობა არ შეულახა კონევს და ბოლოს დაამატა: „ვინც პირველი გაარღვევს ფრონტის ხაზს, ბერლინშიც ის შევიდეს“.

ეს ნიშნავდა, რომ ჟუკოვსა და კონევს შორის გამართულიყო შეჯიბრება, ვინ აიღებდა ბერლინს. ამ შეჯიბრებაში ჟუკოვი აშკარად დამარცხდა.

**გერმანიის დედაქალაქის დასაცავად ჰიტლერმა თავი მოუყარა ყველა შენაერთს და ყველა საშუალებას. ბერლინს იცავდა 2 არმია: „ვისლა“ და „ცენტრი“. დაცვაში მონაწილეობდა 48 ქვეითი, 4 სატანკო და 10 მოტორიზებული დივიზია. სულ ადამიანური რესურსი შეადგენდა 1 მილიონ ჯარისკაცს 1500 ტანკითა და 3300 თვითმფრინავით.**

ბერლინის დაცვის კომენდანტად ჰიტლერმა გენერალლეიტენატი **ჰელმუტ რეიმანი** დანიშნა, უმაღლეს კომისრად — **იოზეფ გებელსი.**

12 აპრილს, საღამოს, გებელსს მოახსენეს, რომ გარდაიცვალა აშშ-ის პრეზიდენტი **ფრანკლინ დელანო რუზველტი.** გახარებულმა გებელსმა ჰიტლერის კაბინეტის კარი შეაღო და შესძახა: გილოცავ, ჩემო ფიურერო, რუზველტი გარდაიცვალა! ვერმახტის მესვეურები ფიქრობდნენ, რომ ამით ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ გერმანელების სიხარულს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა.

1945 წლის 16 აპრილს ბელორუსიის პირველი ფრონტისა (ჟუკოვის) და ▶



## სირიის არმიამ «ისლამური სახელმწიფოს» ჯალათი მოკლა

**სირიის სამთავრობო არმიის ქვედანაყოფმა ალეპოსთან ახლოს „ისლამური სახელმწიფოს“ ჯალათი, მეტსახელად „კოკიტო თავების მკვეთი“, მოკლეს.** ჯალათმა სიკვდილით დასჯის სცენების ვიდეოზე გადაღებით გაითქვა სახელი. კერძოდ, ის ფირზე იღებდა სირიელი ჯარისკაცებისა და აღმოსავლეთ ალეპოში მცხოვრები მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის თავის მოკვეთის პროცესს. მუჰამედ ჰამდუშის ყველაზე გახმაურებული ვიდეო იყო 5 სირიელის სიკვდილით დასჯა. მათ შარიათის სასამართლომ სირიის ხელისუფლების სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდო ბრალი. ყველა მათგანს სწორედ მუჰამედ ჰამდუშმა მოჰკვეთა თავი.



**სამხედრო სპეციალისტთა აზრით, სტალინის მხედართმთავრული გენია და ალღო სწორედ გერმანიის მისადგომებთან ბრძოლებში გამოჩნდა. სტალინს არ აინტერესებდა, ორი-სამი თვით ადრე თუ გვიან აიტანდა წითელ დროშას რაიხსტაგზე. მან გათვალა, რომ წითელი არმიის სწრაფი შეჭრით ბერლინში ჰიტლერი სხვა უფრო გამაგრებულ ადგილს გამონახავდა, ვიდრე რაიხსკანცელარიის ბუნკერი იყო. ამას გარდა, იმ მომენტში გერმანიას ჯერ კიდევ ჰქონდა იმდენი სამხედრო პოტენციალი, რომ შეეძლო, სისხლისგან დაეცალა წითელი არმია.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უკრაინის პირველი ფრონტის (კონევი) არმიებმა შეტევა დაიწყეს, ბელორუსიის მეორე ფრონტის (როკოსოვსკი) არმიები განლაგებული იყო წინწაწეული არმიების ზურგის გასამაგრებლად და ბრძოლაში მხოლოდ 18 აპრილს ჩაება.

ჟუკოვი ცენტრალურ ფრონტს განაგებდა, რომელიც შეავსო თვითონ სტალინმა 4000 ტანკით, 22 000 ქვემეხითა და ყუმბარსატყორცნით, აგრეთვე, 4000 თვითმფრინავით.

„ჟუკოვის მხრიდან ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლობა უნაკლო არ იყო, — აღნიშნავს მარშალი კონევი, — მან ვერ გაითვალისწინა ბერლინის მისადგომებთან გამაგრებული მტრის ძალების წინააღმდეგობა და ზეელოვის მაღლობების მნიშვნელობა, რომელიც 7-8 კილომეტრზე იყო ფრონტის ხაზიდან დაშორებული. ჟუკოვი შეპყრობილი იყო თავისი ორიგინალურობის მანიით“.

ბერლინის შეტევა 16 აპრილს, დილის 5 საათზე, დაიწყო. 30-წუთიანი საარტილერიო ზალპის (1 236 000 გასროლა) შემდეგ, ქალაქში ტანკებისა და ჯარისკაცები შეჭრის წინ, უცაბედად, ერთმანეთისგან 200 მეტრით დაშორებული 140 მძლავრი პროჟექტორი ჩაირთო მტრის დასაბრმავებლად. მაგრამ, როგორც არტილერიის მარშალი, **ვასილი კაზაკოვი** წერს (ეს სხვა დოკუმენტებშიცაა აღნიშნული — გრ. ონიანი), პროჟექტორებმა იმის მაგივრად, რომ მოწინააღმდეგე დაებრმავებინა, საპირისპირო ეფექტი გამოიწვია. გასროლილმა მილიონობით ჭურვმა, თვითმფრინავიდან ჩამოყრილმა ბომბებმა, კვამლმა და მტვერმა თითქოს ფარდა ჩამოაფარა მტერს და უხილავი გახდა, როგორც საბჭოთა ტანკებისთვის, ისე მეომრებისთვის. ზეელოვის მაღლობზე განლაგებულმა გერმანელებმა კი სამიზნეში ამოიღეს განათებული საბჭოთა ტანკები და ცოცხალი ძალა.

მარშალი კონევი განაგრძობს ჟუკოვის მიერ ბერლინის შტურმისას დაშვებული შეცდომების შეფასებას და ბოლოს ასკვნის:

„უძლიერესი საზენიტო და საავიაციო შეტევა, რომელსაც ასე ლამაზად აღწერს გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვი, ფაქტობრივად, ცარიელი ადგილი აღმოჩნდა. 13 საათზე მისთვის ცნობილი იყო, რომ შეცდომა დაუშვა და დარწმუნდა, რომ სიმაღლეს ვერ აიღებდა. ჟუკოვი იფიქრა, რომ შეცდომას თვითონვე გამოასწორებდა და ზეელოვის სიმაღლეების ასაღებად ორი სატანკო არმია სტალინთან შეუთანხმებლად ჩააბა უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა“.

დღის 3 საათზე ჟუკოვი იძულებული იყო, სტალინს დაკავშირებოდა და მოახსენა, რომ პირველი და მეორე თავდაცვის ზღუდე გადალახულია, მაგრამ უდიდესი წინააღმდეგობა შეხვდა ზეელოვის სიმაღლეების აღებისას. სტალინმა დამშვიდებით მოუსმინა და უთხრა:

— კონევს სუსტი მოწინააღმდეგე შეხვდა და წინ მიიწევს. მოახმარე სატანკო არმიას ბომბდამშენი ავიაცია. საღამოს დამირეკე, როგორ იქნება საქმე.

ჟუკოვმა სტალინის ბრძანება არმიის გენერალ **მიხეილ მალინინს** გადასცა და სთხოვა, დახმარებოდა ზეელოვის სიმაღლეების აღებაში. მცდელობის მიუხედავად, ჟუკოვმა ვერც იმ საღამოს აიღო მაღლობი. ჟუკოვი იძულებული შეიქნა, დაკავშირებოდა მთავარსარდალს და ეთქვა, რაც მოხდა.

სტალინმა უსაყვედურა: — სატანკო დივიზიები განალაგე არა იქ, სადაც გიბრძანეთ, არამედ, სადაც შენ გადაწყვიტე, ამიტომაც გაქვთ ასეთი შედეგები. მითხარით, აიღებთ თუ არა სიმაღლეებს ხვალ საღამომდე?

— ხვალ საღამომდე აუცილებლად ავიღებთ, — განუცხადა ჟუკოვმა მთავარსარდალს.

სტალინი უხალისოდ დაემშვიდობა მარშალს.

ბერლინის ოპერაციის ასე წარუმატებლად დაწყება სტალინისთვის რთული გადასატანი იყო. ის ბევრს ფიქრობდა და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. Bბოლოს კი უკრაინის პირველი ფრონტის სარდალ კონევს დაუკავშირდა:

— ჟუკოვის საქმე ძალიან რთულად მიდის, აქამდე ელოდება ზღუდის გარღვევას.

„სტალინი გაჩუმდა არაფერს ამბობს, — წერს კონევი, — მეც არაფერს ვეუბნები, ველოდები, რას მეტყვის. უცბად სტალინი მეკითხება:

— არ შეიძლება, ჟუკოვის არმია გადმოვისროლოთ და თქვენი ფრონტის მიმართულებით გავახსნევინოთ გზა ბერლინისკენ?

— ამხანაგო სტალინ, ჟუკოვის სატანკო არმიების ამ მანძილზე გადმოსროლას დიდი დრო და საშუალება დასჭირდება. არ არის ამის აუცილებლობა. მიბრძანეთ და ჩემს სატანკო არმიებს შემოვაბრუნებ ბერლინისაკენ, — ვუპასუხე მე. ამასთანავე, მივუთითე, რა მიმართულებით ივლიან ჩემი სატანკო არმიები და დავუსახელე ბერლინთან ახლოს ქალაქი ცოსენი, რომელიც 25 კილომეტრით არის დაშორებული ბერლინთან.

— ძალიან კარგი, — თქვა სტალინმა.

— ხომ იცით, ცოსენში ჰიტლერის გენერალური შტაბია განლაგებული.

— თანახმა ვარ. შემოაბრუნე შენი სატანკო არმიები ბერლინისკენ.

როგორც კი სტალინმა ყურმილი დადო, — განაგრძობს კონევი, „ვეჩეთი“ სასწრაფოდ დავურეკე სატანკო არმიების სარდლებს და არმიების ბერლინისკენ შებრუნება ვუბრძანე“.



საბჭოთა კავშირის მარშლები — კონევი, ვასილევსკი, ჟუკოვი და როკოსოვსკი

**კონევისა და როკოსოვსკის ხედვა, გამბედაობა და ჯარების მართვის ხელოვნება გაცილებით აღემატებოდა ჟუკოვისას. ბერლინის მისადგომებთან განხორციელებულ ოპერაციებში სტალინი გრძნობდა ორი მარშლის აშკარა უპირატესობას ჟუკოვის მიმართ, მაგრამ ეს არ აღიზიანებდა მთავარსარდალს**



საბჭოთა არტილერია ბომბავს ზეელოვის სიმაღლეებს

ჟუკოვმა კი სიმაღლეები 17 აპრილსაც ვერ აიღო.

წარმატებული თავდაცვით გახარებულმა ჰიტლერმა განაცხადა:

— ჩვენ მოვიგერიეთ ეს დარტყმა, რუსებმა ბერლინთან ყველაზე სისხლიანი დამარცხება განიცადეს.

19 აპრილს, როგორც იქნა, ზეელოვის სიმაღლეები დაეცა და ჟუკოვსაც გზა გაეხსნა ბერლინისკენ.

სტალინმა გადაწყვიტა, ხელში აეღო არა მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდლობა, არამედ ცალკეული ფრონტების სარდლობაც. ბერლინის მიმართულებით მებრძოლ 4 ფრონტს უშუალოდ სტალინი ჩაუდგა სათავეში და 2 სატანკო არმიაც — **რიბალკოსი** და **ლელიუშენკოსი** — უშუალოდ მის განკარგულებაში იქნა გადაყვანილი.

**მსოფლიო ომების ისტორიაში ძნელად მოიძებნება ისეთი რთული და მრავალმხრივი ბრძოლის მაგალითი, როგორიც ბერლინის ოპერაცია იყო. სწორედ ბერლინის შტურმის ხელმძღვანელობისას გამოჩნდა სტალინის ზებუნებრივი მხედრული ნიჭი, შორსმჭვრეტელობა, დიპლომატიის გასაოცარი უნარი და მისი პოლიტიკის შეუვალობა.**

კონევისა და როკოსოვსკის ხედვა, გამბედაობა და ჯარების მართვის ხელოვნება გაცილებით აღემატებოდა ჟუკოვისას. ბერლინის მისადგომებთან განხორციელებულ ოპერაციებში სტალინი გრძნობდა ორი მარშლის აშკარა უპირატესობას ჟუკოვის მიმართ, მაგრამ ეს არ აღიზიანებდა მთავარსარდალს. მისი ნება უცვლელი იყო, რის გამოც კონევს დაუკავშირდა და ცოტა ირონიულად და ცოტაც საყვედურის ტონითაც მიმართა:

— სიტყვა სიტყვაა, კრემლში ერთმანეთისთვის ნათქვამი სიტყვა არ უნდა გავტეხოთ.

კონევი მიხვდა, რომ სტალინი ფარულ საყვედურს ეუბნებოდა იმაზე, რომ მისი დავალება — ბერლინი რუსმა მარშალმა უნდა აიღოს, ეჭქვეშ დგებოდა.

სტალინი პირადად დაუკავშირდა სატანკო არმიების სარდლებს — ლელიუშენკოსა და რიბალკოს და უბრძანა, ერთს ჩრდილოეთიდან და მეორეს სამხრეთიდან შეეტიათ ბერლინისთვის, ხოლო როკოსოვსკიმ და კონევმა ბერლინს ერთდროულად შეუტიეს, წინა პოზიციებზე კი, დავალების მიხედვით, ჟუკოვი წამოსწიეს.

1945 წლის 24 აპრილს ორი გიგანტური ფრონტის არმიები ლეგენდარული მხედართმთავრებით — ბელორუსიის პირველი ფრონტი და უკრაინის პირველი ფრონტი, საბჭოთა კავშირის მარშლების კონევისა და ჟუკოვის სარდლობით ბრანდენბურგის კარიბჭესთან შეერთდნენ. ბერლინი ვერ იტევდა ორი ფრონტის მეომრებსა და სამხედრო ტექნიკას. ქალაქი ზანზარებდა მტერზე გამარჯვების სიხარულისგან, საბჭოთა ჯარისკაცი ბერლინში ამაყად დააბიჯებდა.

რაიხსტაგზე კი ფრიალებდა გამარჯვების წითელი დროშა. რაიხსტაგის კედლები გაივსო სხვადასხვა ფერის, ფორმისა და შინაარსის წარწერებით. მათ შორის ყველაზე მაღლა, სადაც სტალინისგამოსახულებიანი წითელი დროშა ფრიალებდა, გუმბათის რკინის საყრდენზე ეწერა უკვდავი შოთას სიტყვები:

**„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.**

**გერმანიის დედაქალაქის დასაცავად ჰიტლერმა თავი მოუყარა ყველა შენაერთს და ყველა საშუალებას. ბერლინს იცავდა 2 არმია: «ვისლა» და «ცენტრი». დაცვაში მონაწილეობდა 48 ქვეითი, 4 სატანკო და 10 მოტორიზებული დივიზია. სულ ადამიანური რესურსი შეადგენდა 1 მილიონ ჯარისკაცს 1500 ტანკითა და 3300 თვითმფრინავით**




## ისლამისტებმა 200-მდე ბავშვი სიკვდილით დასაჯეს

**ინტერნეტში გავრცელდა საოცარი სისასტიკის ამსახველი კადრები, თუ როგორ კლავენ დაახლოებით 200-მდე ბავშვს „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები.**

შოკისმომგვრელი კადრები ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მოწინააღმდეგეებმა გაავრცელეს იემენიდან. ვიდეოში ჩანს გაკოჭილი ბავშვები, რომლებიც მიწაზე სახით წვანან. ბოევიკები ცეცხლს ხსნიან ავტომატებიდან და ხვრეტენ მათ. მანამდე, 1 ნოემბერს, ცნობილი გახდა, რომ ტერორისტებმა ერაყის ქალაქ მოსულიში 12 მოზარდი მოკლეს საწვრთნელი ბანაკიდან გაქცევისთვის. დაღუპული ბავშვები 12-16 წლის იყვნენ.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართველი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი, 10 წლიანი ბოდვებისა და რეალობის არასწორი აღქმით მიღებული კატასტროფული შედეგების მიუხედავად, დღემდე მაინც იჯერებს ასეთ ზღაპრებს და ნიკოლა სარკოზის განცხადებას — „რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე მსოფლიო ტერორიზმის დამარცხება შეუძლებელია!“ — ჯიუტად აფასებს: „სარკოზი პუტინის აგენტია“. ნაცვლად იმისა, რომ ეს ისტორიულ რეალობად მიიღოს, რასაც ჯერ კიდევ 5 საუკუნის წინათ დაედო სათავე და რამაც აქცია რუსეთის იმპერია მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ...**

# მე, რურუა, პუტინი და მარინ ლე პენი

**მორჩა, დღეიდან დიდი სიამაყით უნდა განვაცხადო, რომ მე ვარ პუტინის აგენტი. არა, სინამდვილეში არც არასოდეს მიფიქრია, არც ვაპირებ და დიდი ეჭვი მაქვს, რომ თვითონ პუტინს უნდოდეს და სჭირდებოდეს ჩემი აგენტობა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც საქართველოს ყოფილმა კულტურის მინისტრმა რუსეთის პრეზიდენტის შესახებ თქვა, ჩემთვის პუტინის აგენტობა ფრიად საამაყო საქმეა.**

დიახ, ნიკა რურუამ ისე აქო და ადიდა ვლადიმერ პუტინი ღია სატელევიზიო ეთერში, რომ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მე არ გამჩენია პუტინის აგენტობის სურვილი და უკვე ათასობით მიმდევარიც მყავს. ხოლო, თუკი რურუას ამ გამოსვლას უფრო მეტი ადამიანი მოისმენს მსოფლიოში, „პუტინის აგენტების“ რაოდენობა აუცილებლად გაუტოლდება მილიონებს.

**„დღეს საფრანგეთში და მთელ დასავლეთ ევროპაში ვლადიმერ პუტინის ყველაზე დიდი დასაყრდენი, მოკავშირე და პუტინის დაკვეთების შემსრულებელი არის მარინ ლე პენი“,** — განაცხადა ნიკა რურუამ და, ალბათ, არც კი იცის, რამდენი დამფასებელი და თაყვანისმცემელი შესძინა რუსეთის პრეზიდენტს.

როგორ, თუკი საფრანგეთისა და მთლიანად ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთ პოპულარულ და კაშკაშა ვარსკვლავზე, საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ხელმძღვანელზე, ფრანგი ხალხის ყველაზე ეროვნული და პატრიოტი ნაწილის საყვარელ ლიდერზე პუტინს გავლენა აქვს, თავის ჭკუაზე ათამაშებს, „დავალებებს“ ასრულებინებს და, ერთ სიტყვით, თუკი ამ დონის ფიგურები „შნირებად“ ჰყავს ევროპაში გაგდებული, წარმოიდგინეთ რა წონის, რა ზომის, რა გაქანების ფიგურა ყოფილა თვითონ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი!

მოდი, გულზე ხელი დაიდეთ და პირდაპირ თქვით, რომ **ნიკა რურუას ამ სულელურმა გამოხტომამ, რომელიც, რეალურად, პუტინის ლანძღვას ისახავდა მიზნად, გაცილებით უფრო აამაღლა პუტინი მათ თვალში, ვინც ეს სიდებილე მოისმინა.**

უფრო ზუსტად, თუკი რურუას ამ ბოდვას დაიჯერებ, ვლადიმერ პუტინის „ფანი“ თუ არა, ღრმად პატივისმცემელი მაინც უნდა გახდე ადამიანი.

სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, **ის, რომ ლე პენს პუტინი მართავს და თავის ჭკუაზე ატარებს, ზუსტად ისეთივე ბოდვაა, როგორიც „ჟანგიანი რუსული ტანკები“, „რუსულ არმიაზე გაცილებით ძლიერი ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართული ჯარი“ და სხვა მრავალი „ნაციონალური ზღაპარი“.**

უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ **ქართველი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი, 10-წლიანი ბოდვებისა და რეალობის არასწორი აღქმით მიღებული კატასტროფული შედეგების მიუხედავად, დღემდე მაინც იჯერებს ასეთ ზღაპრებს და ნიკოლა სარკოზის განცხადებას — „რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე მსოფლიო ტერორიზმის დამარცხება შეუძლებელია!“ — ჯიუტად აფასებს: „სარკოზი პუტინის აგენტია!“** ნაცვლად იმისა, რომ ეს ისტორიულ რეალობად მიიღოს, რასაც ჯერ კიდევ 5 საუკუნის წინათ დაედო სათავე და რამაც აქცია რუსეთის იმპერია მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ...

არადა, უკვე **თითქმის დადგა ის დრო, როდესაც ამ აქსიომის დაჯერება „ჯიუტ ამერიკელებსაც“ კი უწევთ. ამის დასტური თურქეთში გამართული**





**ის, რომ ლე პენს პუტინი მართავს და თავის ჭკუაზე ატარებს, ზუსტად ისეთივე ბოდვაა, როგორიც «ჟანგიანი რუსული ტანკები», «რუსულ არმიაზე გაცილებით ძლიერი ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართული ჯარი» და სხვა მრავალი «ნაციონალური ზღაპარი»**

**„ჯი-20“-ის (მსოფლიოს დიდი ოცეულის) შეხვედრის მიმდინარეობისას ბარაქ ობამასა და ვლადიმერ პუტინის განცალკევება და ფოიეში მდგარ მაგიდასთან სახელდახელო ერთი-ერთზე მოლაპარაკებაც კმარა.** ამ კადრებმა მსოფლიოს ტელეეკრანები მოიარა, მაგრამ. დარწმუნებული ვარ, „ნაციონალები“ და მათგან, როგორც ჩანს, უკიდეგანოდ და გამოუსწორებლად „დაბოლებული“ საზოგადოების ხსენებული ნაწილი, უმალ დაიჯერებს, რომ ბარაქ ობამაც „პუტინის აგენტია“, ვიდრე იმას, რომ დღევანდელ მსოფლიოში რუსეთი მართლაც ანგარიშგასაწევი ძალაა და სჯობს, მასთან ვცადოთ რაიმეს მიღწევა, ვიდრე მის მოწინააღმდეგეებთან ლაქუცით ჩვენთვის უფრო საზიანო და ხისტი ნაბიჯები გადავადგმევინოთ ჩრდილოელ ზესახელმწიფოს...

გასაგებია, ამის წამკითხველი „ნაცები“ და „ნაც-დაბოლებულები“ ისევ და ისევ გაცვეთილ „ლაჩრობისა“ და „რუსული ჩექმის კოცნის“ ვითომდა „ვაჟკაცურ“ და „პატრიოტულ“ რიტორიკას „შეუბერავენ“...

ჩვენ ხომ ისიც გვახსოვს, თავის დროზე ჩვენი ქვეყნის პირველმა პირმა, იმ მიზნით, რომ უხეში შეცდომები არ ეღიარებინა, როგორი რიხით განაცხადა, ჯორჯ ბუში კრემლის აგენტიაო.

**ჩემთვის, მართლაც, გაუგებარია, როდემდე შეიძლება ერმა, ქვეყანამ, სახელმწიფომ ამ დონის სიდებილით იცხვროს, ან რატომ უკვირს ვინმეს მერე ამ სიდებილის მომყოლი სავსებით ლოგიკური შედეგები?..**

არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიტყვი: „ვაჟკაცობა“ ყველამ იქ და იმ ფორმით დაიჩემოს, სადაც საქმე მხოლოდ მის პირად პრობლემებს ეხება! როდესაც სასწორზე მთელი ქვეყნის, მთელი ერის, სახელმწიფოს ბედი დევს, „ვაჟკაცობის“ უფლება ნაკლებად აქვს მავანს და ერის ფიზიკური გადარჩენისთვის სხვა, უფრო ჭკვიანური და თუნდაც „არავაჟკაცური“ ხერხებია საჭირო და გამართლებული.

რაც შეეხება „პუტინის აგენტობას,“ ისევ და ისევ ამ დებილთა გამო, ეს ტერმინი თუ „წოდებაც“ ისე გაუფასურდა და გამასხარავდა, რომ კიდევ ვიმეორებ: დღეიდან **ყველგან ამაყად განვაცხადებ, რომ პუტინის აგენტი ვარ!**

**აბა, სადაც მარინ ლე პენს, ნიკოლა სარკოზისა და თვით ბარაკ ობამასაც კი ეს „ტიტული“ მიანიჭეს... ჩემთვის და ჩემნაირებისთვის მათ გვერდით დადგომა განა საპატიო და საამაყო უფრო არ არის, ვიდრე სამარცხვინო და მიუღებელი?!**

**ეს არის სკანდალი, რომელიც ადასტურებს, რომ ივანიშვილი 90-იანი წლების დაბრუნებას აპირებს. ჩვენმა ფარულმა წყარომ რამდენიმე დღის წინათ ყოფილი პრემიერის რეზიდენციის კართან უპატრონოდ მიკუჭული ქაღალდი აღმოაჩინა და ის-ის იყო, ნაგავში უნდა გადაეგდო, რომ რაღაც არაამქვეყნიურმა ხმამ მიაძახა — „ააარ გადააგდო, წაიკითხე“!**

# ივანიშვილის ეზოში 90-იანი წლების დაბრუნების გეგმა აღმოაჩინეს

ჩვენი წყარო მიჰყვა გულის ხმას და ფურცელი კრძალვით გაშალა, ბოლომდე ჩაკითხვაც კი ვერ მოასწრო, რომ გონებადაკარგული ჩაიკეცა.

როგორც მისი გამოფხიზლების შემდეგ გახდა ცნობილი, ფურცელი, რომელიც მან იპოვა, ივანიშვილის გეგმა იყო და ის, სავარაუდოდ, ფანჯრიდან შემთხვევით გადმოუვარდა მის პატარა ვაჟს.

აი რა გეგმები ჰქონია ბიძინა ივანიშვილს:

***უნდა აიკრძალოს გერმანული მანქანების შემოყვანა და მხოლოდ „ტრიციტაძინები“ უნდა შემოვიყვანოთ. მაღაზიების აბრებზე უნდა აიკრძალოს ქართულად და ლათინურად წერა და დაიწერება მხოლოდ რუსულად.**

*აიკრძალება „დანქინ დონატები“ და დასაშვები იქნება მხოლოდ „ჩებურეკები“, „პონჩიკები“ და „პრიანიკები“;

***კანონით განისაზღვრება, რომ ღვეზელს ყველამ „პერაშკი“ უნდა დაუძახოს, კარტოფილს — „კარტოშკა“, შაქარს — „პესოკი“, საწოლს — „კრაოტი“, მიკროავტობუსს — „მარშუტკა“;**

*დღისით გაითიშება დენი და საღამოს 9 საათამდე არ მოვა და, როცა მოვა, ყველა აყვირდება — „ურააააა!“;

***გაზი გაითიშება, ნავთის რიგები დადგება, დაბრუნდება „ლაზის“ ავტობუსები და ისევ აბობოქრდება „პერეხადნოი“ ხიდი;**

*მიცვალებულებს ისევ „პაზის“ ავტობუსებით გაასვენებენ, ტელევიზიაში დაბრუნდებიან მარკ რივკინი, ჯულიეტა ვაშაყმაძე და ლია მიქაძე;

*** გაუქმდება „მოამბე“ და მის ნაცვლად ეთერში „ვრემია“ გავა, ანძაზე ივანიშვილის კიდევ ერთი რეზიდენცია გაიხსნება, ხოლო სატელევიზიო სიგნალს „ოსტანკინო“ გადმოსცემს;**

*თავისუფლების მოედანზე აღდგება ლენინის ძეგლი და მას დაემატება ელცინის ქანდაკება;

***ნარკოტიკი „კრაკადილი“ უფასოდ დარიგდება სკოლებში, ეკრანზე დაბრუნდებიან „ხრიუშა“ და „კარკუშა“;**

*თბილისში გაიხსნება ნატაშა კარალიოვასა და ალა პუგაჩოვას სიმღერის წრეები;

***იოსიფ კობზონი ქართულ ესტრადას ჩაიბარებს. ყვითელ სამარშრუტო ტაქსებს ისევ „რაფები“ ჩაანაცვლებს, ტროლეიბუსები და ტრამვაი აგუგუნდება და ბილეთი სამი კაპიკი ეღირება;**

*დედაქალაქში საკომისიო მაღაზიები დაბრუნდება, დაგეგმილია „ლასკოვი მაის“ გრანდიოზული კონცერტი ფილარმონიაში;

***დაბრუნდება „ლოტოსის“ სარეცხის „პარაშოკები“, „კრიაკრიას“ შამპუნები და „დურუ“-ს თურქული საპნები. ასევე, „ბომბიბომბი“-ს კევები და „ტატბოლი“-ს შოკოლადები. მომავალი თაობა ისევ „ლოვე“-ს კევებს გაბერავს და „ნაკლეიკებს“ მაცივარზე მიაკრავს. ისევ პოპულარული გახდება ფერადი „შპილკებითა“ და გასროლილი ტყვიებით თამაში;**

*იგეგმება „სუპერ მარიო“-ს გრანდიოზული დაბრუნება. საზოგადოებრივი არხი ტელესერიალ „ველური გულისა“ და „კასანდრას“ გამეორებას დაიწყებს, ხოლო „რუსთავი 2“-ზე „ბლანკოს ქვრივი“ დაბრუნდება. „ჯი-დი-ესი“ სერიალ „სანტა-ბარბარას“ განმეორებით ჩვენებას დაიწყებს, ხოლო დაუსრულებელ სერიებს თავად გადაიღებს;

***კინოთეატრებში დიაფილმების აპარატები დაბრუნდება, მაღაზიებში „იუპი“-ს და „ინვაიტი“-ს წვენების დიდი პარტიის შემოტანა იგეგმება;**

წყაროს ცნობით, უკვე გამზადებულია მწვანე და წითელი „კერასინკები“, რომლებიც საჭირო დროს შემოვა ქვეყანაში.

ეს იმ გეგმის ნაწილია, რომელიც ჩვენმა ფარულმა წყარომ შემთხვევით ნაპოვნ ქაღალდზე წაიკითხა.

თუმცა **ამ ფურცლის არსებობა უკვე შეიტყვეს ნუგზარ წიკლაურმა, გიგა ნასარიძემ, ნიკა გვარამიამ, დეფიმ და სხვა თავდადებულმა მამულიშვილებმა და ფიცი დადეს, რომ ურჩხულ ოლიგარქს ამ შავბნელი გეგმის განხორციელების საშუალებას არ მისცემენ.**

ერი გადარჩა! საქართველოს 90-იანიზაცია შეჩერებულია! იხარე, ერო; მოკვდი, მტერო!

**ელიკო სილაძე**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განსხვავება იყო მხოლოდ ერთში და ფორმულა ასე გამოიყურებოდა: „ქართული ოცნება“ უდრის „ნაცმოძრაობას“ მინუს ძალადობა. დანარჩენში, კერძოდ, ხალხის პრობლემებისადმი გულგრილობაში, პოპულიზმში, არაფრის კეთებაში და ბიუჯეტის ძარცვაში, ეს ორი პოლიტიკური ძალა ყოველთვის გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს.**

# როცა «ოცნებაც» ცოცხებისკენ მიფრინავს...

**მართლაც, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, ან, როგორც ხშირად ამა ქვეყნის ძლიერნი მოგვიხსენიებენ ხოლმე, „ობივატელი“ ან უკეთ — „საშუალო სტატისტიკური ქართველი“ ასეთ შემთხვევაში? ანუ რა გავაკეთოთ, როდესაც თვალნათლივ ვხედავთ, როგორ ემსგავსება „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“?**

ეს კითხვა აწვალებს უკვე საქართველოს მოსახლეობის 72 პროცენტს, პასუხი კი არსად ჩანს. რატომ 70 პროცენტს? პასუხი მარტივია — საგარეჯოს ყბადაღებულ არჩევნებში ამომრჩეველთა მხოლოდ 28 პროცენტი მივიდა. მათი ხმები თითქმის თანაბრად მიიღეს „ქართული ოცნებისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატებმა.

**თუკი საგარეჯოს მონაცემს სრულიად საქართველოზე განვაზოგადებთ, რაც, როგორც წესი, დაშვებული კრიტერიუმია, მივიღებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 14 პროცენტს ჯერ კიდევ სჯერა „ქართული ოცნებისა“. დანარჩენი 86 პროცენტი უკვე არც „ქართულ ოცნებას“ ენდობა. მათგან 14 პროცენტს ხელი მთლად არ ჩაუქნევია და რატომღაც ჰგონია, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსშია“ ხსნა. ხოლო 72 პროცენტს ერთიც ფეხებზე ჰკიდია, მეორეც და, უბრალოდ, ანგარიშმიუცემლად ადევნებს თვალს, როგორ ემსგავსება „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“.**

ჰო, კარგი, დავუშვათ ისიც, რომ ამ 72-დან, დიდი-დიდი, 12 პროცენტი იყოს „ნაციონალების“ ტვინდაცემენტებული მხარდამჭერი. აი, 60 პროცენტი უკვე სრული უიმედობით რომ არის შეპყრობილი, ეს მართლაც უდავო ფაქტია.

იქნებ ვინმემ თქვას, — კარგი, გამოსავალს შევეშვათ, ამგრამ ასეთ მძიმე სურათს რატომ ხატავ და, საერთოდ, საიდან ასკვნი, რომ „ქოცები“ „ნაცებს“ ემსგავსებიანო?

სიმართლე გითხრათ, მათ შორის დიდ განსხვავებას ვერც აქამდე ვხედავდი.

**განსხვავება იყო მხოლოდ ერთში და ფორმულა ასე გამოიყურებოდა: „ქართული ოცნება“ უდრის „ნაცმოძრაობას“ მინუს ძალადობა. დანარჩენში, კერძოდ, ხალხის პრობლემებისადმი გულგრილობაში, პოპულიზმში, არაფრის კეთებაში და ბიუჯეტის ძარცვაში, ეს ორი პოლიტიკური ძალა ყოველთვის გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს.**

ახლა კი, როგორც ჩანს, ეს ფორმულაც ირღვევა და „ნაცებსა“ და „ქოცებს“ შორის



შეიძლება, მალე პირდაპირ ტოლობის ნიშანი დაისვას. ამის ძირითადი ნიშნები სწორედ საგარეჯოს არჩევნების შემდეგ გამოიკვეთა.

ერთი, რაც აშკარად გამოჩნდა — „ოცნებას“ „ნაცმოძრაობაზე“ არანაკლებ სამარცხვინოდ ეხერხება არჩევნების გაყალბება და ფაქტია, ისინიც ისევე ეფექტიანად იყნებენ სხვადასხვა ბერკეტს, როგორც „ნაცები“. საუბარია არაქართულენოვანი მოსახლეობის დაშინებასა და „სპეცუბნებში“ დამატებითი სამხედრო კონტიგენტის გადასროლაზე, აგრეთვე, ადმინისტრაციული რესურსის უნამუსო გამოყენებაზე მინისტრების ჩათვლით. ეს ბოლო „საარჩევნო ნოუჰაუ“ სწორედ „ოცნებამ“ შემოგვთავაზა და ამ მხრივ „აჯობა“ კიდეც „ნაცებს“.

მეორეც — „ოცნება“ უკვე უარს არ ამბობს არც ძალისმიერ მეთდებზე პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლაში. მოშიმშილეთა ფეხებზე დაკიდების კლასიკურ მაგალითთან ერთად, ნათლად ჩანს კარვების წართმევის, პოლიციის თავდასხმისა და სხვა ტიპის ძალისმიერი მეთოდებიც.

ვერ გეტყვით, დამთხვევაა თუ ესეც გამიზნულად ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ „ძალისმიერი არჩვენებისა“ და მოშიმშილეებზე ძალადობის პარალელურად გააქტიურდა სამართალდამცველთა ძალადობის, ასე ვთქათ, არაპოლიტიკური შემთხვევებიც.

**ვაკე-საბურთალოს პოლიციაში ადვოკატის უმოწყალოდ ცემის გახმაურებულ ფაქტს დაემატა ქობულეთის პოლიციაში მამრობითი სქესის პატიმრის გაუპატიურების მცდელობაც. დიახ, რაც აქამდე მხოლოდ „ნაცების“ ერთგვარ „საფირმო დანაშაულად“ ითვლებოდა, „ოცნების პოლიცია“ უკვე ამასაც წაეპოტინა!**

გავიხსენოთ: „ნაციონალების“ ხელისუფლებასაც დაახლოებით ეს დრო დაჭირდა იმისათვის, რომ „გამარჯვებული ხალხის“ მთავრობიდან „ხალხზე მოძალადე“ მთავრობად გადაქცეულიყო... ძალადობისა და მანიაკობის მთავარი ფაქტები სწორედ 2006-2007 წლიდან დაიწყო და შეუქცევადი და ძალიან საშიში ხასიათი მიიღო...

სწორედ ამიტომ, ჩნდება ლეგიტიმური ეჭვი-შეკითხვა — **უკვე ხომ არ „გადაჯდა ცოცხზე“ პატივცემული „ოცნების მთავრობაც“?**

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უკვე ნათელია: ამ სტატიის შესავალში ნახსენებ **ობივატელს ან, უფრო სწორად, „საშუალო სტატისტიკურ ქართველს“, უფრო მარტივად კი მე, შენ და სხვა ჩვენნაირ „ჩვეულებრივ“ მოქალაქეებს, 2012 წლის 1 ოქტომბერს ნამდვილად არ „გვიოცნებია“ იმაზე, რაც დღეს საქართველოში ხდება!**

# «ნასას» მიერ აღმოჩენილ შავ ხვრელს ლევან ბერძენიშვილის სახელი ეწოდა

**მეტად სასიხარულო ინფორმაციას ავრცელებენ უცხოური მედიასაშუალებები: ამერიკული კოსმოსური სააგენტო „ნასას“ მეცნიერებმა კოსმოსის კვლევისას კიდევ ერთი შავი ხვრელი აღმოაჩინეს.**

როგორც ირკვევა, თავდაპირველად ასტროფიზიკოსები ვერ მიხვდნენ, საიდან გაჩნდა ეს შავი ხვრელი კოსმოსის იმ მონაკვეთზე, რომელიც ადრეც არაერთხელ დაუთვალიერებიათ. „ნასას“ წარმომადგენლები ღრმად ჩაფიქრებულან და იქამდე უფიქრიათ, ვიდრე ერთ-ერთ მათგანს, რომელიც სენატორ მაკკეინის ბიძაშვილი აღმოჩნდა, არ გაახსენდა საქართველო და კერძოდ — ქართველი პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი.

უფრო ზუსტად, მან ბიძაშვილ ჯონ მაკკეინისგან მიიღო მესიჯი: „საქართველოში, კერძოდ, საქართველოს პარლამენტში აღმოჩენილია ევრაზიული ხვრელი, რომელიც უკვე წარმატებით ამოქოლა ქართველმა პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა. ჩვენ ასეთ ხვრელებს ვეძებთ მსოფლიოში და ვქოლავთ. ყურადღებით იყავით, ევრაზიული ხვრელები მსოფლიოს ბევრ ადგილზე გაჩნდა. არ გამოგეპაროთ, თუ რამეა, დაგვიძახეთ და ამოვქოლავთ“.

აი, ამ მესიჯმა გაუნათა გონება „ნასას“ ხსენებულ წარმომადგენელს და იმ წამს მიხვდა, რატომ, როგორ და საიდან გაჩნდა ასე უცებ „შავი ხვრელი“ კოსმოსის უკვე ბევრჯერ გამოკვლეულ უბანზე.

ის მყისვე დააკვირდა ულტრათანამედროვე ტელესკოპებით და სხვა შესაბამისი ხელსაწყოებით და ნათლად დაინახა ამ ახალი შავი ხვრელის „ევრაზიული“ მიდრეკილებები.

**„ნასასთვის“ ცხადი შეიქნა, რომ ეს ხვრელი კოსმოსში „ევრაზიელებმა“ გააჩინეს, რათა იქიდან შემძვრალიყვნენ კოსმოსში, ემართათ თანამგზავრები, კურსი და მიმართულება აერიათ საქართველოსთვის და „ევროკავშირის“ ნაცვლად „ევრაზიულ“ კავშირში შეეთრიათ!**

როგორც კი აეხადა ფარდა ამ საიდუმლოს, საქართველოში ამერიკის ელჩის — **იან კელის** დახმარებითა და სენატორ **ჯონ მაკკეინის** მეთვალყურეობით ამერიკაში სასწრაფოდ გამოიძახეს ქართველი პარლამენტარი, ცნობილი ხვრელმქოლავი **ლევან ბერძენიშვილი.**

ამერიკული პრესა უკვე აჭრელებულია ბერძენიშვილის იმ ცნობილი განცხადებით, რომელიც მან საგარეჯოში ჩატარებული არჩევნების დამთავრებისთანავე გააკეთა:




## ამერიკელები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ «კოსმოსური ევრაზიული ხვრელი» სწორედ დიდმა «ხვრელმქოლავმა», მისტერ ბერძენიშვილმა ამოქოლოს

„ჩვენ ამოვქოლეთ ევრაზიული ხვრელი საქართველოს პარლამენტში!“

მედია ამერიკელ ხალხს ამშვიდებს, რომ მისტერ ბერძენიშვილი ღრმა ჭაბუკობიდან არის დაგეშილი სხვადასხვა ხვრელში ძრომიალზე, აქვს ძალიან დიდი ვირთხული გამოცდილება და, შესაბამისად, ისიც კარგად ესმის, რომელი ხვრელი ამოქოლოს და რომელში გაძვრეს, თუკი ამის საჭიროება შეიქმნება.

**„ნასას“ ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მისტერ ბერძენიშვილი კოსმოსშიც ისევე ეფექტიანად შეძლებს მოქმედებას, როგორც დედამიწაზე და სულ მალე „ევრაზიული კოსმოსური ხვრელიც“ ამოქოლილი იქნება.**

ამერიკის სენატმა უკვე განიხილა „ნასას“ ინიციატივა, რომ ამ ახალაღმოჩენილ შავ ხვრელს სწორედ მისი პოტენციური ამომქოლავის — ქართველი პარლამენტარის, ლევან ბერძენიშვილის, სახელი ეწოდოს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბერძენიშვილის მომზადება მომავალი კოსმოსური ექსპედიციისთვის. როგორც ამბობენ, ის მთლად ოპტიმისტურად არ არის განწყობილი. შიშისგან ცოტა ფალარათიც დაწყებია და საწყალობლად გაიძახის: „მე ხომ თქვენი უკანალის ლოკვასაც არ ვერიდებოდი, ამერიკელებო! ასე რატომ გამწირეთ და სადღაც შავ ხვრელში რატომ მიშვებთ? რომ მცოდნოდა ჩემ მიერ ხვრელების ამოქოლვით ტრაბახს ასეთი შედეგი მოჰყვებოდა, ხმასაც არ ამოვიღებდი და საერთოდ ჩავიგდებდი ამ ტუტუც ენას!“

მაგრამ **ამერიკელები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ „კოსმოსური ევრაზიული ხვრელი“ სწორედ დიდმა „ხვრელმქოლავმა“, მისტერ ბერძენიშვილმა ამოქოლოს.**

ცნობილი შეიქნა ისიც, რომ ამ ამბების შემდეგ მოულოდნელად სადღაც გადაკარგულა იან კელი. გამოჟონა ინფორმაციამ, თითქოს მას რომელიღაც ნაცნობისთვის დაერეკოს და ეთქვას — ცოცხალი ვარ, არ ინერვიულოთ, უბრალოდ, ცოტა ხანს დავიმალები, მეშინია, ემანდ მაგ მატრაკვეცა „ხვრელმქოლავს“ მეც ზედ არ გამაყოლონ შავ ხვრელში ამ გიჟმა ამერიკელებმაო...

**დიდუ აგირაია**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სირიასა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესები იმაზე მიანიშნებს, რომ, როდესაც საქმე წესების რეალურ გამოყენებამდე მიდის, მსოფლიო წესრიგზე ლიბერალური შეხედულებების სისტემა უფრო ნაკლებ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე ვესტფალიის პრინციპები. თუკი ეს ასეა დღეს, მომავალ წლებში პატივისცემა კიდევ უფრო ნაკლები იქნება. ლიბერალური მსოფლიოს წესრიგი ნელ-ნელა ქრება. ვესტფალიის სისტემა, რომელიც მცირე ხნით დაჩრდილა ლიბერალიზმმა, კვლავ ცოცხლდება.**

# ვესტფალია, ლიბერალიზმი და მსოფლიო კრიზისები

**მსოფლიო წესრიგი სულაც არ არის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შეთანხმებული ნაკრები, ის მწვავე პოლიტიკური ბრძოლების სფეროა. XXI საუკუნეში სახელმწიფოები ძირითადად ლიბერალურ მსოფლიო წესრიგში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგის მიმართ გარკვეული უკმაყოფილება არსებობს, დასავლეთში ადამიანების უმეტესობას სურს, სჯეროდეს, რომ დანარჩენი მსოფლიო აღიარებს ლიბერალურ პრინციპებს, როგორც საერთაშორისო საქმეთა ორგანიზების სასურველ საშუალებას. მაგრამ მიმდინარე მოვლენები ნათელყოფს, რომ ხდება სასურველის სინამდვილედ გასაღება.**



ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები არქიტექტორები და მმართველები არიან იმ წესების, ნორმებისა და ინსტიტუტებისა, რომლებიც ერთად ეგრეთ წოდებულ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალური წესრიგის მშენებლობის პროექტი Pax Britannica-ს ეპოქაში ჩაისახა, მაშინ, როდესაც მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა ევროპის, აშშ-ის, იაპონიისა და ნაკლები დოზით ოსმალეთის იმპერიის სახით ერთმანეთთან ურთიერთობების გარკვეული ასპექტების თანდათანობით რაციონალიზება შეძლეს. თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, საერთაშორისო სახალხო სამართლის ნორმების შემოღება, არბიტრაჟის, როგორც სახელმწიფოთა შორის დავების, დარეგულირების მექანიზმის გამოყენება და მისი გადაწყვეტილებების შესრულების აუცილებლობად დადგენა, ვაჭრობის, კომუნიკაციისა და კოლონიზაციის პროცესის მარეგულირებელი ინსტიტუტებისა და შეთანხმებების გაჩენა — ყველა ეს საერთაშორისო მიღწევა შეიძლება დღევანდელი ლიბერალური წესრიგის ჩანასახად ჩაითვალოს.

**მეოცე საუკუნეში აშშ-ის მეთაურობით ჩასახულმა ლიბერალურმა წესრიგმა განვითარების, სულ მცირე, სამი მნიშვნელოვანი ფაზა გაიარა: პირველი** — როდესაც ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების საფუძველზე დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები; **მეორე** — 1970-იან წლებში, როდესაც დასავლეთმა ადამიანთა პირადი უფლებები მსოფლიო საზოგადოების საფუძვლად აღიარა; და **მესამე** — როდესაც 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ბლოკი დაიშალა, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ერთპოლუსიან მსოფლიოში ლიბერალური წესრიგი გახდა ტოტალური და ყოვლისმომცველი, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა.

მაგრამ, როგორც **ჯონ აიკენბერი** (John Ikenberry) აღნიშნავს, დღევანდელი მსოფლიო წესრიგი სინამდვილეში ორი ურთიერთდაკავშირებული პროექტის სინთეზია. პირველი, რა თქმა უნდა, არის XIX და XX საუკუნეებში ლიბერალიზმი, მაგრამ არსებობს საერთაშორისო წესრიგის მშენებლობის უფრო ადრინდელი მცდელობაც, რომელიც ევროპულმა სახელმწიფოებმა XVII საუკუნის შუა პერიოდში დაიწყეს, განსაკუთრებით ვესტფალიის ზავის სახით.

**საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელმა ნებისმიერმა სტუდენტმა იცის, რომ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები 1648 წელს ვესტფალიაში შეიკრიბნენ არა მხოლოდ იმისთვის, რომ ოფიციალურად დაესრულებინათ 30-წლიანი სისხლისმღვრელი ომი, რომელმაც ლამის დააქუცმაცა ქრისტიანული სამყარო, არამედ იმისთვისაც, რომ დაეწესებინათ გარკვეული წესები, რომლებიც სამომავლოდ ანალოგიური კონფლიქტების ალბათობას შეამცირებდა კონტინენტზე.** უდავოა, რომ იქ შეკრებილმა სახელმწიფო წარმომადგენლებმა მეორე მიმართულებით სრულ წარმატებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ვესტფალიის ზავის შემდეგ დამყარებულმა წესრიგმა დიდწილად და დიდი ხნით განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ევროპული, შემდგომ კი მსოფლიო პოლიტიკაც.

განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს ვესტფალიის სისტემის სამი ცენტრალური საფუძველი, რომლებიც დღემდე მოქმედებს, უკიდურეს შემთხვევაში, ნომინალურად მაინც: **ეს არის სამართლებრივი თანასწორობა სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე შეთანხმება.** ერთობლიობაში ეს საბაზო წესები ეგრეთ წოდებული ვესტფალიის სისტემის ფუნდამენტს ქმნის, რომელზეც უნდა დაშენდეს საერთაშორისო, მათ შორის ლიბერალური, წესრიგის ყველა მომავალი პროექტი.

ამრიგად, XXI საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა მისდევს ორ მკაფიო ლოგიკურ პრინციპს: **ეს არის ვესტფალიის ლოგიკა, რომელშიც ხაზგასმულია სახელმწიფოთა ავტონომია, ასევე მათი ტერიტორიული იურისდიქციების ხელშეუხებლობა და მასზე დაშენებული ლიბერალური ლოგიკა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს საერთაშორისო სისტემის შემადგენელ ნაწილებს შორის განსხვავებების დაუნდობლად ამოძირკვას.** ვესტფალიის ზავი ტოლერანტულია სახელმწიფოთა შორის პლურალიზმის მიმართ, მაგრამ ლიბერალური წესრიგი მოითხოვს, რომ სახელმწიფოები დაემორჩილონ ლიბერალურ პრინციპებს საგარეო პოლიტიკაში (ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტში — საშინაო პოლიტიკაშიც).

**საერთაშორისო ნორმების თანახმად, ომი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის იწარმოება ქვეყნის ან ერის დასაცავად, ანდა თუკი მასზე სანქცია გასცა გაეროს უშიშროების საბჭომ. როდესაც ამერიკელებმა სირიაში მიზნებზე დარტყმები დაიწყეს (საუბარი აღარაა 2003 წელს ერაყში შეჭრაზე), ამ პირობებიდან არც ერთი არ იყო დაცული**

გასაკვირი არ არის, რომ საერთაშორისო წესრიგის ვესტფალიის ელემენტებმა დღეს უფრო მეტი აღიარება და ფართო გამოყენება ჰპოვა. მსოფლიოში ცოტაა სახელმწიფო, რომელიც მზად არის, უარი თქვას დამოუკიდებლობის სუვერენულ უფლებაზე, ავტონომიასა და ხელშეუხებლობაზე. და პირიქით, ნაციონალური ხელისუფლებები ნაკლებად ეთანხმებიან მსოფლიო წესრიგის ლიბერალურ კომპონენტებს. ვაჭრობის თავისუფლება, სახელმწიფოს დემოკრატიული მართვა, ნაციონალური თვითგანსაზღვრება, საერთაშორისო სამართლის ნორმებისადმი კუთვნილება — ამ ჩამონათვალს ყველა როდი უფრთხილდება, მისი მხარდაჭერისა და გავრცელებისათვის კი მსოფლიო საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილია მზად.

მსოფლიო პოლიტიკის საბაზო დონეზე არსებობს განხეთქილება, რომლის ერთ მხარეს დგანან სახელმწიფოები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ვესტფალიის სისტემა საკმარისია საერთაშორისო პოლიტიკის მოწყობისთვის, მეორე მხარეს კი — ისინი, რომლებიც ლიბერალიზმის იდეას იცავენ და ამავე სისტემის საფუძვლებზე მის გავრცელებას ცდილობენ. უფრო მეტიც, დღევანდელი ყველაზე სერიოზული საერთაშორისო კრიზისებიდან ზოგიერთი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ამ ფუნდამენტური დაპირისპირების გამოვლინება. ეს ყველაზე თვალნათლივ სირიაში ვლინდება.

აშშ და მისი მოკავშირეები სირიის მიმართ საკუთარ არგუმენტაციას მსოფლიო წესრიგის ლიბერალურ ასპექტებზე დაყრდნობით აგებენ. დასავლეთი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ასადი სამხედრო დანაშაულს სჩადის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომ ომის დროსაც საჭიროა გარკვეული წესების დაცვა, რომ მსოფლიო ვალდებულია, დაიცვას მოსახლეობა და რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბოროტად, რათა დაუსჯელად იმოქმედო და ჩაიდინო მკვლელობები. **ვესტფალიის წესრიგი სულაც არ არის წესრიგი, რადგან მისი წესები უშვებს უდანაშაულო ადამიანთა მასობრივ ხოცვას.**

მაგრამ ასადი და მისი მომხრეები იოლად წარმოადგენენ ამ ბრალდებების კონტრმტკიცებულებებს. ისინი ამბობენ, რომ სირია სუვერენული სახელმწიფოა, შესაბამისად, მონოპოლიური უფლება აქვს, საკუთარი ქვეყნის ფარგლებში ძალის კანონიერ გამოყენებაზე. უცხოურ ჯარებს არ შეუძლიათ, დამასკოს თანხმობის გარეშე ბრძოლები აწარმოონ სირიაში. მხოლოდ სირიელმა ხალხმა და არა უცხოელებმა, უნდა გადაწყვიტონ, მმართველობის რა ფორმა უნდა იყოს ქვეყანაში. მხოლოდ სირიელ ხალხს შეუძლია საკუთარი ხელმძღვანელების არჩევა. ხოლო, თუკი სახელმწიფო ხელისუფლებას ჩამოერთმევა შესაძლებლობა, შეინარჩუნოს წესრიგი ეროვნული საზღვრების შიგნით, დედამიწის სხვა ადგილებში მშვიდობის შენარჩუნების ნებისმიერი იმედი განადგურდება.

**დასავლეთში ასადის მომხრეებს ბევრი ადანაშაულებს ამაზრზენ ცინიზმსა და დაუნდობელ პრაგმატიზმში, მაგრამ ცინიზმი და ორპირობა მეორე მხარის მიმართაც სამართლიანი შეფასება იქნებოდა. საერთაშორისო ნორმების თანახმად, ომი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის იწარმოება ქვეყნის ან ერის დასაცავად, ანდა თუკი მასზე სანქცია გასცა გაეროს უშიშროების საბჭომ. როდესაც ამერიკელებმა სირიაში მიზნებზე დარტყმები დაიწყეს (საუბარი აღარაა 2003 წელს ერაყში შეჭრაზე), ამ პირობებიდან არც ერთი არ იყო დაცული.** დასავლეთი ასევე არც ისე იშვიათად ხუჭავს თვალს ადამიანთა უფლებების საარაკო დარღვევებზე ან შერჩევით იყენებს საერთაშორისო წესებს. მაგალითად, მან მხარი დაუჭირა კოსოვოში გამოცხადებულ დამოუკიდებლობას, მაგრამ, ამასთანავე, უარს ეუბნება სხვა თვითგამოცხადებულ რეგიონებს.

ჭეშმარიტება არის ის, რომ საერთაშორისო წესრიგი ხშირად სადავო და ძალზე წინააღმდეგობრივი ნაკრებია. ამ ნაკრებში არ მოიძებნება ნათლად და გარკვევით გადმოცემული პრინციპები, რომლებსაც მსოფლიო ლიდერები ობიექტურად გამოიყენებდნენ. საერთაშორისო წესრიგი გვთავაზობს ნორმატიული დებულებების სხვადახვაობას, რომელთა გამოყენება სახელმწიფო მეთაურებს თავიანთი ქმედებების გასამართლებლად შეუძლიათ და იყენებენ კიდეც. საერთაშორისო წესრიგი არის ნორმების სათავსო, მაგრამ მასში არაფერია ლიბერალური.

სირიის ჰუმანიტარული კრიზისი არის მორიგი საერთაშორისო დავა, რომელშიც მხარეები ცდილობენ, სამომავლოდ საერთაშორისო წესრიგის მართვის უფლება მოიპოვონ. ამ დავაში ჩანს, ვინ განსაზღვრავს მომავალი მსოფლიოს წესრიგის შინაარსს და ვინ მიიღებს გადაწყვეტილებებს მისი ნორმების გამოყენების თაობაზე.

**ჯერ ადრეა, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის აღსასრული ვიგლოვოთ, მაგრამ სირიასა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესები იმაზე მიანიშნებს, რომ მსოფლიო წესრიგზე ლიბერალური შეხედულებების სისტემა უფრო ნაკლებ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე ვესტფალიის პრინციპები**

ჯერ ადრეა, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის აღსასრული ვიგლოვოთ, მაგრამ სირიასა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესები იმაზე მიანიშნებს, რომ, როდესაც საქმე წესების რეალურ გამოყენებამდე მიდის, მსოფლიო წესრიგზე ლიბერალური შეხედულებების სისტემა უფრო ნაკლებ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე ვესტფალიის პრინციპები. თუკი ეს ასეა დღეს, მომავალ წლებში პატივისცემა კიდევ უფრო ნაკლები იქნება. ლიბერალური მსოფლიოს წესრიგი ნელ-ნელა ქრება. ვესტფალიის სისტემა, რომელიც მცირე ხნით დაჩრდილა ლიბერალიზმმა, კვლავ ცოცხლდება.

**პიტერ ჰარისი,**
**კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დოცენტი**
nationalinterest

**რეზოლუცია კატალონიის ახალ ხელისუფლებას მოუწოდებს, მკაცრად შეასრულოს პარლამენტის გადაწყვეტილებები და დაიცვას კატალონიელთა ძირითადი უფლებები, რომლებიც შეიძლება შელახულ იქნეს ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებით.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კატალონია ესპანეთის სამეფოსგან გამოსაყოფად ემზადება

**კატალონიის პარლამენტის დეპუტატების უმეტესობამ მოიწონა იმ რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „კატალონია იწყებს რესპუბლიკის ფორმის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას“. რეზოლუცია ითვალისწინებს რეგიონის ესპანეთის სამეფოდან გასვლის პროცესის დაწყებას. მას მხარი დაუჭირა კოალიცია Junts pel Si-ს 72-მა დეპუტატმა და პარტია „სახალხო ერთობის კანდიდატურამ“. კენჭისყრა რეზოლუციის თითოეულ პუნქტზე სათითაოდ ხდებოდა.**




სულ ჩატარდა ათი კენჭისყრა: ცხრა უშუალოდ რეზოლუციას ეხებოდა, მეათე კი — მის დანართს. კენჭისყრის დასრულების შემდეგ მმართველი სახალხო პარტიის 11-მა დეპუტატმა კატალონიისა და ესპანეთის დროშები გაშალა და ასე გამოხატა რეზოლუციის მიღების თაობაზე უთანხმოება.

ცენტრალური ხელისუფლება კი სეპარატიზმთან შეგუებას არ აპირებს.

სამეფოს პრემიერმინისტრი მარიანო რახოი რეზოლუციის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.

როგორც მედიისთვის გახდა ცნობილი, მინისტრთა საბჭო საგანგებო სხდომაზე შეიკრიბება და განიხილავს საჩივარს, რომელიც შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოში გაიგზავნება. ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ მარიანო რახოიმ შექმნილი მდგომარეობა განიხილა ესპანეთის სოციალისტური პარტიის ლიდერ პედრო სანჩესთან. შეთანხმდნენ, რომ უახლოეს დღეებში ისინი კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

კატალონიის პარლამენტი ერთი თვის განმავლობაში შეიმუშავებს სამეფოდან გასვლის მექანიზმებს.

მიღებული რეზოლუციის თანახმად, კატალონიის პარლამენტმა 30 დღის განმავლობაში უნდა მოამზადოს საჭირო დოკუმენტები სამეფოდან გასვლის საკონსტიტუციო პროცესის დასაწყებად, ასევე, უნდა შეიმუშაოს სოციალური და ფინანსური უზრუნველყოფის ცალკე სისტემა.

**კატალონიის პარლამენტმა 30 დღის განმავლობაში უნდა მოამზადოს საჭირო დოკუმენტები სამეფოდან გასვლის საკონსტიტუციო პროცესის დასაწყებად, ასევე, უნდა შეიმუშაოს სოციალური და ფინანსური უზრუნველყოფის ცალკე სისტემა**

როგორც უკვე აღინიშნა, რეზოლუცია შედგება ცხრა პუნქტისგან. პირველი პუნქტი არის „დემოკრატიული მანდატის“ ფლობის კონსტატირება, მანდატისა, რომელიც ხალხმა მიიღო დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე, როცა ხმის მიმცემთა 80%-მა რეგიონის დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

რეზოლუციის ყველაზე სადავო პუნქტი არის ის, რომელშიც აღნიშნულია, რომ ესპანეთის სახელმწიფოს არც ერთი ინსტიტუტი, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლო, უფლებამოსილი არ არის, გააუქმოს კატალონიის დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის გადაწყვეტილება.

ტექსტში ნათქვამია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი თავის დისკრედიტება მოახდინა, როდესაც გააუქმა რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება და შეცვალა ის „კატალონიის პოლიტიკური მომავლის შესახებ გამოკითხვით“, რომელსაც იურიდიული ძალა არ აქვს.

გარდა ამისა, რეზოლუცია კატალონიის ახალ ხელისუფლებას მოუწოდებს, მკაცრად შეასრულოს პარლამენტის გადაწყვეტილებები და დაიცვას კატალონიელთა ძირითადი უფლებები, რომლებიც შეიძლება შელახულ იქნეს ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებით.

**LA VANGUARDIA**

# Forbes: საუდის არაბეთი აშშ-ის წინააღმდეგ დიდ სანავთობო ომს იწყებს

**ახლოაღმოსავლური სამეფოს მიზანია, დაიცვას ბაზარზე საკუთარი ადგილი და „ცხოვრება აუტანელი გახადოს“ იაფი ფიქლური გაზის ამერიკელი მწარმოებლებისათვის. საამისოდ მან ამერიკელ კონკურენტებთან ბრძოლაში ფსონები გააორმაგა.**



როგორც გამოცემა Forbes-ი აღნიშნავს, საუდელებმა უკვე დახარჯეს დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი თავიანთი უცხოური ვალუტის მარაგებიდან და გარკვეულ შედეგსაც მიაღწიეს. მათმა გადაწყვეტილებამ, არ შეემცირებინათ წარმოების მოცულობა გლობალურ ბაზარზე ფასების შენარჩუნების მიზნით, Brent-ისა და WTI-ის მარკის ნავთობების თითო ბარელის ფასი 50 დოლარზე დაბლა დასწია, მაგრამ იმისათვის, რომ ბრძოლაში გაიმარჯვოს, სამეფოს კიდევ უფრო მეტის დახარჯვა მოუწევს.

საუდის არაბეთი ფსონების გაორმაგებას სესხების საშუალებით გეგმავს. გაზეთ Financial Times-ის ინფორმაციით, სამეფო მზადაა, გავიდეს ფასიანი ქაღალდების გლობალურ ბაზრებზე, რათა ამერიკელ მეწარმეებთან საბრძოლველად სახსრები მიიზიდოს. საუდელები აპირებენ, არა მხოლოდ დაიცვან ბაზარზე საკუთარი წილი, არამედ ამერიკელი კონკურენტებისთვის ცხოვრება აუტანელი გახადონ.

ფულის სესხების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფინანსური გართულებებით, რომელთაც საუდის არაბეთი ახლა განიცდის — ნავთობის ექსპორტიდან შემოსავლების შემცირებამ განაპირობა საბიუჯეტო შეზღუდვები, რომლებმაც, თავის მხრივ, გაართულა ქვეყნის შიგნით ძვირად ღირებული სოციალური კონტრაქტის შესრულება. გარდა ამისა, სამეფოს ფინანსური სტრესი განპირობებულია იემენში საომარი კამპანიის ხარჯებითაც.



**გაზეთ Financial Times-ის ინფორმაციით, სამეფო მზადაა, გავიდეს ფასიანი ქაღალდების გლობალურ ბაზრებზე, რათა ამერიკელ მეწარმეებთან საბრძოლველად სახსრები მიიზიდოს. საუდელები აპირებენ, არა მხოლოდ დაიცვან ბაზარზე საკუთარი წილი, არამედ ამერიკელი კონკურენტებისთვის ცხოვრება აუტანელი გახადონ**

სტატიაში აღნიშნულია, რომ „თავის დიდ სანავთობო ბრძოლაში ამერიკული ფიქლური ნავთობის წინააღმდეგ საუდელებს ჯერჯერობით მხოლოდ პატარა გამარჯვებებით შეუძლიათ ტრაბახი“. Baker Hughes-ის მონაცემებით, აშშ-ში მომუშავე ანძების რაოდენობა 1925-დან 711-მდე დავიდა. დაახლოებით 20 კომპანია გაკოტრებულადაა აღიარებული. აშშ-ში ფიქლური გაზის მოპოვების მოცულობა დღეში დაახლოებით 500 ათასი ბარელით შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ იწარმოება დღეში 9,1 მილიონი ბარელი. სამი წლის წინათ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 6,8 მილიონი ბარელი იყო.

საუდის არაბეთის ხელისუფლება დანებებას არ აპირებს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანა სავალე ვალდებულებებს საერთო შიდა პროდუქტის 50%-მდე გაზრდის, მას კი ამის საშუალებას ნამდვილად აძლევს ამ დროისათვის არსებული ძალზე დაბალი სავალე ტვირთი.

**FORBES**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამი სახელმწიფო — პორტუგალია, იტალია და საბერძნეთი — პრაქტიკულად სრულ სტაგნაციაში აღმოჩნდა. საბერძნეთმა შეძლო თავბრუდამხვევი ზრდისთვის მიეღწია პირველ პერიოდში, მაგრამ მეორე პერიოდმა სრულად გაუნიავა მას დაგროვილი სიმდიდრე.**

# ვინ მეტი სარგებელი ნახა ევროსგან

**ევროს გაჩენიდან ევროზონას ერთი მიზანი ჰქონდა: მისი შემადგენელი ეკონომიკების დაახლოება, მაგრამ რამდენიმე წარმატებული წლის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. ევროზონის განვითარება შეიძლება ორ მკვეთრ ფაზად დაიყოს: 1999-დან 2007-მდე ბედნიერი დღეები და მიმდინარე შავბნელი პერიოდი.**

## გერმანია ევროპაში უძლიერესი ეკონომიკის ქვეყანაა, რასაც მან დაბალი ხელფასებისა და მაღალი უთანასწორობის ხარჯზე მიაღწია

ევროპული სავალუტო კავშირი მოიცავს 19 ქვეყანას. თითეულ მათგანს განსხვავებული ბედი ხვდა წილად, გერმანიამ კი ევროსგან ყველაზე მეტი სარგებელი ნახა. ევროზონის უდიდესმა ქვეყანამ თავისი წარმატებით შექმნა რეალური მტკიცებულება იმისა, რომ ევროზონას აყვავება უწერია.

როგორც აღნიშნავენ, წარმატებულ გერმანიასა და სხვა ქვეყნებს შორის სხვაობა მხოლოდ ადასტურებს იმას, რომ დანარჩენებსაც შეეძლოთ მიეღწიათ იმავესთვის, რასაც გერმანიამ მიაღწია. მაგრამ მათი უუნარობა მათივე ეკონომიკებისთვის განაჩენად იქცა.

მიუხედავად ამისა, თუკი ყურადღებით განვიხილავთ სიტუაციებს იმ ქვეყნებში, რომლებიც თავიდანვე ჩაებნენ ევროსთან დაკავშირებულ ავანტიურაში (გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, ირლანდია, ლუქსემბურგი, ფინეთი, პორტუგალია, ბელგია, ავსტრია 1999 წელს და საბერძნეთი 2001 წელს), შედეგებმა შეიძლება გაგვაკვირვოს.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება **ეკონომიკურ ზრდას**. თუკი არ ჩავთვლით ამ მაჩვენებლის მიხედვით ორ უდავო ლიდერს, ანუ ლუქსემბურგსა და ირლანდიას (მათ საგადასახადო სისტემებში მთელი რიგი დამთხვევები აერთიანებთ), ევროზონაში საშუალო მაჩვენებლებმა 15 წლის განმავლობაში 20-28% შეადგინა, რაც წელიწადში 1,2-1,7%-ს გვაძლევს. **სამი სახელმწიფო — პორტუგალია, იტალია და საბერძნეთი — პრაქტიკულად სრულ სტაგნაციაში აღმოჩნდა.**

საბერძნეთმა შეძლო თავბრუდამხვევი ზრდისთვის მიეღწია პირველ პერიოდში, მაგრამ მეორე პერიოდმა სრულად გაუნიავა მას დაგროვილი სიმდიდრე.

შემდეგ მოდის **უმუშევრობა.** აქ დასკვნა არცთუ სასიამოვნოა: **თუკი არ ჩავთვლით გერმანიასა და ფინეთს, 1999-დან 2014 წლამდე ევროზონის ქვეყნებში უმუშევრობა გაიზარდა.**



**თუკი არ ჩავთვლით გერმანიასა და ფინეთს, 1999-დან 2014 წლამდე ევროზონის ქვეყნებში უმუშევრობა გაიზარდა**

ეკონომიკური დაახლოებისაკენ სწრაფვა დამაკმაყოფილებელი შედეგებით აღინიშნა პირველ პერიოდში, მაგრამ 2008 წლის კრიზისმა ერთობა მოსპო.

არანაკლებ დიდი სხვაობა შეინიშნება **საშუალო ხელფასების** ზრდის თვალსაზრისითაც. მაგალითად, **პორტუგალიაში ბოლო 15 წლის განმავლობაში საშუალო ხელფასი 4%-ით შემცირდა, ირლანდიაში კი — 34%-ით გაიზარდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში საშუალო ხელფასი 8,42%-ით გაიზარდა, რაც ბევრად არ აღემატება საბერძნეთის, პორტუგალიის, იტალიისა და ესპანეთის მაჩვენებლებს და ნახევარჯერ ▶

# სასოწარკვეთა ამერიკულად

**თეთრკანიან ამერიკელებში მაღალია თვიმკვლელობის რაოდენობა, ასევე ნარკოტიკებით მოწამლვისა და ალკოჰოლის გადამეტებული გამოყენებით განპირობებული ღვიძლის ქრონიკული დაავადებების შედეგად გარდაცვალება. ასეთი რამ უკვე გვინახავს სხვა დროს და სხვა ადგილას, მაგრამ ამერიკაში ეს შოკის ტოლფასი გახდა.**

ნობელის პრემიით დაჯილდოებული ეკონომისტის — **ანგუს დიტონისა** (Angus Deaton) და მისი კოლეგა **ენ კეისის** (Anne Case) რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული სტატია ცხადყოფს, რომ 1999 წლიდან შუა ხნის თეთრკანიან ამერიკელებს შორის მოკვდავობა იმატებს. ეს თემა აქტიური განხილვის საფუძვლად იქცა და სავსებით სამართლიანადაც. ამ მაჩვენებლის გაუარესება ხდებოდა იმის პარალელურად, რომ სხვა ქვეყნებში და ამავე ქვეყნის სხვა ჯგუფებშიც მოკვდავობა განუხრელად იკლებდა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია მოკვდავობის ზრდის უშუალო მიზეზები. სინამდვილეში თეთრკანიან ამერიკელებში მაღალია თვიმკვლელობის რაოდენობა, ასევე ნარკოტიკებით მოწამლვისა და ალკოჰოლის გადამეტებული გამოყენებით განპირობებული ღვიძლის ქრონიკული დაავადებების შედეგად გარდაცვალება. ასეთი რამ უკვე გვინახავს სხვა დროს და სხვა ადგილას, მაგრამ ამერიკაში ეს შოკის ტოლფასი გახდა.

ბოლო დროს გაჩნდა მთელი რიგი კვლევებისა, რომლებიც ადასტურებს, რომ ნაკლებად განათლებულ თეთრკანიან ამერიკელებს შორის სიცოცხლის ხანგრძლივობა იკლებს. თვითმკვლელობათა მატება და ოპიოიდების ბოროტად გამოყენება უკვე ცნობილი პრობლემებია. და, თუკი პოპკულტურა უფრო მეტადაა „ჩაციკლული" მეტამფიტამინზე, ვიდრე რეცეპტით გაყიდულ ტკივილგამაყუჩებლებზე ან ალკოჰოლზე, სულაც არ არის ახალი ამბავი ის, რომ ყურადღების ცენტრში სწორედ ნარკოტიკული დამოკიდებულების პრობლემა დგას.

მაგრამ რა განაპირობებს ყოველივე ამას?

თუკი მემარჯვენეების ეჭვებს გავიზიარებთ, ყველაფერში დამნაშავენი ლიბერალები არიან, მაგრამ ეს თვალსაზრისი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ფაქტებს.

დავიწყოთ იმით, რომ სიკვდილის შემთხვევათა მატება უშუალოდ ამერიკული ფენომენია — ამერიკა ხომ სოციალურად ნაკლებად ორიენტირებული ქვეყანაა, სადაც დიდ როლს ასრულებს ტრადიციული რელიგია და ღირებულებები. შვედეთი თავის ნაკლებად შეძლებულ მოსახლეობას გაცილებით მეტ დახმარებას უწევს, ვიდრე ამერიკა. მიუხედავად ამისა, შვედეთში შუა ასაკის მოსახლეობის მოკვდავობის მაჩვენებელი ნახევარჯერ დაბალია, ვიდრე ამერიკაში.



**საშუალო ასაკის თეთრკანიან ამერიკელებს მტკივნეული დარტყმა მიაყენა ეკონომიკურმა წარუმატებლობებმა, რადგან ისინი უკეთესს ელოდნენ**

მსგავსი სურათი შეიძლება ვიხილოთ აშშ-ის რეგიონებშიც. სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა მაღალია და ეს მაჩვენებელი ზრდას განაგრძობს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და კალიფორნიაში, სადაც ყველაზე მაღალია სოციალური შემწეობები და ყველაზე სუსტია ტრადიციული ღირებულებები. **იქნებ მზარდი მოკვდავობა მზარდი უთანასწორობისა და საშუალო ფენის გაქრობის შედეგია?**

საქმე არც ასე მარტივადაა. საუბარია ქცევის შედეგებზე და კულტურა ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს. კერძოდ, ესპანურენოვანი ამერიკელები გაცილებით უფრო ღატაკები არიან, მაგრამ მათ შორის მოკვდავობა გაცილებით დაბალია. საჭიროა, აღინიშნოს, რომ, საერთაშორისო თანაფარდობის მიხედვით, ლათინოამერიკელებში კეთილდღეობა უცვლელად მაღალია, ვიდრე მათი შემოსავლების გათვალისწინებითაა მოსალოდნელი.

მაშ, რა ხდება? **ბოლოდროინდელ ინტერვიუში ბატონმა დიტონმა ივარაუდა, რომ საშუა-** ▶

**როზოტები და კომპიუტერები 2030 წელს მნიშვნელოვნად შეცვლიან სურათს სამუშაო ძალის ბაზარზე. ისინი სწორედ იმ ადგილებს მიითვისებენ, რომლებზეც ახლა ახალი მოქალაქეების გამწესებას აპირებენ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ ნაკლებია საფრანგეთის მაჩვენებლებზე.

2014 წელს ხელფასების დონის მიხედვით ირლანდია და ლუქსემბურგი კვლავ უსწრებენ დანარჩენებს.

ბოლოს განვიხილოთ **უთანასწორობაც.** აქ ყველაფერი გამჭვირვალეა. ბოლო 15 წლის განმავლობაში ჯინის კოეფიციენტი (პოპულაციის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი. ინდექსის მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 1 მიუთითებს, რომ უთანაბრობა მაქსიმალურია) ყველაზე მეტად გერმანიაში გაიზარდა. თუკი ევროზონაში შესვლამდე ის ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელს ინარჩუნებდა, 2014 წლისთვის ლამის სამხრეთ ევროპის დონემდე ჩამოვიდა.

გერმანია ევროპაში არის უძლიერესი ეკონომიკის ქვეყანა, რასაც მან დაბალი ხელფასებისა და მაღალი უთანასწორობის ხარჯზე მიაღწია.

1999-დან 2007 წლამდე პერიოდში თორმეტმა დამაარსებელმა ქვეყანამ აჩვენა საშუალო წლიური ზრდა — 2,18%, რომელიც უკავშირდება უმუშევრობის მნიშვნელოვან ვარდნასა (რეკორდული მინიმუმი მიღწეულ იქნა 2008 წლის მარტში 7,2%-იანი მაჩვენებლით) და ევროზონის არსებობის ნათელ პერიოდს. მომდევნო შვიდ წელს სტაგნაციასაც კი ვერ ვუწოდებთ, რადგან 2014 წლის საერთო შიგა პროდუქტის მაჩვენებელი 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე დაბალია. ამას მოჰყვა ევროზონაში უმუშევრობის ძლიერი ზრდა ამჟამინდელ 10,8%-იან მაჩვენებლამდე. გამოდის, რომ **ამჟამად ევროზონაში უმუშევრობა უფრო მეტია, ვიდრე 1999-ში, ევროს შემოღებამდე, როდესაც საუბარი იყო 10%-ზე.**

**ნიკოლა გეცმანი,**
**Atlantico-ს**
**ეკონომიკური ექსპერტი**



**ისინი არიან ადამიანები, რომლებიც ამერიკული ოცნების მიმართ რწმენით გაიზარდნენ და არ შეუძლიათ, გაუმკლავდნენ რეალობას**

◀ **ლო ასაკის თეთრკანიან ამერიკელებს მტკივნეული დარტყმა მიაყენა ეკონომიკურმა წარუმატებლობებმა, რადგან ისინი უკეთესს ელოდნენ. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი არიან ადამიანები, რომლებიც ამერიკული ოცნების მიმართ რწმენით გაიზარდნენ და არ შეუძლიათ, გაუმკლავდნენ რეალობას.**

ეს ჰიპოთეზა სავსებით რეალურია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ცნობილი არაა, რატომ ვრცელდება სასოწარკვეთა ცენტრალურ ამერიკაში. თუმცა, ეს უდავოდ ფაქტია, ფაქტი, რომელიც შესაძლოა, საგანგაშო შედეგებით შემოუბრუნდეს მთელ საზოგადოებას.

იმიგრანტების დეპორტაცია და ლოზუნგებიანი მაისურები პრობლემებს ვერ მოაგვარებს, მაგრამ ამ პრობლემებს ვერც კაპიტალნამატზე გადასახადების შემცირება მოაგვარებს. ამრიგად, გასაგები ხდება, რატომ დგას ზოგიერთი ამომრჩეველი იმ პოლიტიკოსთა გვერდით, რომლებიც თუნდაც თავს აჩვენებენ, რომ თანაუგრძნობენ მათ ტკივილს.

მართალია, საყოველთაო ჯანდაცვა, შედარებით მაღალი მინიმალური ხელფასი, საგანმანათლებლო შემწეობა და სხვა ზომები ამერიკელებს ბევრ რამეში ეხმარება, მაგრამ, როგორც კი ისინი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ეს ყველაფერი საკმარისი აღარ არის ეგზისტენციალური სასოწარკვეთისაგან გასაკურნად.

**Folha**

# მომავალი — სამუშაო ადგილების გარეშე

**დევნილებს სამუშაო სჭირდებათ, გერმანულ ეკონომიკას — სამუშაო ძალა, მაგრამ რამდენ ხანს იქნება კიდევ ეს საჭიროება? რობოტები მძლავრი კონკურენტები ხდებიან.**



სამუშაო ძალა სასწრაფოდ ესაჭიროება გერმანულ ეკონომიკას, სამუშაო ძალის ბაზარი კი, თავისი 600 ათასი ვაკანსიით, მომავალშიც იოლად შეძლებს მათ აყვანას.

გათვლებში, შესაძლოა, ფატალური შეცდომა გაიპაროს. ამას ადასტურებს კვლევები, რომელთა ავტორებიც დაკავებულნი არიან უახლოეს 20 წელიწადში დასაქმების საკითხების შესწავლით. მათი აზრით, **რობოტები და კომპიუტერები 2030 წელს მნიშვნელოვნად შეცვლიან სურათს სამუშაო ძალის ბაზარზე. ისინი სწორედ იმ ადგილებს მიითვისებენ, რომლებზეც ახლა ახალი მოქალაქეების გამწესებას აპირებენ.**

300-გვერდიან ანგარიშში, რომელიც გაზეთ Guardian-ის თანამშრომლებმა გააანალიზეს, საინვესტიციო კომპანია Bank of America Merrill Lynch-ის ანალიტიკოსები ახალი ორთქლის მანქანის, მასობრივი წარმოებისა და ელექტრონიკის გაჩენის შემდეგ მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას წინასწარმეტყველებენ — რობოტოტექნიკის. ისინი იმოწმებენ ოქსფორდის უნივერსიტეტის ანგარიშს, რომლის თანახმადაც **მეოთხე რევოლუციის შედეგად 20 წლის განმავლობაში ბრიტანელების 35% და ამერიკელების 47% დაკარგავს სამუშაო ადგილს. განსაკუთრებული საფრთხის წინაშეა დაბალი ანაზღაურების სამუშაო ადგილები — ტექნიკური განვითარება მათ უსარგებლოდ აქცევს.**

ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ისტორიული ცვლილება შეეხება გერმანიასაც. ჩნდება კითხვა: შეძლებს კი ამ ქვეყნის სამუშაო ძალის ბაზარი 2035 წელს მილიონობით მიგრანტის სწავლებისა და ინტეგრირების შემდეგ დაიტიოს მუშებისა და მომსახურე პერსონალის დიდი რაოდენობა?

რობოტოტექნიკის საუკუნე მხოლოდ ახლა იწყება. ტაივანური **საწარმო FOXCONN-ი — ჰაი-ტეკის სფეროში მსოფლიოს უმსხვილესი მომწოდებელი — აპირებს, რომ თავისი თანამშრომლების სულ უფრო მეტი რაოდენობა ჩაანაცვლოს რობოტებით. ამჟამად ამ კომპანიაში დასაქმებულია 1,2 მილიონი ადამიანი, თავდაპირველად რობოტებით ჩანაცვლდება 10 000 თანამშრომელი, მომდევნო სამი წლის განმავლობაში კი — მილიონი. როგორც ჩანს, აიპადისა და აიფონის შემდეგ თაობებს ადამიანები აღარ ააწყობენ.**

**მეოთხე რევოლუციის შედეგად 20 წლის განმავლობაში ბრიტანელების 35% და ამერიკელების 47% დაკარგავს სამუშაო ადგილს. განსაკუთრებული საფრთხის წინაშეა დაბალი ანაზღაურების სამუშაო ადგილები — ტექნიკური განვითარება მათ უსარგებლოდ აქცევს**



ეს ახალი ტენდენცია სულ უფრო მკვეთრად ჩნდება სხვა სფეროებშიც. სტენფორდის უნივერსიტეტის ეკონომისტი ვივეკ ვადჰვა (Vivek Wadhwa) ოქსფორდის ექსპერტის ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა. **ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 66 რობოტი მოდის 10 000 მუშაზე, მაგრამ იაპონიის საავტომობილო წარმოებაში უკვე 1525 რობოტია. ჩინეთის პროვინცია გუანდუნში ახალი საწარმოო დაწესებულებები შენდება და იქ, საერთოდ, არ იქნებიან ადამიანები — ათასი რობოტი ორი ათასი ადამიანის სამუშაოს შეასრულებს.**

და ნელ-ნელა ყველგან სულ უფრო მეტი რობოტი გაჩნდება, რადგან იქ, სადაც ოფშორინგი — წარმოების გადატანა დაბალი სამუშაო ანაზღაურების ქვეყნებში — ხარჯების 65%-ით შემცირების საშუალებას იძლევა, რობოტების დანერგვა ამავე ხარჯებს 90%-ით შეამცირებს. ამგვარი შედეგები მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი კომპიუტერი შეძლებს მაღალი სამეცნიერო შემადგენლის მქონე ამოცანების შესრულებას.

სხვათა შორის, ეს ხდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც 3D-პრინტერები საშუალებას გვაძლევს, სათამაშოები და მოხმარების საგნები — მექანიკური ხელსაწყოები, იმპლანტანტები და ტანსაცმელიც კი პირდაპირ სახლშივე ვაწარმოოთ. ჯერჯერობით 3D-პრინტერები ნელა მუშაობს, მაგრამ სიტუაცია სწრაფად შეიცვლება (ვივეკ ვედჰვა ირონიულად აღნიშნავს: არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი 2030 წლისთვის საწარმოო რობოტები ქუჩაში გამოვლენ 3D-პრინტერების წინააღმდეგ ლოზუნგით: „ისინი სამუშაოს გვართმევენ!“).

მაგრამ **რა მოხდება, თუკი უმუშევრები დაიწყებენ გამოსვლებს? გველის თუ არა კონფლიქტი სულ უფრო მეტ უმუშევარსა და სულ უფრო მცირერიცხოვან დასაქმებულებს შორის?**

იქნებ მართალი არიან ოპტიმისტები, რომლებიც რობოტების გამოჩენაში ხედავენ შანსს, რეალობად იქცეს დიდი ინგლისელი ეკონომისტის — ჯონ მეინარდ კეინსის კონცეფცია? **კეინსმა 1930 წელს იწინასწარმეტყველა, რომ 2030 წლისთვის ტექნიკის განვითარება კაცობრიობას საშუალებას მისცემს, კვირაში მხოლოდ 15 საათი იმუშაოს, დანარჩენი დროის განმავლობაში კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ ადამიანად დარჩენა და შემოქმედებით დაკავება.**

ცხადია, კეინსი იმასაც ამბობდა, რომ, თუკი სამუშაოსა და საზოგადოებას შორის თანაფარდობა არ იქნება ფუნდამენტურად ხელახლა გააზრებული, შესაძლოა, გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის მნიშვნელოვანი განხეთქილება გაჩნდეს. „ჩვენ საფრთხეში ვართ. საფრთხე უკავშირდება დიდი რაოდენობით ადამიანების გაჩენას, რომლებიც აღარ იქნებიან საჭირონი. საკუთარ თავს უნდა დავუსვათ კითხვა: რა სახის ეკონომიკა გვსურს გვქონდეს, რომ მსგავსი პრობლემის წინაშე არ აღმოვჩნდეთ?“

კემბრიჯელი მეცნიერის ეს კითხვა უკვე 85 წლისაა. შევძლებთ კი, მის მიერ მითითებულ დრომდე, ანუ 2030 წლამდე ამ კითხვაზე სწორი პასუხი მოვძებნოთ?

**Die Zeit**

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ატომები მოსვენებას არ მაძლევდნენ. „ატომური“ პომადა. აირინის „ატომური“ ბიუსტჰალტერი. „კოლიერსის“ „ატომური“ გამოშვება. „ატომური“ რეკლამა. „ატომური“ ფილები. „ატომური“ საუკუნე.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

**აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.**

**სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.**

**ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

**აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.**

**სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.**

**სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.**

**წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.**

**კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-41 (315-323)

ფრედი არ მალავს თავის გრძნობას. ის, საერთოდ, არაფერს მალავს. საგამოძიებო კომისიაში ჰკითხეს: ხარ თუ არა კომუნისტი? მან უპასუხა, სამწუხაროდ, არაო და დაუმატა, რომ ხელს უშლის ბურჟუაზიული წარმოშობა. ის იცავს კომუნისტებს, მონაწილეობს სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის კავშირის მმართველობაში, „კაშკაშა ვარდისფერის“ სახელი აქვს და უკვე დიდი ხანია დაკარგა სოლიდური კლიენტურა.

— ეს ჩემი მოქალაქეობრივი ვალია! — ამბობს იგი ძველმოდური თავმოწონებით.

ფრედის ფრაზები სხარტი და მოქნილია, — მაშინვე იგრძნობა ადვოკატი. მაგრამ სასამართლოზე იგი ხანდახან ენამახვილობს. უეიკოში ის პირდაპირ მეჯიბრებოდა მოსამართლე ჰეილის წონასწორობიდან გამოყვანის მცდელობაში. სხვათა შორის, იგი საკმაო საბაბს გვაძლევდა ამისათვის. მან მკითხა:

— მისტერ ემრიჩ, ხომ არ გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ მარტომ ჩაიდინეთ ყველა დანაშაული?

რაც კი შემეძლო, გულუბრყვილო სახე მივიღე.

— თავისთავად ცხადია, სერ. ბევრნი მეხმარებოდნენ. შემიძლია დავასახელო ყველაზე ცნობილნი.

— სასამართლო დააფასებს თქვენს გულახდილობას.

**— მაშ ასე, — ვთქვი მე, — მეხმარებოდნენ მისტერ ოპენჰეიმერი — ატომური ბომბის მამა, მისტერ ტელერი — წყალბადის ბომბის მამა, მისტერ მაკარტური — ჯარების სარდალი, კონგრესმენი იუჯინ ლი სმიტი — „დიუპონ დე ნემურის“ დირექტორი, მისტერ...**

მოსამართლემ ჩაქუჩი დააბრახუნა.

— ოცდაათი დღე სასამართლოს უპატივცემლობისათვის!

მაკკორმაკი წამოდგა.

— პროტესტს ვაცხადებ, თქვენო ღირსებავ! კითხვა ისე იყო ფორმულირებული, რომ მისი გაგება მრავალნაირად შეიძლებოდა. მისტერ ემრიჩი ფიქრობდა, რომ თქვენ ჰიროსიმაზე ეკითხებოდით.

— სამი დღე სასამართლოს უპატივცემლობისათვის! მოიხდით პროცესის დამთავრებისთანავე.

— ისევ და ისევ ზარალი, — მწუხარედ თქვა ფრედმა და კიდევ სამი დღე მიიღო.

— ეს დონკიხოტობაა, — ვუთხარი ფრედს შესვენებაზე.

მან მკვახედ მომიგო:

— დაუტენავი პისტოლეტით საძარცვად სიარული აღარ არის დონკიხოტობა? იმედი გქონდათ, რომ მოგკლავდნენ?

— ხომ იცით...

— რა თქმა უნდა, ვიცი. მაგრამ ეს არაა მეთოდი. მიიღო ტყვია პოლიციელისაგან — ჯერ კიდევ არ ნიშნავს დანაშაულის გამოსყიდვას. ჩემი აზრით, ეს, უბრალოდ, სიმხდალეა. მითხარით, რატომ არ მოაწერეთ ხელი სტოკჰოლმის მიმართვას? შეგეშინდათ?

არა, არ შემშინებია. თვალთმაქცობა არ მინდოდა. მერჩივნა, მოვმკვდარიყავი. სისულელეა. მაკკორმაკი ჩემს ყველაზე მტკივნეულ ადგილს შეეხო და ჩვენ წავიჩხუბეთ. მე არ მინდოდა წარსულში ქექვა და იმ საღამოებზე ფიქრი, როცა სახლიდან გამოვდიოდი ერთადერთი იმედით — მიმელო სწორედ ის ცოდვების გამომსყიდველი ტყვია, რომელზეც მაკკორმაკი იცინოდა. ეს იყო „რუსული რულეტკა“, როცა ნაგანის ლულაში თვითმკვლელი ტოვებს ერთ ტყვიას და თვალდახუჭული ატრიალებს სავაზნეს, სანამ გაშეტს გამოჰკრავს. მაგრამ ყოველ გამოკვრაზე ცარიელი ბუდე მხვდებოდა.

მაკკორმაკს ესმოდა ეს, მაგრამ ვერ ურიგდებოდა. ნაფიცმა მსაჯულებმა კი თავისებურად გაიგეს. ამიტომაც აღმოვჩნდი აქ და არა ციხეში. მათ ვერავითარი ლოგიკა ვერ დაინახეს ჩემს მოქმედებაში — მე ხომ შემეძლო უბრალოდ ტყვია მეკრა შუბლში. ამაზე ადვილი რა იქნებოდა?

მაგრამ საქმეც ისაა, რომ არ შემეძლო.

აირინმა თქვა, რომ მე პოზიორი ვარ.

ასეც იყო.

მინდოდა, სიკვდილის წინ კარი გამეჯახუნებინა. ჯიბით დავატარებდი წერილს, რომელშიც ჩემს ნაბიჯს განვმარტავდი.

ეს იყო ფარდის დაშვების წინა თეატრალური ეფექტი.

რა იყო ეს — პატივმოყვარეობა?

თუ ლამაზი პოზა?

ერთიცა და მეორეც. და, კიდევ, ჰიროსიმა.



**ატომები მოსვენებას არ მაძლევდნენ. „ატომური“ პომადა. აირინის „ატომური“ ბიუსტჰალტერი. „კოლიერსის“ „ატომური“ გამოშვება. „ატომური“ რეკლამა. „ატომური“ ფილები. „ატომური“ საუკუნე.**

ძალიან ბევრია ერთი ადამიანისათვის.

ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი სინდისი.

**ფიზიკოსებს, სამხედროებს, პრეზიდენტს, კონგრესსა და კომპანიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა. მაგრამ სინდისი მხოლოდ ფიზიკოსებს გაახსენდათ. სხვებზე ადრე ოპენჰეიმერი აღდგა წყალბადის ბომბების წინააღმდეგ. იგი შიშობდა, რადგან იცოდა.**

მეც ვიცოდი.

ახლა თითქმის ყველამ იცის, ლარი ამბობს, რომ ფსიქიატრებმა აღმოაჩინეს ახალი მანია — ატომური. ადამიანები ჭკუიდან იშლებიან ატომური ბომბის საშინელებათა წინაშე. ლუსისთან, კოლეჯში, საწვრთნელი განგაში მოაწყვეს. ამის შემდეგ მას ორი დღე არ უძინია.

ჰიროსიმის ფერფლი ჩემს გულში ფეთქავს.

## 8

იზოლატორი.

ბარკერმა გამახსენა ამბავი, ასტორს რომ გადახდა. შემთხვევა იმაზე ადრე მომეცა, ვიდრე მსურდა. შემოვლა გამომეპარა და გორდონმა აირინისათვის წერილის წერაზე წამასწრო. ქაღალდი და ფანქარი ლარიმ მომცა.

ჩაციებით გამომკითხეს. ბარკერი პირდაპირ კანკალებდა მოჩვენებითი სიბრაზისაგან. გორდონის შუშის თვალები გამოცოცხლდნენ. გაუგონარი დარღვევაა — ფანქრით ხომ შეიძლება ვინმეს თვალი გამოსთხარო. ვის? აი, თუნდაც იმავე კონოლის. გორდონისა და ბარკერისთვის ყველაფერი ნათელია! და “ზოგიერთი” კიდევ ბედავს ცილი დასწამოს პერსონალს, თითქოსდა ვეტერანებს ძალზე მკაცრად სჯიდნენ! ბარკერის აზრით, ავადმყოფები თვითონ სცემენ ერთიმეორეს და ჭრილობებს აყენებენ ერთმანეთს ფანქრის საშუალებით. დიახ, ფანქრებითაც. აბა წარმოიდგინეთ, სერ, რა იქნებოდა იმავე ემრიჩის ხელში დანა რომ აღმოჩენილიყო?!

გორდონმა წარმოიდგინა. მის ფიზიონომიაზე შეძრწუნება აისახა, შუშის თვალებში კი კმაყოფილება. დასჯისათვის კანონიერი საბაბი ნაპოვნია. დანაშაული მძიმდება იმითაც, რომ დამნაშავემ არ მოისურვა თავისი ნებით წერილი მოეცა და არც სანიტარს მისცა საშუალება წაერთმია.

და მე იზოლატორში მათავსებენ.

გამარჯობა, ძველო ნაცნობო! დიდი ხანია, ჩვენ დავმეგობრდით. დაიცა, როდის იყო ეს? 1960 წლის 22 დეკემბერს მე დალასში დამიჭირეს. ოცდაშვიდში იქ გადმომიყვანეს. ასე რომ, ერთმანეთი ოცდარვაში გაგვიცნია.

ახლა მარტია, გაზაფხული. კიდევ ორი კვირა და სანაპიროზე სიცხეები დადგება. მაშინ უმჯობესია, არ მოხვდე იზოლატორში — ამ ჩახუთულ სათაგურში, ზომით — ოთხი სამ ფუტზე (30,48 სმ — რედ). მაგრამ ჯერჯერობით შეიძლება გაძლება. უფრო გრილა, ვიდრე პალატებში და არც ისე ყარს. იატაკზე შეიძლება წამოწოლა, თუ ფეხებს არ გაშლი.

არაფერია, ურესიც ყოფილა.

თავისუფლება უაღრესად შედარებითი ცნებაა. ორი წლის წინათ, „წყნარი“ განყოფილებიდან რომ გავიქეცი, ვფიქრობდი, რომ ის მოვიპოვე. მთელი ქვეყანა იყო ჩემ წინ გაშლილი. საითაც მინდოდა, იქით წავიდოდი. გზატკეცილზე გავედი და ხელი ავწიე. მანქანამ დაამუხრუჭა. იგი დეტროიტში მიდიოდა. ჩემთვის სულერთი იყო, საით წავიდოდი.

თავისუფლება კარგია, როცა მაძღარი ხარ. აირინმა ჩიგაკოში გამომიგზავნა ფული, მეორედ — უკვე ველარ შეძლო; გამოძიებათა ფედერალური ბიუროს აგენტები სინჯავდნენ მისი, მშობლებისა და ჩვენი ნაცნობების მიმოწერას. ერთი კვირა ვიშიმშილე და ისევ გზატკეცილზე გავედი.

ლურჯი დანჯღრეული „ფორდი“ გაჩერდა.

— ფილადელფია? ძალიან კარგი, ერთი გზა გვქონია.

მანქანის პატრონმა ნამცხვრის ნაჭერი მომცა. ცუდად გავხდი. მან იფიქრა, რომ შემაშინა საგზაო ნიშანმა, რომელიც მოსახვევში გვაფრთხილებდა: „ნუ იჩქარებ შენი სიკვდილის შესახვედრად“.

— რა მოგივიდათ?

— გმადლობთ, არაფერი.

მე ფრთხილად მიმყავს მანქანა.

მან ნამცხვრის მეორე ნაჭერი და ვეება ომლეტიანი სენდვიჩი მომართვა.

— არ გაგიმართლა?

— როგორც წყალწაღებულს.

— მეც. ჩემი ფერმა ბანკმა გადაყლაპა. ვეცდები ფილადელფიაში მოვეწყო... უფროსი შვიდისაა, უმცროსი სამი თვის. სულ ოთხი მყავს. პირველ ხანობას როგორმე გავძლებთ.

ფილადელფია.

— ვისაუზმოთ, ძმობილო, მე გპატიჟებთ.

ომლეტი ბეკონით და ფინჯანი შავი ყავა. კოლოფი სიგარეტი.

— აი, ორი დოლარი, ძმობილო... მაპატიე, მეტი არ შემიძლია.

ლურჯმა ”ფორდმა“ გვერდით ქუჩაზე შეუხვია და გაუჩინარდა.

რა ერქვა მას, ამ ადამიანს?..

ორი დოლარით რიგიანადაც ვერ ისადილებ, მაგრამ ბანკის დაარსება კი შეიძლება. მოხუცი რიდი თავის დროზე ასეც მოიქცა და შემდეგ “თაიმსში” ჰყვებოდა:

„ჩემ სახლზე ჩამოვკიდე ფირნიში: „ბანკი“ — და დავიწყე ლოდინი. მოდის ვიღაც და შესანახად მაბარებს ას დოლარს, რამდენიმე საათის მერე მოდის მეორე და მოაქვს ხუთასი დოლარი. ამ დროისათვის მე იმდენად ვირწმუნე ჩემი წამოწყების სოლიდურობა, რომ საკუთარი დოლარი დავაბანდე მასში!“

ეს ყველაფერი ხუმრობა როდია.

სამწუხაროდ, არც რიდი ვიყავი და არც მორგანი. ორი დოლარი ორ დღეს ძლივს მყოფნიდა. „კონტინენტალ პასიფიკი“, ალბათ, სახელმწიფოსაგან ამავე სახსრებით იღებდა იჯარით რკინიგზას 99 წლით. ხომ იყიდა პიტერ მინუიტმა ინდიელებისაგან კუნძული მანჰეტენი ერთი ყუთი ჯინის ფასად?

ფილადელფიიდან გავგზავნე ჩემი პირველი ანტიატომური სტატია ნიუ-იორკში. მე ვწერდი: „ადამიანთა უმრავლესობა სისულელედ ჩათვლის ომის წინააღმდეგ ბრძოლის ჩემს მეთოდს. მაგრამ ვერ ვხედავ სხვა გზას დავუმტკიცო ადამიანებს, რომ ატომურ ომს მორალურ გადაგვარებამდე მივყავართ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მას თან მოაქვს დიდი ნგრევა“.

**(გაგრძელება იქნება)**

**ფიზიკოსებს, სამხედროებს, პრეზიდენტს, კონგრესსა და კომპანიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა. მაგრამ სინდისი მხოლოდ ფიზიკოსებს გაახსენდათ. სხვებზე ადრე ოპენჰეიმერი აღდგა წყალბადის ბომბების წინააღმდეგ. იგი შიშობდა, რადგან იცოდა**

**T-14 „არმატას“ მთავარი განსხვავება სხვა ტანკებისგან არის ის, რომ ეკიპაჟისთვის აქვს იზოლირებული დაჯავშნილი კაფსული. ტანკის 125-მმ-იანი ქვემეხის ყუმბარას კი 1 მ სისქის ფოლადის გახვრეტა შეუძლია.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტანკი «არმატა», რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება

**რუსეთმა პერსპექტიული ტანკი T-14 „არმატა“ პირველად ამა წლის 9 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართულ გამარჯვების აღლუმზე წარმოადგინა. ამ უახლესმა სამხედრო ტექნიკამ სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა.**

## ტანკი T-14 «არმატა»

„არმატა“ — ეს არის ახალი სიტყვა ტანკთმშენებლობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში.

„არმატა“ არის არა მხოლოდ ტანკი, არამედ საბაზო შასი საბრძოლო ტექნიკის მთელი ოჯახისთვის



ეკიპაჟი — 3 კაცი.
მაქსიმალური სიჩქარე დაახლოებით 90 კმ/სთ
სვლის რეზერვი 500 კმ-ზე მეტი

შემქმნელი: სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ურალის საკონსტრუქტორო ბიურო.
მწარმოებელი: სამეცნიერო-საწარმოო კორპორაცია „ურალვაგონზავოდი“

### ტანკ T-14-ის სავარაუდო აგებულება




**ტანკ „არმატას“ ფასი**
სერიული წარმოებისას 250 მლნ რუბლი (დაახლოებით 5 მლნ აშშ დოლარი).

T-14-ის პირველ პარტიას რუსეთის შეიარაღებული ძალები 2016 წელს მიიღებს

2300 ტანკს კი — 2025 წლამდე.

T-14 „არმატას“ მთავარი განსხვავება სხვა ტანკებისგან არის ის, რომ ეკიპაჟისთვის აქვს იზოლირებული დაჯავშნილი კაფსული. ტანკის 125-მმ-იანი ქვემეხის ყუმბარას კი 1 მ სისქის ფოლადის გახვრეტა შეუძლია.



# «ჯებჰათ ან-ნუსრას» წარსული და მომავალი

## ვინ ასაზრდოებს ტერორიზმს სირიაში?

**„ჯებჰათ ან-ნუსრა“, ანუ „გამარჯვების ფრონტი“ — ეს არის დაჯგუფება, რომელსაც არა მხოლოდ დასავლეთი აღიარებს ტერორისტულ ორგანიზაციად, არამედ რუსეთიც.**

„ჯებჰათ ან-ნუსრა“ გამოჩნდა 2012 წლის დასაწყისში, როდესაც სირიის ტერიტორიაზე გაჩაღებულ ომში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული რადიკალურად განწყობილი ჯიჰადისტები ჩაერთვნენ. მათი ნაწილი სირიელია, რომლებმაც ქვეყანა ადრე დატოვეს. თუმცა „ბოევიკებს“ მეთაურობდნენ ლტოლვილთა ბანაკებში გაზრდილი და ერაყსა და ავღანეთში „ალ-ქაიდას“ რაზმებში მებრძოლო პალესტინელები. სწორედ ასეთია „ჯებჰათ ან-ნუსრას“ მეთაური **აბუ მუჰამად ალ-ჯულანი.**

საომრად მომზადებული ექსტრემისტები საკმაო ხნის განმავლობაში არ ითვლებოდნენ სერიოზულ ძალად. სირიელი ისლამისტების ძირითადი დაჯგუფებები დასავლეთის, თურქეთისა და სპარსეთის ყურის მონარქების მიერ მხარდაჭერილ „თავისუფალი სირიის არმიის“ რიგებში იბრძოდნენ. მაგრამ 2013 წლის შემოდგომაზე „თავისუფალი სირიის არმია“ პრაქტიკულად დაიშალა. ოფიციალური დამასკოს მთავარი მოწინააღმდეგის ტიტული კი შეიძინა „ისლამურმა ფრონტმა“, რომელმაც არ ცნო დასავლეთში ბაზირებული ოპოზიცია და წარმატებით თანამშრომლობდა ყატარში შექმნან სირიულ ოპოზიციურ ძალასთან. ახალი კოალიციის რიგებში ლოზუნგით „შარიათული მომავლისთვის“ გაერთიანდნენ ყველაზე ბრძოლისუნარიანი და მრავალრიცხოვანი ქვედანაყოფები. მათთან დაიწყეს მუშაობა უცხოელმა ინსტრუქტორებმა, ფულსა და იარაღს იღებდნენ უცხოეთიდან, ამ დაჯგუფებას დასახმარებლად უამრავი დაქირავებული და ფანატიკოსი მიაწყდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან. „ისლამურ ფრონტში“ გაერთიანდა სირიის არმიის პროფესიონალი სამხედროების დიდი ნაწილი — ყოფილი ოფიცრები.

ორგანიზებულობამ, მართვის სისტემების დარეგულირებამ, სამხედრო დისციპლინის განმტკიცებამ, მაღალმა ხელფასმა ისლამისტები აქცია მნიშვნელოვან და პოპულარულ ძალად, რომელსაც აღმოაჩნდა უნარი, დაემარცხებინა სამთავრობო ჯარები და დაეკავებინა სირიის დიდი ტერიტორია.

როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა თავიანთ თავს „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს” (ელის) მებრძოლები უწოდეს და სირიისკენ დაიძრნენ, „ჯებჰათ ან-ნუსრამ”, რომელიც „ალ-ქაიდას“ ფილიალად აღიარეს, მათთან „ძმურად“ მოილაპარაკა, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთში დაპყრობილ ტერიტორიებს არ შეხებოდნენ, მაგრამ „ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ“ ეს თხოვნა არ გაითვალისწინა და „ჯებჰათ ან-ნუსრა“ რაკას, დეირ ეზ-ზორის, ჰომსისა და ჰორანის რაიონებიდან გააძევა. ამით “ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკავა ხმელთაშუაზღვაზე გასასვლელი პოზიციები, რომლებიც ნავთობის კონტრაბანდასა და თურქეთზე შესატევად სჭირდება.

რაც მთავარია, ელისმა უზრუნველყო მონაპოვარის უსაფრთხოება შუამდინარეთში — ტიგროსსა და ევფრატს შორის. მას შემდეგ ელისმა და „ჯებჰათ ან-ნუსრამ“ რამდენიმე ბრძოლა გამართეს ერთმანეთისა და სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ. გამოდის, რომ პროექტებს — „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“, „ან-ნუსრას“ და „ისლამურ ფრონტს“ სხვადასხვა ძალა უჭერს მხარს. ხომ **ნათელია, რომ „ისლამური სახელმწიფო“ დიდი უცხოური ინვესტიციებისა და საორგანიზაციო მხარდაჭერის გარეშე ვერ გაჩნდებოდა? აქედან გამომდინარე სირიაში კონფლიქტის მოგვარება, ანუ „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ჯებჰათ ან-ნუსრას“ ტერორისტების დამარცხება საგარეო ფაქტორებზეა დამოკიდებული, ანუ გლობალური ძალების განაწილებაზე.**

სირიის კონფლიქტში რუსეთის სამხედრო ძალების ჩართვამ სირიის სამთავრობო ძალებს შესაძლებლობა მისცა, ტერორისტებისგან გაეწმინდა ბევრი ტერიტორია. „ჯებჰათ ან-ნუსრა“ ერთ თვეში დაიქსაქსა და, როგორც ჩანს, დასავლეთის ეს პროექტი დასასრულს უახლოვდება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზიგმუნდ ფროიდს სჯეროდა, რომ სიზმრები ჩვენი ქვეცნობიერის ფანჯარაა და გამოხატავს ჩვენს ქვეცნობიერ სურვილებს, ფიქრებსა და მოტივაციებს. ფროიდის აზრით, სიზმრების საშუალებით ადამიანები იკმაყოფილებდნენ იმ სურვილებს, რომლებიც მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის.**

# ზოგი რამ სიზმრების შესახებ

**ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ სიზმრის ფენომენი. ძველ ებრაელებს სწამდათ, რომ სიზმრებს ღმერთი უგზავნიდათ, რათა ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა ისინი. ძველ და ახალ აღთქმაში ხშირად არის ნახსენები წინასწარმეტყველების, მოციქულებისა და წმინდანების სიზმრები. იოსებს სწორედ სიზმარში გამოეცხადა ანგელოზი და აუწყა, რომ მარიამი სულიწმიდისგან იყო ორსულად და რომ ბავშვისთვის იესო უნდა დაერქმიათ. ისლამის დამაარსებელმა მუჰამედმაც სიზმარში შეიტყო ანგელოზისგან, რომ ალაჰის მოციქული უნდა გამხდარიყო.**



ყოველ ღამით, დაძინებისას, ჩვენი ცნობიერება თითქოს რამდენიმე საათით ითიშება. ძილის დროს ვეღარ ვხედავთ, აღარ გვესმის, რა ხდება ჩვენ გარშემო. ძილისა და სიფხიზლის მდგომარეობა ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ადამიანი თითქოს ორ სამყაროში ცხოვრობს.

**სიზმარი ადამიანის ფსიქიკური ცხოველმოქმედების პროდუქტია, მის ახსნას კი ორმაგი მნიშვნელობა აქვს: უპირველესად, საშუალება გვეძლევა, გავიგოთ, რა აკავშირებს სიზმარს პიროვნების სულიერ მდგომარეობასთან, მის ბიოლოგიურ ფუნქციებთან; და მეორე — გავარკვიოთ, აქვს თუ არა სიზმარს, მის ყოველ ელემენტს თავისი მნიშვნელობა.**

ზოგიერთი მოაზროვნის თვალთახედვით, სიზმარი მომდინარეობს ფსიქიკური აღგზნებისგან, აგრეთვე, იმ სულიერი ძალებისგან, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ვერ პოულობს გამოხატულებას. პრაქტიკოსი ექიმები უმრავლესობა თვლის, რომ სიზმარს არავითარი ახსნა არ აქვს, ის ფიზიოლოგიური პროცესია, რომელსაც თავის ტვინის განსაზღვრული უჯრედებისა და სხვა ორგანოების გაღიზიანება-აგზნება განაპირობებს.

თუ სიზმარი შუალედური მდგომარეობაა ძილსა და სიფხიზლეს შორის, მაშ, უნდა გავარკვიოთ, რა არის ძილი. ეს ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური პრობლემაა, რომელზეც კამათი დაუსრულებლად შეიძლება.

ფროიდი ფიქრობს, რომ ძილს შეიძლება ფსიქოლოგიური დახასიათება მიეცეს.

ძილის ბიოლოგიური მიზანი დასვენებაა, ფიზიოლოგიური ნიშან-თვისება კი გარე სამყაროსადმი ინტერესის დაკარგვაა.

ჩვენი დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი, რომელშიც ასე უხალისოდ ვბრუნდებით, ალბათ, ისეთი რამის მქონეა, რომლის განუწყვეტლივ გადატანა არ შეგვიძლია, ამიტომ დროდადრო ვუბრუნდებით მდგომარეობას, რომელშიც ვიყავით ამქვეყნად მოვლინებამდე, ვიქმნით მუცლადყოფნის პერიოდის ანალოგიურ პირობებს: თბილა, ბნელა, არაფერი გვაღიზიანებს... ზოგიერთი ძილში ზოგიერთი სწორედ ისეთ პოზას იღებს, როგორსაც ემბრიონი — დედის მუცელში. დილით ყოველი გაღვიძება თითქოს ხელახლა დაბადებას ჰგავს.

**თუ ძილს ასეთნაირად გავიგებთ, ალმოჩნდება, რომ სიზმრებს აქ საერთოდ არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ძილში არ უნდა იყოს არავითარი სულიერი ცხოვრება და, თუ ის არის, მაშინ სრული სიმშვიდის მდგომარეობას ვერ ვაღწევთ.**

სულიერი ქმედებისგან ნარჩენებისგან სრული გათავისუფლება შეუძლებელია. სიზმრები ძილისთვის ხელის შემშლელი სულიერი ცხოვრების ნარჩენებს წარმოადგენს. სიზმარი არის ფსიქიკის რეაგირება ძილში მოქმედ გამღიზიანებლებზე.

მთავარი, რაც ყველა სიზმარს აერთიანებს, არის ის, რომ ამ დროს გვძინავს. ეს სულიერი ცხოვრებაა, რომელიც რაღაცით ჰგავს სიფხიზლის მდგომარეობას, თუმცა განსხვავდება მისგან. ეს განმარტება არისტოტელესგან მომდინარეობს.

**სიზმარს** ხედავს ყველა, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებსაც ექსტრემული ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ.

**სიზმარს** უსინათლონიც ხედავენ. ადამიანები, რომლებიც დაბადების შემდგომ დაკარგეს მხედველობა, ხედავენ ჩვეულებრივ სიზმრებს. ის ადამიანები კი, რომლებიც უსიანთლონი დაიბადნენ, სიზმრებში ვერ ხედავენ გამოსახულებებს, თუმცა მათ სიზმრებში მძაფრად იგრძნობა შეხება, ხმა, სურნელი და სხვა ემოციები.

**სიზმრებში** ვხედავთ მხოლოდ იმ ადამიანების სახეებს, რომლებიც ერთხელ მაინც გვინახავს ცხოვრებაში. ჩვენი გონება არ ქმნის სახეებს. სიზმრებში ხშირად შეიძლება შევხვდეთ ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობთ რეალურ ცხოვრებაში, თუმცა ეს სახეები არ არის ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი. ეს იმ ადამიანთა სახეებია, რომლებსაც ოდესღაც შევხვედრივართ. შესაძლოა, მკვლელი შენს კოშმარში იყოს ადამიანი, რომელიც ბენზინგასამართ სადგურზე გყავს ნანახი რამდენიმე წლის წინათ. ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, მაგრამ, თუ დავფიქრდებით, რამდენ ადამიანს შევხვედრივართ ცხოვრებაში, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი სიზმრის სიუჟეტისთვის მრავალი მოქმედი პირი გვყავს, რომლებსაც ჩვენი ტვინი დროდადრო აცოცხლებს.

**ქალებისა და მამაკაცების სიზმრები განსხვავდება. მამაკაცის სიზმარში პერსონაჟთა 70% მამაკაცია, ქალის სიზმრებში კი ერთნაირი რაოდენობითაა ქალიც და მამაკაციც.**

**თითოეული ადამიანის დახასიათება შეიძლება მისი სიზმრების მიხედვით და ეს საკმაოდ ზუსტი დახასიათება იქნება. მელანქოლიკის სიზმრები ჩვეულებრივ განსხვავებულია ქოლერიკის ან სანგვინიკის სიზმრებისგან; ოპტიმისტის სიზმარი ღია ფერებითაა ნახატი, პესიმისტისა — ბნელით. ადამიანი სიზმარში ახდენს რეალიზაციას იმ შესაძლებლობებისა, რომლებსაც რეალობაში ვერ ან არ იყენებს. სიზმრის სპეციფიკაც სწორედ ისაა აგებული, რომ ამ ძალების რეალიზაციას ხელი შეუწყოს**

თუ გაღვიძებისთანავე არ ჩავიწერთ სიზმრებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვახსოვს, რამდენიმე წუთში ისინი სამუდამოდ ქრება ჩვენი გონებიდან. ამ ფაქტის ასახსნელად ყველაზე ცნობილი თეორია ფროიდს ეკუთვნის. **ფროიდის რეპრესიის თეორიის მიხედვით, ყველა ჩვენი სიზმარი ჩვენს სურვილებს უკავშირდება; შესაბამისად, ჩვენი ტვინი ბლოკავს იმ სურვილებს, რომლებთან გამკლავებაც ემოციურად არ შეუძლია. მისი აზრით, ჩვენს ტვინს არ სურს, შეინახოს ზედმეტად ტრავმული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციის უმეტესობა სექსუალური ხასიათისაა.**

ადამიანების დაახლოებით 12% შავ-თეთრ სიზმრებს ხედავს. ასევე, სხვადასხვა ადამიანის სიზმრებს, შესაძლოა, საერთო შინაარსი ჰქონდეს. ხშირად გვესიზმრება, თითქოს მოგვდევენ, თითქოს მივრბივართ ძალიან ნელა ან ვეცემით, გვაგვიანდება, დავფრინავთ, გამოცდაში ვიჭრებით; ვხედავთ სექსუალური შინაარსის სიზმრებს, ადამიანების სიკვდილს ან ვესაუბრებით გარდაცვლილ ადამიანებს. კოშმარის გავლენა იმ ადამიანებზე უფრო მაღალია, რომლებიც ფერად სიზმრებს ხედავენ.

**სიზმრების შინაარსი რეალურ ცხოვრებას არ შეესაბამება. სიზმარი პირდაპირ არ უნდა გვესმოდეს, სიზმარი სიმბოლურია და მისი საშუალებით ქვეცნობიერი ცდილობს რაღაც ემოციის გამოხატვას. სიზმარი თითქმის ყოველთვის ალეგორიულია და მისი გამომწვევი რომელიმე საკითხი ან ადამიანია, რომელიც იმ მომენტში გვაღელვებს.**

18-დან 38%-მდე ადამიანები წინასწარმეტყველურ სიზმრებს ხედავენ, ნახულობენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც, შესაძლოა, მომავალში მოხდეს. 70%-ს გამოცდილი აქვს დეჟავუ, ხოლო 63%-დან 98%-მდე ადამიანებს სჯერათ წინასწარმეტყველური სიზმრების.

ანალიტიკოსებმა დაადგინეს, რომ ქალებს, მათი მოჭარბებული ემოციურობის გამო, ხშირად ესიზმრებათ კოშმარები. ასევე დადგენილია, რომ მთვარეულები ყველაზე მეტად იტანჯებიან საშინელი სიზმრებით.

**ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ფერად სიზმრებს მხოლოდ შერყეული ფსიქიკის ადამიანი ხედავს. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ შიზოფრენიით დაავადებულნი 20-ჯერ უფრო მეტჯერ ხედავენ ფერად სიზმრებს, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანები.**

მაგრამ, თუ ზოგჯერ ფერად სიზმრებს ხედავთ, ნუ ჩათვლით, რომ ეს რაიმე აშლილობის შედეგია. კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც მხარს უჭერს თანამედროვე ფსიქოლოგების უმრავლესობა, არის ის, რომ სიზმრების გაფერადების ინტენსივობა პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ემოციურ მდგომარეობას. ასე რომ, ადამიანის სიზმარი ცისარტყელას ყველა ფერებით იქნება შეფერადებული, თუ მთელი დღის განმავლობაში ძალიან დიდი ემოციური დატვირთვა და სტრესი მიიღო.

რაც მეტად დატვირთულია ადამიანი და ბევრი საზრუნავი და სანერვიულო აქვს, მით რთულ და მრავალფეროვან სურათებს ხედავს სიზმარში. მეორე მხრივ კი, თუ ადამიანი ისე დაიღალა, რომ მისი შესაძლებლობები ამოიწურა, მისი სიზმრები ძალიან ბუნდოვანი იქნება.

ამერიკელი მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ფერად და მრავალფეროვან სიზმრებს ყველაზე მეტად ინტელექტუალურად განვითარებული ადამიანები ხედავენ. მათმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფერად სიზმრებს მოსახლეობის 20% ხედავს. ამავე დროს ფერადი სიზმრები უფრო სასიამოვნოა, ვიდრე შავ-თეთრი, ამიტომ ფერადი სიზმრები იშვიათად გვეჩვენება საშინლად.

**ადამიანს თუ 17 საათის განმავლობაში არ დაუძინია, მისი შრომისუნარიანობა ისე ეცემა, როგორც ადამიანისა, რომლის სისხლში 0,05% ალკოჰოლია.**

ძილის ბუნებაში ბოლომდე წვდომა შეუძლებელია, თუ სიზმრის სტრუქტურა, დინამიკა და ხასიათი მხედველობის გარეშე იქნება დატოვებული.

თანამედროვე ფსიქოლოგები ძილსა და სიზმარს საკმაოდ სერიოზულად განიხილავენ და ათასნაირი მოსაზრებაც აქვთ ამ საკითხებზე.

ძილის მხოლოდ ფიზიოლოგიური კუთხით შესწავლას ფსიქოლოგები არასრულად და არასაკმარისად თვლიან. ძილს, სიზმარს, რასაკვირველია, თავიანთი ფიზიოლოგია აქვს, მაგრამ, როგორც სიცოცხლის პოლუსს, ორივეს თავისი ფსიქოლოგიაც უნდა ჰქონდეს. **როგორც სიფხიზლე წარმოადგენს ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის მთლიანობას, ძილიც ასევე ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის მთლიანობაა. არც ძილის შესწავლა იქნებოდა სრული ფსიქოლოგიური თვალსაზრისის გათვალისწინების გარეშე. ძილიც ფსიქოლოგიურ პრობლემად უნდა ჩაითვალოს. ამის უტყუარ საბუთს კი ძველი და ახალი არაფსიქოლოგიური თეორიების განხილვაც იძლევა.**

ფიზიოლოგიური თეორიების მიხედვით, ძილი ნერვული სისტემის აგზნებადობის დაქვეითების შედეგს წარმოადგენს, მაგრამ ფიზიოლოგებს ხელიდან უსხლტებათ სიზმრის მომენტი, რომელიც ფსიქოლოგთათვის ყველაზე დიდი არგუმენტია.

**ძილი გარე სინამდვილესთან კავშირის, მასთან აქტიური ურთიერთობის აღკვეთას წარმოადგენს. ფსიქოლოგიურად ეს სუბიექტის ტენდენციათა და გარე სინამდვილეს შორის დაძაბულობის დასუსტებასა და მოსპობას ნიშნავს. სინამდვილე სრულიად ნეიტრალური და ინდიფერენტული ხდება სუბიექტისთვის, ამიტომ სუბიექტის შინაგან ძალთა, მის ფუნქციათა და გარე სინამდვილის ობიექტთა ერთიანობა ისპობა და შინაგანი თავის გარეგანს გარე სინამდვილეში არც ეძებს და არც პოულობს.**

უდავოა, რომ დაღლილობა ერთ-ერთი მიზეზია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დაძინების მიზეზი ყოველთვის დაღლილობა არ არის. სამყაროში ძილის დროდ ღამე ითვლება. როცა ცხოველი იძინებს, იგი უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს თავს. როცა მას ღამით სძინავს, იცის, რომ მისი მტერიც იმავე მდგომარეობაშია.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ძილის დროს სხეული პარალიზებულია და არ შეუძლია, სიზმარში ნანახის განხორციელება. **ძილის დროს გამომუშავდება ჰორმონი, რომელიც ზურგის ტვინს სიგნალებს აწვდის, სხეული დუნდება და ბოლოს პარალიზდება. ძილში მოძრაობა ტვინის იმ მექანიზმის საშუალებით ხდება, რომელიც სიზმრების გა-** ▶

# ყოველი ჩვენგანი ღამით საშუალოდ 5 სიზმარს ხედავს, მაგრამ ამახსოვრდება მხოლოდ ის სიზმარი, რომლის მიმდინარეობისას ელვიძება. სიზმრებს ადამიანი, ძირითადად, ხანმოკლე ძილის დროს ხედავს. თუ ადამიანს ამ დროს გავაღვიძებთ, იგი კარგად მოგიყვებათ სიზმარს, რადგან ამ დროს ტვინი ძილის უკანასკნელ ფაზაში იმყოფებოდა.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოგწვევია. მეცნიერებისთვის სიზმრის ფენომენი ბოლომდე ამოხსნილი არ არის, თუმცა არსებობს რამდენიმე საინტერესო ფაქტი.**

ძილისა და სიზმრის შესახებ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით **ზიგმუნდ ფროიდს.** მას XX საუკუნის ფსიქოლოგთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი მონოგრაფია „სიზმრის ახსნა“ 1900 წელს გამოიცა.

ეს არის ფროიდის უმთავრესი ნაშრომი ფსიქოანალიზის დარგში, მასში ჩამოყალიბებულია მოძღვრება არაცნობიერის შესახებ. მას შემდეგ არც ერთ ნაშრომს არ მოუხდენია ამხელა გავლენა ფსიქოლოგიაზე. მასში მოცემულია ნევროზის კვლევისა და მკურნალობის მეთოდი, სიზმრის ფარული შინაარსის განმარტება და სხვ.

ფროიდამდე ადამიანის ქცევის მარეგულირებლად ცნობიერება მიიჩნეოდა, **ფროიდმა კი აღმოაჩინა, რომ ცნობიერების მიღმა დამალულია სხვა, პიროვნებისთვის გაუცნობიერებელი მისწრაფებანი და სურვილები, რომლებიც ხშირად განაპირობებს ადამიანის ქცევას. ფროიდს მიაჩნდა, რომ ძილის დროს გამორთულია ცნობიერების ნებითი კონტროლი, ამიტომ სიზმრები საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ ადამიანის გაუცნობიერებელი ფსიქიკური გამოვლინებანი. კერძოდ, სიზმრებში ვლინდება ფსიქიკური ნევროზული დარღვევები, სიზმრის შინაარსი კი შეესაბამება ადამიანის გაუცნობიერებელ სურვილებს, მისწრაფებებსა და მოტივებს.**

ზიგმუნდ ფროიდს სჯეროდა, რომ სიზმრები ჩვენი ქვეცნობიერის ფანჯარაა და გამოხატავს ჩვენს ქვეცნობიერ სურვილებს, ფიქრებსა და მოტივაციებს. **ფროიდის აზრით, სიზმრების საშუალებით ადამიანები იკმაყოფილებდნენ იმ სურვილებს, რომლებიც მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის.**

თანამედროვე მკვლევერთა აზრით, სიზმარში ამა თუ იმ ხარისხით ჩვენი ყველა ფსიქიკური ფუნქცია იღებს მონაწილეობას.

სიზმრის ემოციური შინაარსი ორგანიზმზე ახდენს გავლენას. მაგალითად, როცა ადამიანი ღრმა მწუხარებას ხედავს, არა მხოლოდ გულისცემა და მიმიკა ეცვლებათ, არამედ ხშირად ამას ემატება კვნესაც და ცრემლებიც. ძილში ჩვენი ფანტაზია წარმოსახულ „რეალურ“ სინამდვილეს ქმნის, სადაც ჩვენი „მე“ მოქმედ სუბიექტადაა წარმოდგენილი და მის განცდებს რეალური „მე“-ც განიცდის.

ფროიდი სიზმრის ბუნებაზე წერდა, რომ ადამიანი მრავალი ტენდენციის მქონე, მაგრამ არის ტენდენციები და სურვილები, რომლებსაც ცნობიერი უგულებელყოფს და დევნის. ეს აზრები და სურვილები მაინც პოულობს განსხეულების საშუალებას. ამისათვის, საუკეთესო დრო ძილია, როცა ცენზურა, ანუ ცნობიერი აქტივობა შესუსტებულია.

**თითოეული ადამიანის დახასიათება შეიძლება მისი სიზმრების მიხედვით და ეს საკმაოდ ზუსტი დახასიათება იქნება. მელანქოლიკის სიზმრები ჩვეულებრივ განსხვავებულია ქოლერიკის ან სანგვინიკის სიზმრებისგან; ოპტიმისტის სიზმარი ღია ფერებითაა ნახატი, პესიმისტისა — ბნელით. ადამიანი სიზმარში ახდენს რეალიზაციას იმ შესაძლებლობებისა, რომლებსაც რეალობაში ვერ ან არ იყენებს. სიზმრის სპეციფიკაც სწორედ ისეა აგებული, რომ ამ ძალების რეალიზაციას ხელი შეუწყოს.**

ამბობენ, რომ ყოველი ჩვენგანი ღამით საშუალოდ 5 სიზმარს ხედავს, მაგრამ ამახსოვრდება მხოლოდ ის სიზმარი, რომლის მიმდინარეობისას ელვიძება. სიზმრებს ადამიანი, ძირითადად, ხანმოკლე ძილის დროს ხედავს. თუ ადამიანს ამ დროს გავაღვიძებთ, იგი კარგად მოგიყვებათ სიზმარს, რადგან ამ დროს ტვინი ძილის უკანასკნელ ფაზაში იმყოფებოდა.

არაერთ გამოჩენილ ადამიანს — ფილოსოფოსს, მეცნიერსა თუ კომპოზიტორს შთაგონების წყარო სწორედ სიზმრიდან მიუღია. მათ შორისაა ცნობილი რუსი მეცნიერი **დიმიტრი მენდელეევი.** ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა მან სიზმარში ნახა. მანამდე დიდხანს ცდილობდა, ქიმიური ელემენტები მოწესრიგებული სისტემის სახით ჩამოეყალიბებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ბოლოს, მრავალი უძილო ღამის შემდეგ, დაიძინა და... ნათლად დაინახა თავისი ცხრილი.

XX საუკუნის 40-იან წლებში იყო მცდელობა, რომ შეეგროვებინათ სიზმრები, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენას წინასწარმეტყველებდა. ამისთვის ნიუ იორკში სპეციალური ბიუროც კი გაიხსნა. ყოველდღიურად იწერდნენ ასობით სიზმარს, რომლებიც ადამიანებს მომავალ კატასტროფებსა და ხელისუფლებების ცვლილებას აუწყებდა. **60-წლიანი მუშაობის შემდეგ ჩაატარეს სტატისტიკური ანალიზი, რომლის შედეგად გაირკვა, რომ გლობალური ცვლილებების მომასწავებელი წინასწარმეტყველური სიზმრები არც თუ ისე ბევრი იყო — დაახლოებით 10 სიზმარი, თუმცა ბიუროში რეგისტრირებული სიზმრები, რომლებიც ადამიანთა პირად ცხოვრებას ეხებოდა, ხშირად მართლდებოდა.**

სიზმრის სამყარო მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეცნობიერთან. მაგალითად, თუ გონებით, ლოგიკური აზროვნებით გვიჭირს რაიმე რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, ჩვენმა ქვეცნობიერმა იცის გამოსავლის საუკეთესო გზა. **პასუხს სიზმრიდან მივიღებთ, თუ დღის განმავლობაში ჩვენს ქვეცნობიერს ამას ვთხოვთ. გონებას შეიძლება არარეალურადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ გაღვიძებულს პასუხი გვეცოდინება.**

სიზმრებზე საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაცნობიერებული სიზმრის ფენომენიც. გაცნობიერებულ, ანუ ლუციდურ



**არაერთ გამოჩენილ ადამიანს — ფილოსოფოსს, მეცნიერსა თუ კომპოზიტორს შთაგონების წყარო სწორედ სიზმრიდან მიუღია. მათ შორისაა ცნობილი რუსი მეცნიერი დიმიტრი მენდელეევი. ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა მან სიზმარში ნახა. მანამდე დიდხანს ცდილობდა, ქიმიური ელემენტები მოწესრიგებული სისტემის სახით ჩამოეყალიბებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ბოლოს, მრავალი უძილო ღამის შემდეგ, დაიძინა და... ნათლად დაინახა თავისი ცხრილი**



სიზმარში მოხვედრილი ადამიანი გაოგნებულია, რადგან აღქმა, შეგრძნებები და გარე სამყარო ხშირად იდენტურია ფიზიკური სამყაროსი.

ეს არის სამყაროს მანამდე უცნობი ნაწილის შეცნობის საშუალება. გაცნობიერებულ სიზმარში მოხვედრილი ადამიანი ხვდება, რომ სიზმარი სულაც არ არის ის უმნიშვნელო ფენომენი, რომელსაც ბავშვობიდან აგონებდნენ.

**არსებობს გაცნობიერებულ სიზმარში მოხვედრის მარტივი ტექნიკა. დღის განმავლობაში რაც შეიძლება ხშირად უნდა გააცნობიეროთ თქვენი თავი და კარგად დააკვირდეთ გარემოს, ჰკითხოთ საკუთარ თავს, სიზმარში ხომ არ ხართ, რამე უცნაური ხომ არ ხდება ირგვლივ, რაც მიგახვედრებთ, რომ სიზმარში მოხვდით. რამდენიმე დღის პრაქტიკის შემდეგ, ავტომატურად სიზმარშიც იმავეს გააკეთებთ და სწორედ მაშინ გაიღვიძებს ლოგიკური აზროვნება, გაცნობიერებულობა.** კარგი იქნება, თუ მოიფიქრებთ ისეთ რამეს, რაც ხშირად გაგახსენებთ, რომ უნდა შეამოწმოთ, რომელ რეალობაში იმყოფებით. შეგიძლიათ, ხელზე გაიკეთოთ ნიშანი ან დაწეროთ ქაღალდზე სიტყვა „სიზმარი“ და ჩამოკიდოთ ისეთ ადგილას, დღის განმავლობაში ხშირად რომ დაინახოთ. ეს სიზმრის გაცნობიერებას ძლიერ შეუწყობს ხელს.

**გაცნობიერებულ სიზმარში შესვლის საუკეთესო დროა დილის პერიოდი. ღამით, ძილის პირველ ნახევარში, სხეულს დასვენება სჭირდება და მისი მთელი ენერგია ამაზე იხარჯება. დაახლოებით დილის 5-6 საათზე ადამიანმა უნდა გაიღვიძოს და იმ განზრახვით, რომ შევა გაცნობიერებულ სიზმარში, ისევ დაიძინოს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია ლუციდური სიზმრისთვის, რადგან ამ დროს ცნობიერება ძილღვიძილის ზღვარზეა და ადვილად შეუძლია, სიზმარში ლოგიკური აზროვნება დაიბრუნოს.**

თუმცა ეს მხოლოდ თეორიაა და თეორიადვე დარჩება მანამ, სანამ თვითონ არ დაიწყებთ სიზმარზე დაკვირვებას. **დაიწყეთ სიზმრების ჩაწერა და ნახავთ, თუ რამდენი წინასწარმეტყველური ინფორმაცია მოგივათ, რომლებსაც რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკული თვალსაზრისითაც გამოიყენებთ. დაიწყეთ გაცნობიერებული სიზმრის პრაქტიკა, როგორც ჰობი და დარწმუნდებით, თუ რაოდენ ფართო და ღრმაა ის სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, და რომ ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რეალობით.**

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 5%-ს ტანჯავს სხვადასხვა მიზეზით განპირობებული ღამის კოშმარები, რომლებიც მათ მოსვენებას გაღვიძების შემდეგაც არ აძლევს — ადამიანი მთელი დღის განმავლობაში ღამით ნანახის უსიამოვნო გავლენისა და ტყვეობის ქვეშ რჩება.

ზოგი მეცნიერი კოშმარულ სიზმრებს ძილის დროს თავის ტვინის აქტივობათა შემთხვევით ცვლილებას მიაწერს; მეორენი ასეთი სახის სიზმრებს გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მათ დათრგუნული შიშებისა და სურვილების სიმბოლურ გამოსახულებად მიიჩნევენ; მესამენი ამტკიცებენ, რომ თითოეული მათგანი საშუალებას აძლევს ტვინს, გაიხსენოს რეაქცია უკვე მომხდარ საგანგაშო და ამაღელვებელ სიტუაციაზე. არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ ისინი შემთხვევითი ხასიათის არიან და არავითარი ღრმა ფესვები არ გააჩნიათ.

რატომ ესიზმრება კოშმარები მოსახლეობის მცირე ნაწილს და არა ყველას, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუმცა მეცნიერები ფიქრობენ, რომ კოშმარები ყველას ესიზმრება, უბრალოდ, ყველა ვერ იმახსოვრებს მათ.

**უმეტეს შემთხვევაში კოშმარული სიზმრები არ წარმოადგენს ფსიქიკურ დარღვევებს, ამიტომ მათთან ბრძოლა შიშველი ხელითაც შეიძლება. საკმარისია, შთააგონოთ თავს, რომ ყველაფერი რიგზეა და ეს მხოლოდ ცუდი სიზმარია, რომელიც გაღვიძებისთანავე უკვალოდ გაქრება.** უნდა შეეცადოთ, გამოღვიძებისთანავე რამენაირად შეცვალოთ ნანახის სცენარი. ამისთვის კარგად გაიხსენეთ სიზმარი, მისი შინაარსი და შეეცადეთ, გონებაში ფინალი თქვენთვის მისაღები სიუჟეტით შეცვალოთ, შემდეგ შეცვლილი სცენარი რამდენიმეჯერ გაიმეორეთ. ამას ყველაფერს დაიმახსოვრებს ტვინის შესაბამისი სტრუქტურები და გაიხსენებს ძილის დროს, რაც აუცილებლად აისახება სიზმრის შინაარსზე.

**ღამის კოშმარები ყველაზე ხშირად გადაუჭრელი ემოციური კონფლიქტების გამოძახილია, ამიტომ აუცილებელია, მათ შესახებ ახლობლებს ესაუბროთ.** არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღამის კოშმარების გამშვები მექანიზმი შიშებია, რომელთაც მრავლობითი სახის მოლოდინი ახლავს. მაგალითად, როდესაც ადამიანი მიდის ჩაბნელებულ ქუჩაში, აქვს შეიარაღებული თავდამსხმელის შიში, მაგრამ ამისთვის რეალურად საჭიროა თავდამსხმელი. დაძინების შემდეგ ეს განცდები ისე ფორმირდება, რომ ძილში თავდამსხმელი თვითონვე ჩნდება და იწყება ის, რისიც ყველაზე მეტად გვეშინია: ვხედავთ ყველაზე საშინელ სიუჟეტს, რომლის წარმოდგენაც კი ჩვენს ფანტაზიას შეუძლია.

**საკმარისია, შევწყვიტოთ ფიქრი მოსალოდნელ საფრთხეზე, რომ კოშმარებიც გაქრება. კოშმარულ სიზმრებს ერთი დადებითი თვისებაც აქვს: ისინი ერთგვარად ეხმარება ტვინს იმ საგანგაშო და ამაღელვებელი მოვლენების გადატანაში, რომლებსაც შესაძლოა ადამიანი მომავალში გადაეყაროს.** ისინი ექსტრემული სიტუაციების რეპეტიციას წარმოადგენს, მოსალოდნელი საფრთხის ძილში გაცნობის შემდეგ კი ადამიანი უკეთესად უმკლავდება მას რეალურ ცხოვრებაში.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



არგენტინელი ფეხბურთელის — დიეგო მარადონას ფანებმა 1998 წელს შექმნეს მისი რელიგია და მას ამჟამად მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს სამოც ქვეყანაში. მათთვის წელიწადის ათვლა არა ქრისტეს შობიდან, არამედ მარადონას დაბადების დღიდან, 1960 წლიდან, იწყება.



# მსოფლიოს ინოვაციური სკოლები

**რამდენადაც განათლებულია ერი, იმდენად წარმატებულია ქვეყანა. განათლებული ხალხები ქმნიან ძლიერ ინსტიტუტებს, რომლებზეც შემდეგ ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო ფუძნდება. სკოლა განათლების ერთ-ერთი მთავარი კერაა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სკოლები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საუკეთესო მაგალითია.**

### მაკოკოს მოტივტივე სკოლა

სკოლა ნიგერიის ქალაქ ლაოსში მდებარეობს და პირდაპირ მდინარეზეა აშენებული. სამსართულიანი, სამკუთხედის ფორმის სკოლა 100 მოსწავლეზეა გათვლილი. სკოლა გაეროსა და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით აშენდა. მოტივტივე სკოლაში მოსწავლეებს ასწავლიან მომავლის შენობების პროექტზე მუშაობასაც.

### კუბის ფორმის სკოლა, დანია

სკოლა შუშის შენობაშია განთავსებული. 1000-ზე მეტ მოსწავლეს გაკვეთილები, ძირითადად, კუბებში უტარდებათ, სადაც ისინი პუფებზე არიან წამოწოლილნი და თავისუფლად მუშაობის საშუალება აქვთ.

„გვინდა, ჩვენს მოსწავლეებს ისეთი პირობები შევუქმნათ, რომ თავისუფალ გარემოში შეძლონ კვლევების ჩატარება და რეალური პრობლემების მოგვარება, ამიტომ ვართ გამჭვირვალე შენობაში, საიდანაც დანარჩენ მსოფლიოს ვეკონტაქტებით“, — აღნიშნა სკოლის ხელმძღვანელმა ალან ანდერსენმა.

### „სილიკონის ველის“ სკოლა, სან-ფრანცისკო

„ალტსქულში“ ტრადიციული სწავლებისგან რადიკალურად განსხვავებული მოდელი აქვთ — „სილიკონის ველის“ სკოლაში ბავშვებს ასწავლონ, როგორ გარდაქმნან ყოველდღიური მოხმარებისთვის საჭირო ნივთები და 3D გაფართოების სათამაშო სახლები დაამზადონ. გარდა ამისა, მოსწავლეებს სხვა ტექნოლოგიურ სიახლეებსაც აცნობენ. სკოლაში 4-დან 14 წლამდე ბავშვები მიიღებიან.

### სტივ ჯობსის სახელობის სკოლა, ამსტერდამი

ნაცვლად იმისა, რომ ბავშვებს ერთი საგანმანათლებლო სისტემა მოახვიონ თავს, აქ თითოეულ ბავშვს შეუძლია, ინდივიდუალურად იმუშაოს საკუთარ პროექტებზე. სკოლის დამფუძნებლის განცხადებით, თითოეულ მოსწავლე სწავლას ინდივიდუალური განვითარების გეგმით იწყებს, რომელსაც ყოველ ექვს კვირაში თავად მოსწავლე ან მისი მშობლები და მწვრთნელი აფასებენ და ამუშავებენ. სკოლაში მასწავლებლებს მწვრთნელებს ეძახიან. სკოლის მიზანია, რომ ბავშვი საკუთარ განათლებაზე იყოს ორიენტირებული.

### ბრაითუორკის სკოლა, სან-ფრანცისკო

სკოლაში ბავშვები მთელი დღის განმავლობაში სალებავებით მუშაობენ და ისვრებიან, ასევე თამაშობენ ცეცხლთან, ასრულებენ სხვადასხვა პროექტებს. სკოლის ხელმძღვანელთა განცხადებით, ეს ეხმარება ბავშვებს, ისწავლონ პრობლემებთან გამკლავება.

### კარპე დიემის სკოლა, ოჰაიო

სკოლა ოფისს უფრო ჰგავს, ვიდრე საკლასო ოთახს. ბავშვები ერთ დიდ ოთახში სხედან და ერთმანეთისგან მერხებს „კედლები“ გამოჰყოფს.

### „სამასქული“, სან-ფრანცისკო

აქ ნებისმიერი ასაკის მოსწავლეს იღებენ, რომელთაც განათლების მიღება და სამსახურის პოვნა სურთ. სკოლა ფოკუსირებულია მოსწავლეებში ციფრული უნარების განვითარებაზე, რაც აუცილებელია დღევანდელ ბაზარზე.



# ფერმერმა მიწის დამუშავებისას ესკობარის 600 მილიონი დოლარი იპოვა

**ოფიციალური მონაცემებით, წელიწადში კოკაინის ინდუსტრიას 85 მილიარდი დოლარის ბრუნვა აქვს. კოკაინის მწარმოებელთათვის ფულის შენახვა მძიმე თავსატეხია — ბანკში ვერ შეიტანენ, ამიტომ მათი გადამალვა უწევთ. კოკაინის ყველაზე წარმატებული მწარმოებელი პაბლო ესკობარი ფულს ავეჯში, იატაკქვეშ და სხვა ადგილებში ინახავდა.**



მან მილიარდობით დოლარი კოლუმბიის მიწებში ჩამარხა. 65 წლის კოლუმბიელმა ხოსე მარიენა კარტოლოსმა კოლუმბიის სახელმწიფოსგან 3000 დოლარის ოდენობის გრანტი მიიღო ზეთისხილის პლანტაციის გასაშენებლად. კარტოლოსი მიწის დამუშავებისას დიდ, ლურჯ კონტეინერებს წააწყდა, რომლებშიც 600 მილიონი დოლარი აღმოჩნდა ჩალაგებული. წინასწარი ცნობით, ნაპოვნი 600 მილიონი პაბლო ესკობარის 30 მილიარდიანი ქონების ნაწილი იყო.

ფულს კოლუმბიის სახელმწიფო გამოიყენებს სოციალური და ეკონომიკური პროგრამების განსახორციელებლად.

# ყველაზე უცნაური სამეცნიერო აღმოჩენები

### ბედნიერება მემკვიდრეობით გადადის

თუ თქვენი წინაპრები ბედნიერები იყვნენ, თქვენც იგივე ბედი გელით. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები, რომლებმაც გაეროს მიერ გამოქვეყნებული „მსოფლიო ბედნიერების ანგარიში“ შეისწავლეს. მათი განცხადებით, ბედნიერების საიდუმლო გენებშია.

### ხელის საშრობები ჯანმრთელობისთვის საშიშია

ბრიტანელმა მეცნიერებმა გააკრიტიკეს საშრობები საზოგადოებრივ ტუალეტებში. მათ უწოდეს ბაქტერიებისა და მიკრობების საბადო. ყველაზე საშიშად მიიჩნიეს ელექტროსაშრობები, რომლებშიც ხელის ჩაყოფაა საჭირო.



### ღვინო არაყზე საზიანოა

მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ერთი ჭიქა ღვინო უფრო მავნეა, ვიდრე სამი ჭიქა არაყი. ეს დასკვნა იმის მიუხედავად გაკეთდა, რომ ღვინოში 12% ალკოჰოლია, არაყში — 40%.

### კბილების რაოდენობა მატერიალური მდგომარეობითაა განპირობებული

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კბილების რაოდენობა სიბერეში მატერიალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. აღმოჩნდა, რომ ღარიბ ხალხს 70 წლისთვის საშუალოდ რვა კბილით ნაკლები აქვს, ვიდრე შეძლებულ ხალხს.

### ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს

ინგლისში მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს. მის მაგივრად განიცდება ეიფორია და წარმოსახვის აშლილობა.

# ყველაზე უჩვეულო რელიგიები

### ევთანაზიის ტაძარი

დედამიწის მოსახლეობის ზრდამ და მათში მორალური ღირებულებების კლებამ დაუდო საფუძველი ევთანაზიის რელიგიის შექმნას. ეს რელიგია მოუწოდებს თავის მრევლს: „გადაარჩინე პლანეტა, მოიკალი თავი“.

### რაიელიზმი

ეს კონფესია კლოდ ვორილჰონმა 1974 წელს დააარსა. რაიელიანებს სწამთ, რომ ადამიანები უცხოპლანეტელების მეშვეობით გაჩნდნენ.

ისინი ნაცისტურ ბორჯღალოს რელიგიურ სიმბოლოდ იყენებენ, რის გამოც დიდი პრობლემები შეექმნათ ისრაელში.

### „ქრისტეს სხეული“

კეროლ ბალიზეს მიერ დაარსებული რელიგიური კონფესია უარყოფს მეინსტრიმული საზოგადოების „შვიდ სისტემას“, მათ შორის განათლებას, სახელმწიფოს, ბანკებსა და რელიგიას, აგრეთვე, მეცნიერებას და გართობას. 2002 წელს „ქრისტეს სხეულის“ პასტორმა რობიდუმ და მისმა მეუღლემ საკუთარი შვილი აშიმშილეს. როგორც მოგვიანებით სასამართლოში განაცხადეს, ისინი ღმერთის ნიშანს ელოდებოდნენ, რომ ბავშვი დაეპურებინათ. ამ ფსევდოქრისტიანულ კულტს, აგრეთვე, წამს რწმენით განკურნება.

### იგლესია მარადონიანა

არგენტინელი ფეხბურთელის — დიეგო მარადონას ფანებმა 1998 წელს შექმნეს მისი რელიგია და მას ამჟამად მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს სამოც ქვეყანაში. მათთვის წელიწადის ათვლა არა ქრისტეს შობიდან, არამედ მარადონას დაბადების დღიდან, 1960 წლიდან, იწყება.





იგლესია მარადონიანა

### რასტაფარიანიზმი

რასტაფარიანელებს სწამთ, რომ ღმერთი ეთიოპიელი მეფე ჰაილე სილასაი იყო. ამ რელიგიური მოძრაობის მიზანია აფრიკის ღირსების აღდგენა მას შემდეგ, რაც ქვეყანას საკუთარი იდენტობა დააკარგვინა კოლონიალიზმმა. ისინი უარყოფენ მატერიალისტურ სამყაროს. რასტაფარიანელები გმობენ ალკოჰოლის მიღებას, სამაგიეროდ ეტანებიან მარიხუანას და ატარებენ დრედებს. ყველაზე ცნობილი რასტაფარიანელი მსოფლიოში გახლდათ იამაიკელი მომღერალი ბობ მარლი.

ოპერაცია, რომელიც გაუკეთდა 54 წლის ესპანელ პაციენტს, 12 საათს მიმდინარეობდა და ძვლოვანი ნეკნის გადანერგვით დასრულდა.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიმსივნის ვაქცინა



**მალარიის წინააღმდეგ ვაქცინის ძიებამ შემთხვევით უნიკალურ აღმოჩენამდე მიიყვანა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მეცნიერები. ისინი ფეხმძიმე ქალებზე მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინის ტესტს ატარებდნენ, მაგრამ შედეგად მიიღეს ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ერთ-ერთი პერსპექტიული გზა.**

ექსპერიმენტის ფარგლებში მკვლევარები იყენებდნენ მალარიის პარაზიტს, რომელიც პლაცენტას ეკვროდა. ლაბორატორიის პირობებში შეიქმნა ცილა, რომელსაც მალარიული პარაზიტი იყენებს პლაცენტაზე ჩასაჭიდებლად, შემდეგ კი მას ტოქსინი დაამატეს.

შემდეგად მიიღეს სიმსივნისთვის სასიკვდილო კომბინაცია. ტოქსინის დამატებამ ცილას სიმსივნურ უჯრედებთან მიზიდვა აიძულა. შესაბამისი შემადგენლობა უერთდებოდა სიმსივნეს, რომლის შემდეგაც ტოქსინი გამოიყოფოდა უჯრედის შიგნით და იწვევდა მათ სიკვდილს.

მიღებული ვაქცინა უკვე ათასობით სიმსივნურ წარმონაქმნზე შეამოწმეს. ექსპერიმენტების შედეგად აღმოჩნდა, რომ მალარიული ცილა 90%-ზე მეტი სახეობის სიმსივნურ წარმონაქმნს უტევს.

თაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გამოავლინა სიმსივნის შემცირება. ამასთან, ვაქცინის ადამიანებზე გამოცდა უახლოეს ოთხ წელიწადში უნდა მოხდეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი მეთოდი არ მუშაობს ფეხმძიმე ქალების შემთხვევაში.

# კიბოსგან განკურნების პირველი შემთხვევა



**კაცობრიობის ისტორიაში კიბო პირველად განიკურნა. გულმკერდის ძვლის კიბოთი დაავადებული ადამიანების გადარჩენა უკვე შესაძლებელია. ესპანელ პაციენტს, რომელსაც მეოთხე სტატიის სარკომა აღმოაჩნდა, ავსტრალიელმა ექიმებმა 3D პრინტერით დამზადებული ტიტანის ნეკნები ჩაუდგეს, შედეგად პაციენტი გადარჩა.**

გულმკერდის ძვლების კიბო ყველა ნეკნზე გადადის და ანადგურებს, ექიმები ყველანაირად ცდილობდნენ ამ სენით დაავადებული ადამიანების გადარჩენას, თუმცა სრულიად უშედეგოდ. დღეს კი უკვე შესაძლებელია ე.წ ტიტანის ნეკნების ჩადგმით ადამიანის ძვლოვანი სარკომისგან გადარჩენა.

ოპერაცია, რომელიც გაუკეთდა 54 წლის ესპანელ პაციენტს, 12 საათს მიმდინარეობდა და ძვლოვანი ნეკნის გადანერგვით დასრულდა. თუმცა, ყველა ადამიანის ორგანიზმი განსხვავებულია, ამიტომ შესაძლებელია, ყველას ერთი და იმავე ზომის ტიტანის ნეკნი არ სჭირდებოდეს, ამიტომაც ჯერ კარგად უნდა დარწმუნდნენ ექიმები, ნეკნი მოერგო თუ არა ორგანიზმს, წინააღმდეგ შემთხვევაში 3D პრინტერით ტიტანის ნეკნის ხელახალი დამზადება იქნება საჭირო.



# რესტორანი ბაობაბში

**სამხრეთ აფრიკაში გიგანტური ბაობაბ სანლენდის დიამეტრი 33 მეტრს აღწევს. ის მსოფლიოში უდიდეს ბაობაბად მიიჩნევა და რეგიონის ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობაა.**

ხე ისე დიდია, რომ მასში მთელი პაბი დაეტია და, აბა, ვის არ მოუნდება, ამ უზარმაზარი და უძველესი ხის ფუღუროში ფინჯანი ყავა ან კათხა ლუდი მიირთვას?!

ბაობაბი სანლენდი მასში რესტორნის გაკეთების მიზნით სპეციალურად არ „გამოუფატრავთ" — უზარმაზარი ფუღურო მრავალი წლის წინათ ბუნებრივად წარმოიქმნა.

პაბი აქ ჯერ კიდევ 1933 წელს არსებობდა, დღემდე წარმატებით მუშაობს და უამრავ ტურისტს იზიდავს.

**„ჭერის" სიმაღლე დაახლოებით 4 მეტრია, ფუღუროში კი 15-16 ადამიანი თავისუფლად ეტევა. უზარმაზარი ბაობაბი ვან ჰირდენოვის კუთვნილი ფერმის ტერიტორიაზე იზრდება. ოჯახი ხეს დიდი მონდომებით უვლის — მათი მიზანი პლანეტის ერთ-ერთი ძველი მცენარის მომავალი თაობისთვის შენარჩუნებაა.**

მეცნიერების აზრით, ბაობაბი სანლენდი 6 ათასი წლისაა და რამდენიმე ათას წელს კიდევ გაუძლებს.



# მეცნიერებმა სიბერე შეაჩერეს

**ჰარვარდისა და ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტების მკვლევართა ჯგუფმა საოცარი აღმოჩენის შესახებ განაცხადა. მეცნიერთა თქმით, მათ შეძლეს თაგვებში დაბერების პროცესის შეჩერება. როგორც მეცნიერებმა მოგვიანებით განმარტეს, ნატურალური პროტეინებისა და მოლეკულების მეშვეობით მათ შეძლეს, ასე ვთქვათ, გაეთიშათ ის გენები, რომლებიც დაბერების პროცესს უზრუნველყოფენ, და გაეაქტიურებინათ ახალგაზრდა გენები.**



ჯერჯერობით მსგავსი ექსპერიმენტები მხოლოდ ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა, თუმცა, მეცნიერთა თქმით, მათ უკვე დაიწყეს კლინიკური ცდების პირველი ეტაპის ჩატარება ადამიანებზეც. „ჩვენ აღმოვაჩინეთ გენები, რომლებიც აკონტროლებენ, როგორ ებრძვის სხეული დაბერების პროცესს და, თუკი სწორი აქტივირება მოხდება, მათ ძალიან ძლიერი ეფექტი აქვთ, მათ სიბერის პროცესის უკან შემობრუნებაც კი შეუძლიათ, ყოველი შემთხვევისთვის, თაგვებში მაინც", — განაცხადა პროფესორმა დევიდ სინკლერმა, რომელიც მეცნიერთა ჯგუფს ხელმძღვანელობს.

მეცნიერები იმედს გამოთქვამენ, რომ შეძლებენ NMN წამლის შექმნას, რომელიც შეაჩერებს ადამიანების უჯრედებში დაბერებას და წამოიწყებს გაახალგაზრდავების პროცესს.

# მსოფლიოს ყველაზე საშიში სასტუმროები

**მსოფლიოში არაერთი უცნაური სასტუმრო არსებობს. „ტელეგრაფმა" მათ ისტორიებზე დაყრდნობით მსოფლიოში ყველაზე შემზარავი სასტუმროების სია გამოაქვეყნა.**



პირველ ადგილს იკავებს ინგლისში, კერძოდ, სურეიში მდებარე სასტუმრო Oatlands Park Hotel-ი, რომელიც მე-19 საუკუნეში ააგეს. აღნიშნული სასტუმროს შენობა მე-16 საუკუნეში აშენებული სასახლის საძირკველზე ააშენეს, რომელიც მეფე ჰენრი მერვემ დედოფალს მიუძღვნა. როგორც სასტუმროს თანამშრომლები ამბობენ, შენობაში ცხოვრობს მოჩვენება ქალი, რომლისთვისაც არაერთხელ მოუკრავთ თვალი.

მეორე ადგილს იკავებს, ლატვიაში მდებარე სასტუმრო Karosta Prison Hostel, რომელიც ადრე ნაცისტებისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების ციხის შენობას წარმოადგენდა. აღნიშნულ შენობაში არაერთი პატიმარი დაღუპულა. შენობას ციხის ინტერიერი შენარჩუნებული აქვს. ხშირად ყვებიან პარანორმალურ მოვლენებზე, მაგალითად, როგორ იღება კარი თავისით.

ამბობენ, მოჩვენებებითაა სავსე იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში მდებარე სასტუმრო Burchianti-ც, რომელსაც ერთ დროს ბენიტო მუსოლინიც სტუმრობდა. სასტუმროს სტუმრები ამბობენ, რომ მათ ისეთი შეგრძნება აქვთ, თითქოს ვიღაც უთვალთვალებს.

სიდნეიში მდებარეობს სასტუმრო Russell Hotel-ი, რომლის მერვე ნომერში, როგორც ამბობენ, მეზღვაურის მოჩვენება ცხოვრობს. სასტუმროს თანამშრომლებს არაერთხელ გაუგონიათ აქ ნაბიჯების ხმა.

ყველაზე საშიში სასტუმროების სიაში შევიდა დანიაში მდებარე მე-12 საუკუნეში აშენებული Dragsholm Slot-ის სასტუმროც, სადაც არაერთხელ შეუნიშნავთ ორი ქალის მოჩვენება.

ლოს-ანჟელესში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში კი, რომელსაც მსახიობი მერლინ მონრო სტუმრობდა, მონროს ტანსაცმელში ჩაცმულ ქალს ხშირად ხედავენ.

მსგავსი სასტუმროები მსოფლიოში არაერთია და, მიუხედავად საშიში ისტორიებისა, მათ სტუმრები დღემდე არ აკლიათ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 1945 წლის 20 ნოემბერს დაიწყო ნიურნბერგის პროცესი.** ქალაქ ნიურნბერგში (გერმანია) ოთხი ქვეყნის (სსრკ, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) მიერ შექმნილი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარდგნენ ფაშისტური გერმანიის მთავარი სამხედრო დამნაშავეები.

ნიურნბერგის პროცესი დასრულდა 1946 წლის 1 ოქტომბერს.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1720 წლის 7 ნოემბერს თელავში დაიბადა ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში ერეკლე II,** რომელმაც ხელისუფლების ცენტრალიზაციისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. შეზღუდა თავნება თავადები; დაასახლა დამპყრობთა შემოსევების შედეგად აოხრებული რაიონები; გაატარა ბატონყმური ურთიერთობების რეფორმა; გამოსცა კანონი (1765 წ.), რომლითაც ტყვეობიდან თავისი სახსრებითა და ინიციატივით დაბრუნებულ გლეხს თავისუფლება ენიჭებოდა; შექმნა თავისუფალ მიწათმფლობელ-მოლაშქრეთა ფენა; ჩამოაყალიბა მორიგეობის პრიციპზე დაფუძნებული ჯარი; აკრძალა ყმათა უმამულოდ გაყიდვა და ტყვეთა ვაჭრობა. მისი მეფობის ხანაში გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები (შაქრის, მინის, სარკის, ბროლის, შალის, იარაღის, საპნის, თამბაქოს დამამზადებელი და ა.შ.); განვითარდა სამთამადნო წარმოება (სპილენძის, თუჯის, რკინის, ოქრო-ვერცხლის) ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობოდა განათლებას, იხსნებოდა სასულიერო სემინარიები და სკოლები. აღადგინეს სტამბა, რომელიც ვახტანგ მეექვსემ რუმინეთიდან ჩამოატანინა. დიდი ყურადღება ეთმობოდა ეკლესიის გაძლიერებას. თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკურ, კულტურულ და სავაჭრო ცენტრად იქცა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ერეკლე II სამეფო საბოლოოდ დაუკავშირდა რუსეთს. 1783 წელს გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი და რუსეთი ქართლ-კახეთის მფარველი შეიქნა. 1795 წელს სპარსეთის გამგებელი აღა-მაჰმად ხანი შემოესია და ერეკლე კრწანისის ველზე ბრძოლაში მტრის მრავალრიცხოვან ჯართან დამარცხდა. მაგრამ დანგრეული თბილისი ორიოდე წელში აღადგინა.

ერეკლე II გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.



*** 1963 წლის 22 ნოემბერს ქალაქ დალასში (ტეხასის შტატი, აშშ) მოკლეს აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი (1961-63) ჯონ ფიტცჯერალდ კენედი.**

დალასის ქუჩებში პრეზიდენტის კორტეჟის მსვლელობისას გაისმა სროლების ხმა. პირველი ტყვია კენედის კისერში მოხვდა და ყელიდან გამოვიდა, მეორე კი — თავში. ჯონ კენედი თავდასხმიდან ნახევარ საათში დაიღუპა.

ლი ჰარვი ოსვალდი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო მკვლელობაში, კენედის დაღუპვიდან ორი დღის შემდეგ პოლიციის განყოფილებაში მოკლა დალასის მკვიდრმა ჯეკ რუბიმ. დაპატიმრებული ჯეკ რუბი ოთხი წლის შემდეგ ციხეში გარდაიცვალა.



*** 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში გაიმართა მატჩი, რომელშიც თბილისის „დინამომ“ 4:1 დაამარცხა მოსკოვის ტორპედო და სსრკ-ს საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონობა.**

„ოქროს მატჩში“ თბილისის დინამოს ღირსებას იცავდნენ: სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ვახტანგ რეხვიაშვილი, ჯემალ ზეინკლიშვილი, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე (კაპ.), სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი და მიხეილ მესხი. მთ. მწვრთნელი: გავრილ კაჩალინი. გოლები გაიტანეს: ილია დათუნაშვილმა (2), სლავა მეტრეველმა და მიხეილ მესხმა.



*** 1783 წლის 21 ნოემბერს ჰაერში აფრინდა ძმები მონგოლფიეების — ჟან-მიშელისა და ჟაკ-ეტიენის — საჰაერო ბურთი ადამიანებთან ერთად.** ჰაერონაოსნობის პიონერები იყვნენ ფიზიკოსი ჟან ფრანსუა პილატრ დე როზიე და მარკიზი ფრანსუა ლორენ დ'არლანდი. მათ პარიზის თავზე 25 წუთის განმავლობაში 9 კმ-ის მანძილზე იფრინეს.



*** 2004 წლის 22 ნოემბერს უკრაინაში დაიწყო „ნარინჯისფერი რევოლუცია“.** ვიქტორ იუშჩენკოს მომხრეები ნარინჯისფერი ალმებით გამოვიდნენ კიევში, თავისუფლების მოედანზე და უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გააპროტესტეს. ამ აქციის შედეგად დაინიშნა განმეორებითი არჩევნები (დეკემბერში), რომელშიც ვიქტორ იუშჩენკომ გაიმარჯვა.



*** 1921 წლის 18 ნოემბერს თბილისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ქართული პენცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი, ნობელის პრემიის ნომინანტი (1996; 1999) ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირეჯიბი.**

ჭაბუა ამირეჯიბმა თბილისის 46-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1938 წელს. 1939 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მოგვიანებით კი გადავიდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1941 წლის 23 ივნისს გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო-საჰაერო ძალებში.

1943 წელს ბრალი დასდეს საქართველოში საბჭოთა წყობილების დასამხობად შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში და დააპატიმრეს.

1944 წელს მიუსაჯეს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც მოგვიანებით დახვრეტით შეუცვალეს. სიკვდილმისჯილთა საკანში სამი თვის გატარების შემდეგ 10 წელიწადი „გულაგის“ ბანაკებში იმყოფებოდა.

პირველი მოთხრობა „რატომ არ დამაცადე“ 1960 წელს გამოაქვეყნა.

ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის მოთხრობათა კრებულები: „გზა“ (1962); „ძია შოთას ბადია“ (1965); არაკების კრებული „თაფლის წვეთი“ (1968); კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, სცენარები, სტატიები კინემატოგრაფის საკითხებზე.

ჭაბუა ამირეჯიბს უდიდესი აღიარება მოუტანა რომანმა „დათა თუთაშხია“. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებია: მოთხრობების კრებული: „ჩემი მეჯლანე ბიძა“, „ხარის აღსარება“; ნოველა „გიორგი ბურდული“; რომანები: „გორა მბორგალი“ და „გიორგი ბრწყინვალე“.

2010 წლის 15 ოქტომბერს ჭაბუა ამირეჯიბი ბერად აღიკვეცა და სახელად დავითი უწოდეს.

გარდაიცვალა 2013 წლის 13 დეკემბერს.



*** 2003 წლის 23 ნოემბერს ე.წ. ვარდების რევოლუციის შედეგად,** რომელიც მოეწყო „ნაციონალური მოძრაობის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „თავისუფლების ინსტიტუტის“, მისი შვილობილი ორგანიზაცია „კმარას“, ჯორჯ სოროსის „ღია საზოგადოების ინსტიტუტისა“ და „რუსთავი-2“-ის თაოსნობით, გადადგა საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და **ხელისუფლების სათავეში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი თავისი გუნდით — „ნაციონალური მოძრაობით“.**

მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა 9 წლის განმავლობაში უამრავი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს და ქართველ ხალხს: ქუჩაში ხვრეტდნენ ახალგაზრდებს, ციხეები გაივსო პატიმრებით, ადამიანებს ართმევდნენ ქონებას, ბიზნესს, განადგურდა განათლების სისტემა, კულტურა, სპორტი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიკარგა ტერიტორიები.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

**აქტიური მოქმედების პერიოდია, მაგრამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. გაუმართლებთ სასწორის, კირჩხიბისა და მორიელის ნიშნით დაბადებულებს.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**18 - 24 ნოემბერი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

ძლიერი ემოციური დაძაბულობის გამო, შესაძლოა, დაკისრებული მოვალეობების შესრულება გაგიჭირდეთ, მაგრამ პრობლემების მოგვარებაში ოჯახის წევრები დაგეხმარებიან.

გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა და შეძლებთ ბევრი საოჯახო საკითხის გადაწყვეტას.

საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ, თუ მის მანიპულირებას შეეცდებით ან მეტისმეტ მოთხოვნებს წაუყენებთ, თვითონ კი არაფერს დათმობთ.

უარი თქვით ცხარე და მარილიან კერძებზე და მიიღეთ მეტი ხილი და ბოსტნეული.

**დადებითი დღე: 23 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ნოემბერი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

მოგიწევთ მუხლჩაუხრელი მუშაობა. ნუ იზარმაცებთ, ყველა დავალება პირნათლად შეასრულეთ და ხელმძღვანელობისგან ჯილდოც არ დააყოვნებს — ეს შეიძლება იყოს დაწინაურება ან პრემია.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. მასში იპოვით ისეთ თვისებებს, რომლებზეც აქამდე წარმოდგენაც არ გქონდათ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 24 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 ნოემბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

შესაძლოა, სამსახურში კოლეგებთან გაგიმწვავდეთ ურთიერთობა წვრილმანის გამო. სიმშვიდე შეინარჩუნეთ და უთანხმოების მოგვარებას დიპლომატიური ხერხებით შეეცადეთ.

მარტოხელა ტყუპების ურთიერთობა ახლგაცნობილ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან სწრაფად განვითარდება და შესაძლოა, მგზნებარე რომანშიც გადაიზარდოს.

ალკოჰოლური სასმელების ჭარბად მიღება უარყოფითად აისახება თქვენი ღვიძლის მდგომარეობაზე.

**დადებითი დღე: 18 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ნოემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

აქტიური მოქმედების პერიოდია. იდეებს, რომლებიც დაგიგროვდათ, განხორციელება სჭირდება. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კი მხოლოდ ყველა დეტალის კარგად გაანალიზების შემდეგ მიიღეთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და მიიპყრობთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას. შეეცადეთ, თქვენთვის საინტერესო ადამიანთან ურთიერთობის გაღრმავებას და შესაძლოა, ცხოვრების თანამგზავრიც იპოვოთ.

კირჩხიბებმა, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება აწუხებთ, ექიმს უნდა მიმართონ და ჩაატარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 21 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 ნოემბერი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

დაივიწყეთ თქვენს ცხოვრებაში მომხდარი უარყოფითი მოვლენები და მომავალზე იფიქრეთ. მოგიწევთ თვალსაზრისის შეცვლა ბევრ საკითხზე. მოთმინებით აღიჭურვეთ და მეთოდურად დაძლიეთ წინაღობები.

სასიყვარულო ფრონტზე ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც თქვენ გსურთ, ოღონდ ენას კბილი უნდა დააჭიროთ და წარმატებებზე არ ილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში რეპუტაცია შეგელახებათ.

რაციონიდან ამოიღეთ ქოლესტერინის შემცველი პროდუქტები და დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 23 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 ნოემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

ნაჩქარევმა და არათანმიმდევრულმა მოქმედებამ შეიძლება ხელი შეგიშალოთ გეგმების განხორციელებაში. სჯობს, მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ მოქმედების გრაფიკი და მისი ყველა პუნქტი ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოთ.

მოერიდეთ საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანხმოება გარდაუვალია. კონფლიქტს სამოგზაუროდ ერთად წასვლა აგაცილებთ.

მაღალია კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 24 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 ნოემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

სასიკეთო პერიოდია. ნებისმიერი საქმე გამოგივათ, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ. ამის მიუხედავად, ფინანსური მდგომარეობა სტაბილური არ იქნება, რადგან გაუთვალისწინებელი ხარჯის გაღება მოგიწევთ.

ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა იმ შემთხვევაში გაღრმავდება, თუ თავქარიანობას არ გამოიჩენთ და მას მხოლოდ გარეგნობის მიხედვით არ შეაფასებთ.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, კარგი იქნება თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 23 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ნოემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

მოგეცემათ თქვენი პოტენციალის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობა. გეგმებს, რომლის განხორციელებაც გსურთ, დაფიქრება, სიმშვიდე და გამოცდილება სჭირდება. მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეთ არც ერთი დეტალი და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება გაქვთ, შეეცადეთ, გულწრფელად დაელაპარაკოთ და აუხსნათ, რას ითხოვთ მისგან და როგორ უნდა წარიმართოს თქვენი ურთიერთობა.

მაღალია ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 20 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 23 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

სამსახურში მოსალოდნელია უთანხმოება კოლეგებთან. მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, თავი შორს დაიჭიროთ მოშურნეებისაგან, რომლებიც შეეცდებიან, რეპუტაცია შეგილახონ. პრობლემების გადალახვაში, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეთ, ოჯახის წევრები დაგეხმარებიან.

თუ თქვენს მეუღლეს მოუწევს მივლინება, შეეცადეთ, მასთან ერთად გაემგზავროთ. ეს ახალ შტრიხებს შესძენს თქვენს ურთიერთობას.

გაუფრთხილდით თვალებს. ნუ დაჯდებით დიდხანს კომპიუტერთან და ტელევიზორთან.

**დადებითი დღე: 18 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 21 ნოემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

ამ პერიოდში თქვენთვის მთავარი იქნება სურვილებისა და შესაძლებლობების დაბალანსება. შეეცადეთ, ისწავლოთ ემოციების მოთოკვა და ცივი გონებით მოქმედება.

საყვარელი ადამიანისადმი მეტისმეტი პრეტენზიების წაყენება და ჭირვეულობა უთანხმოებამდე მიგიყვანთ. შეეცადეთ, საყვარელი ადამიანის გულისკენ მიმავალი სხვა გზა მოძებნოთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს.

დიდია ტრავმირების ალბათობა. ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 24 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 ნოემბერი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

საქმეები, რომლებიც მხრებზე ტვირთად დაგაწვებათ, დაგღლით და გაგაღიზიანებთ, მაგრამ ძალა უნდა მოიკრიბოთ და ყველა საქმე დაასრულოთ. შედეგებით კმაყოფილი დარჩებით, რადგან ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ჰარმონია დაისადგურებს, თუ მის მოთხოვნებს გაითვალისწინებთ და მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქრებთ.

მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 18 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ნოემბერი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად. შესაძლოა გაიცნოთ ადამიანები, რომლებსაც თქვენი იდეები მოეწონებათ და მათ განხორციელებაში მხარს დაგიჭერენ მორალურად და მატერიალურადაც.

მარტოხელა თევზებმა შესაძლოა, განაახლონ ურთიერთობა ადამიანთან, რომელთანაც წარსულში ბევრი რამ აკავშირებდათ. თუმცა ამ ურთიერთობის განახლებას უსიამოვნებაც ბევრი მოჰყვება.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. თავი შეიკავეთ ფიზიკური დატვირთვებისგან და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 20 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 23 ნოემბერი.**

# ხოცვა-ჟლეტა საჭირო მომენტში, ანუ ყალბი სტარტი აქციისა «მე შარლი ვარ»

**პარიზში ტერაქტების მოწყობა უცნაურად დაემთხვა სირიის ფრონტზე მომხდარ გარდამტეხ ცვლილებებს.**



ლაინერ „ლუზიტანიას“ დაღუპვის პერიოდიდან ცალკეული ქვეყნებისა თუ კონტინენტების პოლიტიკას ლოკალური და მხეცური მოვლენებით მართავენ. ბრიტანული სამგზავრო საზღვაო ლაინერი, რომელიც თითქმის ყველამ მიივიწყა, გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ტორპედოებით ჩაძირა 1915 წლის მაისში. დაიღუპა 1198 მგზავრი, მათ შორის — 100-ზე მეტი ამერიკელი. ამან გამოიწვია ის, რომ აშშ პირველ მსოფლიო ომში ჩაება ანტანტის მხარეს. „ლუზიტანიის“ დაღუპული მგზავრების ხსოვნა უბრალო ამერიკელს შურისძიებისთვის განაწყობდა. ასეთივე შურისძიება მოითხოვა პერლ-ჰარბორის უცნაურმა ტრაგედიამაც, რომელიც ლოგიკურად გადაიზარდა მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის მონაწილეობაში. მეორე მსოფლიო ომს კი დასავლეთში დაუფარავად უწოდებდნენ „პირველი მსოფლიო ომის გაგრძელებას“.

შემდეგ, თითქოს თავისით, მსოფლიოში დაიწყო კოლონიური სისტემის მსხვრევა, დოლარი მსოფლიოს ვალუტა გახდა, აშშ კი მთავარ ჰეგემონ-სახელმწიფოდ გარდაიქმნა...

ყველაფერი კი დაიწყო ნიუ იორკიდან ლივერპულში მიმავალი სამგზავრო ლაინერით, რომელიც 18 წუთში ჩაიძირა იმიტომ, რომ განსაკუთრებით საშიში ასაფეთქებელი ნივთიერება გადაჰქონდა, რომელზეც იმხანად საუბარს ერიდებოდნენ, მაგრამ არ ერიდებოდნენ სხვა კონტინენტზე ატეხილ ომში ჩაბმას...

ხომ არ გაგონებთ ტყუპი ცათამბჯენის ისტორიას? **ტერორისტული აქტების სერიაც დროულად მოაწყვეს, სწორედ იმ მომენტში, როდესაც სირიაში ყველაზე გამოზრძმედილ და ბრძოლისუნარიან ისლამისტებს მწარე დარტყმა აგემეს და ფრონტი**

## ლიბიაში სისხლიანი, უსარგებლო და რაღაც ინფანტილურ-უაზრო ავანტიურის შემდეგ საფრანგეთისთვის რთული იქნებოდა, აეხსნა, ახლა რისთვისღა სჭირდება სირიაში ომი

**გაუფანტეს. და ნათლად გამოჩნდა, რომ შემდეგი იქნებოდა თავისუფალი სირიის არმია — დასავლეთისგან ასე მოწონებული „ასადის სისხლიანი რეჟიმის ზომიერი ოპოზიცია“.** რადიკალური ისლამისტური ფრთის გარეშე თავისუფალი სირიის არმიას გაანადგურებდნენ, ცოცხლად გადარჩენილებს კი თურქეთში განდევნიდნენ რამდენიმე დღეში, ამიტომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. **ლიბიაში სისხლიანი, უსარგებლო და რაღაც ინფანტილურ-უაზრო ავანტიურის შემდეგ საფრანგეთისთვის რთული იქნებოდა, აეხსნა, ახლა რისთვისღა სჭირდება სირიაში ომი. ეს სხვა ევროპული სახელმწიფოებისთვის გაუგებარი იქნებოდა.**

ზამთარში შეეცადნენ, ამ სახელმწიფოებისთვის თავზე მოეხვიათ დირექტივა ჩვეულებრივი მეთოდებით, როდესაც იუმორისტული ჟურნალის რედაქცია დახვრიტეს. რეზონანსი იყო, მაგრამ დუნე, დასკვნების გარეშე. ევროპელი პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ მათ რაღაც „გაუგებარში“ ითრევდნენ, ამიტომ, უბრალოდ, ქუჩაში გამოვიდნენ, ხელი ხელს ჩაჰკიდეს და შეეცადნენ, თვალები არ დაეხამხამებინათ, ჯგუფური ფოტოები რომ არ გაფუჭებულიყო. შემდეგ კი შინ წავიდ-წამოვიდნენ. შემდეგ იყო „ტვიტერისა და ფეისბუქის მომხმარებელთა დიდი გადასახლება, რომლებიც სისხლიანი ასადის მიერ სირიაში გაჩაღებულ ომს გამოექცნენ“. ალბათ, ბევრისთვის არ არის საიდუმლო, რომ ევროპაში ლტოლვილთა ნაკადის გადაადგილებას სოციალური ქსელებით მართავდნენ. და კვლავ ვერავინ ვერაფერი გაიგო და არავინ არაფერი გააკეთა.

სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში ევროპულ ელექტორატს დუღილის წერტილამდე მიიყვანენ მასმედიის მეშვეობით, შემდეგ კი ევროპოლიტიკოსები მიიღებენ გადაწყვეტილებას — სასწრაფოდ დაეხმარონ „კარგ ოპოზიციას სირიაში“. და დასავლეთი სირიაში მოასწრებს კარგი ლუკმის დაუფლებას, როგორც ეს მეორე ფრონტის გახსნისას მოხდა. სამი წლის განმავლობაში ლენდ-ლიზის კონსერვებით რომ კვებავდნენ სისხლისგან დაცლილ საბჭოთა კავშირს, მაგრამ როგორც კი მეორე მსოფლიო ომში გარდატეხა მოხდა, და გაჩნდა შესაძლებლობა, რომ T-34-ები გიბრალტარისა და ბოსფორის სანაპიროებისა და საფრანგეთის პლაჟებზე გამოჩენილიყვნენ, ამერიკელი მოკავშირეები ტარაკნებივით აფუთფუთდნენ ტორტიდან თავიანთი ნაჭრის ხელში ჩასაგდებად.

**დიმიტრი სტეშინი**
Politikus.ru



# ბუნტი ობამას წინააღმდეგ: აშშ-ის 7 შტატი პრეზიდენტს არ დაემორჩილა

**აშშ-ის შტატებმა: ტეხასმა, არკანზასმა, ინდიანამ, ლუიზიანამ, მისისიპიმ და მიჩიგანმა უარი განაცხადეს სირიიდან დევნილთა მიღებაზე. 7 ამერიკელი გუბერნატორი მხარს არ უჭერს აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას საიმიგრაციო პოლიტიკას, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „როიტერი“.**

16 ნოემბერს აშშ-ის 5 გუბერნატორმა განაცხადა, რომ თავიანთ შტატებში სირიელი ლტოლვილების დასახლების უფლებას არავის მისცემენ, რადგან პარიზის ტერაქტების შემდეგ ძალიან სახიფათოა ომით გატანჯული ქვეყნიდან დევნილი ადამიანების მიღება.

გუბერნატორებმა **გრეგ ებოტმა** (ტეხასი), **ასა ჰატჩინსონმა** (არკანზასი), **მაიკლ პენსმა** (ინდიანა), **ბობი ჯინდალმა** (ლუიზიანა) და **ფილ ბრაიანტმა** (მისისიპი) განაცხადეს, რომ მათი შტატები მხარს არ დაუჭერენ პრეზიდენტ ობამას ინიციატივას 10 ათასი სირიელი ლტოლვილის მიღების თაობაზე. მათ გარდა, ალაბამასა და მიჩიგანის შტატების გუბერნატორებმაც უარი განაცხადეს ობამას ინიციატივის მხარდაჭერაზე.

„ტეხასი ვერ მიიღებს მონაწილეობას პროგრამაში, რომლის ჩარჩოშიც სირიელი ლტოლვილები, რომელთაგან ნებისმიერი შეიძლება იყოს დაკავშირებული ტერორიზმთან, ტეხასში უნდა დასახლდეს. არც თქვენ და არც სხვა ფედერალურ მაღალჩინოსანს არ შეუძლია იმის გარანტირება, რომ სირიელი ლტოლვილები არ არიან ტერორისტული საქმიანობის რაღაც ნაწილი“, — ნათქვამია ტეხასის გუბერნატორის — გრეგ ებოტის ღია წერილში, რომლითაც მან 16 ნოემბერს მიმართა აშშ-ის პრეზიდენტს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ჯონ კერიმ** ამა წლის სექტემბერში განაცხადა, რომ 2016 წელს აშშ 85 ათას ლტოლვილს მიიღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, 2017 წელს კი კიდევ — 15 ათასს.

## პარიზის ტერაქტების სავარაუდო ორგანიზატორი ცნობილია

**გამოძიებამ პარიზის ტერაქტების ორგანიზატორის ვინაობა დაადგინა. სავარაუდოდ, ის 27 წლის აბდელ ჰამიდ აბაუდია, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების რიგებს სირიაში შეუერთდა.**

სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, აბაუდი ტერორისტულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა 13 ნოემბრის თავდასხმების დაგეგმვასა და ორგანიზებაში. აბაუდი ბრიუსელის მკვიდრია.



## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»**




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**





http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894